

"24 საათის" ფიქციანი ნომერი
***2424**

გაერთიანება და
ლიდარი - ოპოზიციის
თავსატახი

A2



უპრეცედენტო
არაულობა ლახვიანი

A7



"დიდი ორიანი"

A8



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
ინილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

ვაშინგტონის ძლიერი წინააღმდეგობა

ჰილარი კლინტონის პირველი სიგნალი რუსეთს

აპრობირებული მეთოდის მიხედვით, რადგანაც მომხსენებლის დრო კომიტეტის სხდომაზე შეზღუდულია, მას კომიტეტის წევრები წერილობით უგზავნიან კითხვებს, სადაც ასევე წერილობით არის პასუხები გაცემული. "24 საათმა" სწორედ წერილობითი კითხვა-პასუხის ასლი მოიპოვა. ქვემოთ გაცნობით ჰილარი კლინტონის პასუხებს, რომელიც საქართველოსა და რუსეთის შესახებ დასმულ კითხვებზეა გაცემული.

"ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეძლოს საქართველოსა და უკრაინაზე რუსეთის ზეწოლის შეჩერება," - ეს განცხადება აშშ-ს სახელმწიფო მდივნობის კანდიდატმა, სენატორმა ჰილარი კლინტონმა კონგრესში, საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის სხდომაზე გააკეთა.

ბაზრძალაბა A4 გვირგვინი



AFP - 2009

ქართია

არს ვრეზიდენტ ბუზის დასამზვიდოებაელი საჩუქარია და არს მარტო ვრეზიდენტ ოზამას სიგნალი რუსეთის ხელისუფლებებისათვის

თამარ ხორბალაძე

საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას სულ რამდენიმე დღეა, ხელი მოეწერა. დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისადმი ინტერესი კვლავ არ ნელდება - მით უმეტეს მაშინ, როცა რუსი ოკუპანტები კვლავ აკონტროლებენ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, ქვეყანას ეუთო-ს და გაერო-ს დამკვირვებლების გარეშე დარჩენა ემუქრება, რუსულ-ქართული დიალოგი კი, პრაქტიკულად, შეწყვეტილია. ამ სიტუაციაში ყველას კარგად ესმის, რომ რუსეთთან ბრძოლის ფრონტი დღეს საგარეო უწყებაზე გადას. უწყების ხელმძღვანელის მიმართ "24 საათს" საკმაოდ ბევრი კითხვა დაუგროვდა. თუმცა, საქართველოს ნომერ პირველ დიპლომატთან ინტერვიუ, ცხადია, დღევანდელი სიახლით - ჰილარი კლინტონის განცხადების კომენტარებით დაიწყო.

- რამდენად მნიშვნელოვანია ეს განცხადება საქართველოსთვის?
- საქართველოსა და უკრაინისთვის ეს უკიდურესად მნიშვნელოვანი განცხადებაა.

ბაზრძალაბა A3 გვირგვინი



ბაზრძალაბა გვირგვინი

ტანკის მაბივრად - აბენტურა

კრემლის მიზანი საქართველოში

საქართველოს წინააღმდეგ გასული წლის აგვისტოში სამხედრო აგრესიის განხორციელების შემდეგ, მოსკოვმა, როგორც ჩანს, თავისი გეგმის ბოლომდე მისაყვანად სპეცსამსახურები მთელი რესურსით ამოქმედდა. სხვადასხვა სახის ინტერნეტ-საიტებით და არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებით მოსკოვის მიზანი ამ ეტაპზე საქართველოში საზოგადოებრივი აზრის შემზადებაა. თუ რისთვის, ამას დიდი მიხედვით არ სჭირდება - თუკი საქართველოს ხელისუფლება რუსეთის მტერია, რუსეთი ქართველი ხალხის მეტობარია, ჩვენ შევებრძოლეთ სააკაშვილს და არა ქართველ ხალხს და ა.შ. მოკლედ, მთავარია ფონის შექმნა, ხოლო დანარჩენი - საქართველოს ხელისუფლების შეცვლა რუსეთის მიერ მართვადი მარიონეტული რეჟიმით - უკვე ტექნიკის საკითხი იქნება.

ამის შესახებ "24 საათმა" ინფორმაცია კრემლის მიერ კონტროლირებად ერთ-ერთ საპროგნოზო-ანალიტიკურ ცენტრში მომუშავე ექსპერტისგან მიიღო, რომელმაც, რასაკვირველია, თავისი ვინაობის დასახელება არ ისურვა. "24 საათმა" მასთან საკმაოდ გულახდილი საუბარი მოახერხა. მისი თქმით, ამ მიზნის მისაღწევად უკვე ამოქმედებულია რამდენიმე ინტერნეტ-საიტი, რომლებზეც ჯერჯერობით გადის მხოლოდ მშრალი ინფორმაციები, თუმცა საჭირო შემთხვევაში ეს საიტები კარგად დამუშავებული და გამიზნული ინფორმაციების გავრცელების წყაროებად იქნება გამოყენებული. საიტების გარდა, "24 საათის" წყაროს თქმით, ასევე მალე ამოქმედდება საქართველოში რამდენიმე საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაც ერთი შეხედვით სასარგებლო მიზნები ექნებათ. "თუმცა, გადამწყვეტ მომენტში, ეს ორგანიზაციებიც საზოგადოებრივი აზრის შექმნის მიზნით გადამწყვეტ ფუნქციას შეასრულებენ," - აცხადებს რუსი ექსპერტი.

მისივე თქმით, საქართველოს ტერიტორიის გარდა, ქართული საზოგადოებრივი აზრის შემზადება თავად რუსეთიდანაც ხდება. "ამ ფრონტზე რუსეთში დაფუძნებული უკვე ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს. დასამალი არაა, რომ "რუსეთში ქართველთა კავშირის" პრეზიდენტი მიხეილ მიხეილის ძე ხუბუტია რუსეთის ხელისუფლების წრეებთან დაახლოებული ადამიანია. ის არამარტო ჩვენთანაა პოპულარული. თქვენთანაც საკმაოდ დიდ პატივს სცემენ. კარგ საქმესაც აკეთებს. რუსი და ქართველი ხალხის დაახლოება წმინდა საქმეა. თქვენი პრეზიდენტის წინააღმდეგ კარგად დაქოქილი მანქანა უკვე მუშაობს და მალე "დამკაივტი" გავა. უნდა ხვდებოდეთ, რომ ჩვენი ურთიერთობის გაფუჭების მთავარი პრობლემა სააკაშვილის ხელისუფლება, მისი მიზნები და საგარეო პოლიტიკა და არა ქართველი ხალხი. აი ნახეთ, ამას მალე ქართველებიც აღიარებენ და მიხვდებიან. თქვენი ინტელიგენცია უკვე მიხვდა ამას. მალე მოსკოვში ხუბუტია დიდ შეკრებას გამართავს. ქართული ინტელიგენციის, ნამდვილი ელიტის წარმომადგენლები იქნებიან. თქვენი პატრიარქიც იქნება მოწვეული. ამ შეხვედრაზე რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივება და საჰაერო მიმოსვლის აღდგენა იქნება განხილული. რატომ უნდა გვაშორებდეს ჩვენ სააკაშვილის რეჟიმი ერთმანეთს, როცა ორ ხალხს ერთად ყოფნა უნდა?" - განუცხადა რუსმა ექსპერტმა "24 საათს".

"24 საათი" შეეცადა, რამდენიმე ქართულ წყაროსთან გადაემოწმებინა ეს ინფორმაცია. როგორც გაირკვა, ასეთი შეხვედრა მართლაც მზადდება მოსკოვში და მას რუს ტყვეებში გაცვლილი, ასლან აბაშიძის მარჯვენა ხელი, გენერალი რომან დუმბაძეც დაესწრება. ეს ის დუმბაძეა, რომელიც საქართველოს საპატიმროში სასჯელს სამშობლოს დაღატაკის ბრალდებით იხდიდა და რუსულმა აგრესიამ სულზე მოუსწრო. ჯერჯერობით სულ ეს არის. განსჯა და დასკვნა მკითხველის საქმეა.

საკუთარი ინფორმაცია

საპროტესტო აქციები გაზაფხულამდე გადაიდო

დათო გამოსონია

"გაერთიანებულმა ოპოზიციამ" დაგეგმილი ერთფერადი აქციები, რომლებიც 25 იანვრიდან უნდა დაწყებულიყო, გააუქმა. ოპოზიციურმა გაერთიანებამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ "2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, საქართველოს პრაქტიკულად ყველა ოპოზიციურმა პარტიამ დღის წესრიგში დააყენა ვადამდელი არჩევნების ჩატარება.

როგორც ხელისუფლების არაადეკვატური პოლიტიკა და განცხადებები ცხადყოფს, საქართველოში თავისუფალი არჩევნების დანიშვნა მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პირობებში არარეალურია. ამიტომ ერთადერთ გამოსავლად რჩება საპროტესტო აქციების გზით მიხეილ სააკაშვილის უპირობო გადაყენება და ამის შემდეგ თავისუფალი არჩევნების ჩატარება." "გაერთიანებული ოპოზიცია" დანარჩენ ოპოზიციურ სპექტრს ერთიანი საპროტესტო მოძრაობის დაწყების მოუწოდებს.

პარალელურად, საინფორმაციო სააგენტოებით გავრცელდა ცნობა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის ყველა ფრთა მუშაობს ე.წ. მემორანდუმზე, რომლის მიხედვითაც, ოპოზიცია ურთიერთდაპირისპირებაზე მორატორიუმს აცხადებს და მიხეილ სააკაშვილს მემორანდუმში ჩამოთვლილი მოთხოვნების შესასრულებლად ვადას 15 მარტამდე აძლევს. თუ მანამდე პრეზიდენტი ოპოზიციის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, არასაპარლამენტო ოპოზიცია 31 მარტიდან მასობრივი გამოსვლების დაწყებას აპირებს. იმავე სააგენტოების ცნობით, მემორანდუმზე ხელს, სავარაუდოდ, ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი, ირაკლი ალასანია და "მემარჯვენე-რესპუბლიკელების" ალიანსიც მოახერხებს. თუმცა ამის შესახებ ხმამაღლა საუბარს ოპოზიციონერები ჯერჯერობით ერიდებიან. სავარაუდოდ, მემორანდუმში რამდენიმე დღეში გახდება საჯარო.

გაერთიანება და ლიდერი - ოპოზიციის თავსატეხი

მამუკა კაციტაძე

არასაპარლამენტო ოპოზიცია დღემდე, ძირითადად, ორ ფრონტზე მოქმედებს. ერთ მხარეს "რესპუბლიკელების" და "ახალი მემარჯვენეების" ალიანსი დგას, ხოლო მეორე მხარეს ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც "გაერთიანებული ოპოზიციის" ქოლგის ქვეშ რჩებიან. ინტენსიური კონსულტაციები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ ორ დაჯგუფებას შორის, ასევე ცალკეულ პირებთან მიმდინარეობს, მაქსიმუმ, თვის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. თუმცა, ვიდრე კონკრეტულ შედეგებს ვიხილავთ, მოვლენები სწრაფად იცვლება. გუშინ გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ურთიერთდაპირისპირებაზე მორატორიუმს აცხადებს და ე.წ. მემორანდუმზე იწყებს მუშაობას. ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის გადადგომაა. ამ და სხვა თემებზე "24 საათმა" "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძეს და "რესპუბლიკელების" ლიდერ დავით უსუფაშვილს რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

მამუკა კაციტაძე:
ოპოზიცია მთავარ საკითხზე თანხმდება

- ბატონო მამუკა, ალიანსის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მათი რიგები გაფართოვდებოდა. რომელი პოლიტიკური ძალა შეიძლება ვინილოთ "მემარჯვენეების" და "რესპუბლიკელების" გვერდით? არსებობს თუ არა კონკრეტული საკითხები, რომლებზეც თქვენ და დანარჩენ ოპოზიციურ ძალებს შეთანხმება გიჭირთ?

- კონსულტაციები პოლიტიკურ ორგანიზაციებთან თუ ფიზიკურ პირებთან დღემდე გრძელდება. მართალია, უკვე ფინალისკენ მივდივართ, მაგრამ დეტალებზე საუბრისგან



მამუკა კაციტაძე



დავით უსუფაშვილი

თავს შევიკავებ. იანვრის ბოლოს შედეგებს ვაგვიცნობთ, გაირკვევა, რა რესურსი არსებობს ალიანსის გაფართოებისთვის.

- რისი თქმა შეიძლება წინასწარი შედეგების მიხედვით - კონსულტაციები უმეტესწილად წარმატებულია თუ პირიქით?

- შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ტიპის შედეგები გვაქვს. ერთიანი დასკვნის გაცემა ძნელია. მთავარია, რომ შეთანხმებას ვაღწევთ ერთ საკითხზე - ეს არის რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.

- წინასწარვე ცნობილი იყო, რომ "გაერთიანებული ოპოზიციის" მიერ დაგეგმილი იანვრის აქციებში (რომელიც, როგორც ახლა გაირკვა, არ შედგება) თქვენი ალიანსი მონაწილეობას არ მიიღებდა. ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ თქვენ "გაერთიანებულ ოპოზიციასთან" საერთო ენის გამონახვას ვერ ახერხებთ?

- არა, რატომ? საკითხს სხვა კუთხითაც შევხედოთ. ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ "გაერთიანებულმა ოპო-

ზიციამ" იანვრის აქციები გააწყობა და სხვა რამეზე გააკეთა აქცენტი. ისინი ააქტიურებენ კონსულტაციებს ოპოზიციურ სპექტრთან რიგგარეშე არჩევნების თაობაზე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენ საერთო ენაზე ვსაუბრობთ.

დავით უსუფაშვილი
ალიანსის ალიანსის
სავარაუდო ლიდერად
არ განიხილავს

- ბატონო დავით, გავრცელდა ცნობა, რომ ოპოზიცია ისევ ერთიანდება საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით და სასწრაფო წესით მუშაობს ე.წ. მემორანდუმზე. რას იტყვით ამის შესახებ?

- ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ ამ თემაზე მართლაც მიმდინარეობს კონსულტაციები. მეტს ვერაფერს დაგიკონკრეტებთ.

- ალიანსის გაფართოების შესახებ სიახლე ხომ არ არის?

- არა, ჯერ კონსულტაციები არ დასრულებულა.

- ირაკლი ალასანიას თემა

ისევ აქტუალურია. რაიმე ხომ არ შეცვლილა მასთან მიმართებაში?

- ალასანია, შესაძლებელია, წარმოდგენილი იყოს კოალიციის შემადგენლობაში, მაგრამ ამისთვის თავად უნდა ჩამოყალიბდეს საკუთარ გეგმებზე, პოლიტიკურ გუნდზე. უნდა გააკეთოს პოლიტიკური განცხადება და ამის შემდეგ შეიძლება აღნიშნულ საკითხზე უფრო კონკრეტული საუბარი. ჩვენთვის და ყველასთვის მნიშვნელოვანია მისი გუნდის გამოჩენა. მნიშვნელოვანია, დავინახოთ, რა გეგმები აქვს მას და რამდენად თავსებადია ისინი ჩვენს გეგმებთან.

- ანუ ირაკლი ალასანია თქვენი ალიანსის შესაძლო ლიდერად აღარ განიხილება?

- ალასანიას ლიდერად მონვევაზე საუბარი არასდროს ყოფილა, არც ჩვენგან და არც მისგან. ჩვენ ვსაუბრობდით, რომ ალიანსი დაინტერესებულია თავსებადი პარტნიორებით. პარტნიორებში, ბუნებრივია, იგულისხმება პოლიტიკური ძალები და არა კონკრეტული ინდივიდები.

გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "გვპ". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუაშვილი, პაატა მუხამაძე.

რედაქცია: სოფო კლასონია (რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კლასონია (რედაქცია), კახა ფარუაშვილი (სპორტი). რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლევაჯა: ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყავლაშვილი. რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელი ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ქართია

არს კრიზიდან გზის დასაზოგადოებად სარქარია და არს მართო კრიზიდან ობამას სიბნელი რუსეთის ხელისუფლებისათვის

პირველი გვარდინა

ჰილარი კლინტონმა რამდენიმე აქცენტი გააკეთა: მან ყურადღება გამახვილა საქართველოს, უკრაინისა და აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორობაზე, ასევე იმის აუცილებლობაზე, რომ შეერთებულმა შტატებმა დემოკრატიების მხარდაჭერა მტკიცედ გააგრძელოს. გარდა ამისა, მომავალმა სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ აშშ ამ პოლიტიკის მოთმენას არ აპირებს და არავითარ შემთხვევაში არავითარ დათმობაზე არ წავა. ამასთან, მან ყურადღება გამახვილა იმაზეც, რომ აშშ-სთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ის ფაქტი, როცა ობამას არჩევითანავე მედვედევმა კალინინგრადში "ისკანდერების" განლაგების შესახებ გააკეთა განცხადება, რაც ცივილიზებული ქვეყნის ნორმებს სცილდება.

ჰილარი კლინტონის გამოსვლა არის მკაფიო გზავნილი რუსეთისათვის, რომ მისი მხრიდან აუცილებელია საერთაშორისო ნორმების დაცვა, რასაც კრემლი ჯერჯერობით არ აკეთებს.

- ახალი ადმინისტრაცია მუშაობას ერთ კვირაში დაიწყებს. მანამდე კი - გარდამავალ პერიოდში ხელი მოეწერა საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიას, რომელზეც უკვე ძალიან ბევრი რამ ითქვა. ზოგი მას ბუშის გამოსამშვიდობებელ საჩუქარს უწოდებს, ზოგი - ობამას ნინასწარ მესიჯს რუსეთის ხელისუფლებისთვის. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ დოკუმენტს?

- როგორც თავისუფალ ქვეყანას შეეფერება, ყველა შეუძლია ჰქონდეს თავისი აზრი და ამ მოსაზრებებს მე კომენტარს არ გავუკეთებ. თავად ქარტიას კი კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს არის ისტორიული მნიშვნელობის საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი. შეერთებული შტატები ამ ხასიათის დოკუმენტს ხშირად არ აწერს ხელს. აშშ-მ საქართველოსთან ქარტიას იმიტომ მოაწერა ხელი, რომ სტრატეგიული პარტნიორობი ვართ. შეგახსენებთ, რომ 1993 წელს, როცა ზოგიერთი ქვეყანა ცდილობდა ბალტიის ქვეყნების დამუხრუჭებას ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, სწორედ იმავე ქარტიას მოეწერა ხელი. ეს არც პრეზიდენტ ბუშის დასამშვიდობებელი საჩუქარია და არც მართო პრეზიდენტ ობამას სიგნალი რუსეთის ხელისუფლებისათვის, ეს არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ საქართველო-აშშ-ს ურთიერთობა არ არის დაფუძნებული პერსონალურ ურთიერთობაზე, არ არის დაფუძნებული მთელი მოკვლადან ტაქტიკურ ინტერესებზე, ეს არის სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც არასდროს შეიცვლება.

- საზოგადოებას ქარტიაში ყველაზე მეტად უსაფრთხოების გარანტიები აინტერესებს. მაგალითად, ქარტიაში არის ჩანაწერი, რომ უზრუნველყოფილი იქნება სამხრეთ ენერგეტიკული კორიდორის ფიზიკური უსაფრთხოება. რა ფორმებითა და ზომებით უნდა მოხდეს ეს?

- ქარტიასთან დაკავშირებით ნუ ვისაუბრებთ გარანტიებზე - ქარტია არის იმ შეთანხმებული პრინციპების დეკლარაცია, რომელსაც საქართველოსა და ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობა დაეფუძნება. ამის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო უწყებებში, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროში, უკვე შექმენილი სამი სამუშაო ჯგუფი, რომლებიც მოამზადებენ იმ ნიშნადადებებს, რაც ქარტიას კონკრეტული მოქმედების გეგმად გადააქცევს. ჩვენ ამას შევთავაზებთ პრემიერს და ამის შემდეგ ლონისიძეებთან ჩამონათვალი გახდება იმ პრინციპების რეალიზაცია, რაც ქარტიაში არის ჩადებული. რაც შეეხება მილსადენების და სამხრეთ ენერგეტიკული კორიდორის უსაფრთხოების ფიზიკურ დაცვას, ესეც პრინციპია.

ამერიკისა და საქართველოს ხელისუფლებებმა აღნიშნეს, რომ საქართველო არის კარდინალურად მნიშვნელოვანი სამხრეთ ენერგეტიკული დერეფანი. დაცვა არის აუცილებელი. ეს არის პრინციპი. როგორ განხორციელდება ეს, ამაზე დანარჩენ პრინციპებთან ერთად იქნება საუბარი.

- ქარტიაში ამ ენერგეტიკული დერეფნის გაფართოებაზეც არის საუბარი. რამდენად რეალურია ამ გაფართოების პროცესში საქართველოს მონაწილეობა დღევანდელ პირობებში, როცა, იმავე საქართველოს ხელისუფლებისვე აღიარებით, რუსეთის მხრიდან აგრესიის საფრთხე კვლავ არ არის მოხსნილი?

- ომის პერიოდშიც, მაშინაც კი, როცა საქართველოში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა, საქართველომ პირნათლად შეასრულა თავისი პირობები. საქართველოს მიზეზით ნავთობის და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება არ შეჩერებულა. შეგახსენებთ, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი თურქეთის ტერიტორიაზე დაზიანდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საუბარი იმაზე, რომ ეს დერეფანი უნდა გაფართოვდეს და აუცილებლად გაფართოვდება, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის გაზის ომის ფონზე. ქარტიის კიდევ ერთი პრინციპი არის ის, რომ საქართველოს ეს დერეფანი არა მხოლოდ ფიზიკურად უნდა იყოს დაცული, არამედ მას უნდა დაემატოს ახალი სატრანსპორტო მიწები, რათა დასავლეთმა მოიპოვოს რამდენიმე ალტერნატიული წყარო რუსეთის გარდა.

- საქართველომდე რამდენიმე კვირით ადრე დაახლოებით ანალოგიური ქარტია გააფორმეს უკრაინამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ამას მალევე მოჰყვა პროცესი, რომელიც უკვე რუსეთ-უკრაინის გაზის ომად არის მიჩნეული. გავსაგებია, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად დაძაბვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, თუმცა ელოდებით თუ არა რუსეთისგან რაიმე ტიპის აგრესიულ რეაქციას?

- მე რუსულ გაზეთებთან უკვე რამდენჯერმე ვთქვი, რომ რუსეთმა უკვე გამოიყენა კოხირი, რომელიც სახელში ჰქონდა დამალული. მეტი გამოსაყენებელი არაფერი აქვს, გარდა სამხედრო აგრესიისა. საქართველოს არმია გადაარჩა, მთავრობა აქ არის, ქვეყნის შიგნით ყველას სხვადასხვაგვარი პოლიტიკური მრწამსი გვაქვს, მაგრამ გარეშე მტრის წინააღმდეგ საზოგადოება ერთიანი აღმოჩნდა, რაც მთავარია - ენერგოდამოუკიდებლობა გვაქვს, ჩვენი ეკონომიკა უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე რუსეთის ეკონომიკა. საქართველოსთან მდგომარეობის გამწვავებისთვის მას სჭირდება დამატებითი არგუმენტები, რომლებიც არა აქვს. შეუძლია, რომ სამხედრო აგრესია განახორციელოს. რას იზამენ - თბილისში შემოვლენ? ყველა ქართველს დაუყენებენ თითო ჯარისკაცს? ერთხელაც ხომ გავლენ. რუსეთის ტრაგედია შემდეგია - მან აღმოაჩინა, რომ 2003 წლის მერე საქართველომ ააშენა მყარი და ფესზე დამდგარი ქვეყანა. მეორეც - რუსეთმა აღმოაჩინა, რომ საერთოდ არ ჰყავს მოკავშირეები პოლიტიკურ სპექტრში და არა მხოლოდ არ ჰყავს მოკავშირეები, არამედ მოკავშირეების გაჩენის შანსიც არ აქვს.

- თუმცა, საქართველოში გამართული კულტურული შეხვედრებიდან მოსკოვში დაბრუნებულმა შეიძლოა განაცხადოს, რომ აქ ბევრი თანამოაზრე იპოვა.

- ჩვენ ვლავარაკობთ პოლიტიკაზე და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაზე. ის, რომ ჩვენი ეკლესიის იერარქები შეიძლება ჩავიდნენ მოსკოვში და რუსული ეკლესიის იერარქები ჩამოვიდნენ აქ, ის რომ ქართველმა რეჟისორმა დადგას სპექტაკლი მოსკოვში და რუსმა მომღერალმა იმღე-



გიორგი ვაშაძე

როს თბილისში, სიტუაციას არ ცვლის. ორ სახელმწიფოს შორის არავითარი ურთიერთობები არა მხოლოდ არ არსებობს, არამედ - ჩვენგან განსხვავებით, რუსეთმა მანვერის საშუალებაც არ დაიტოვა. ამ მოუფიქრებელი და ემოციური აქტით რუსეთმა, ფაქტობრივად, კუთხეში მიიმწყვდია საკუთარი თავი. მეც რომ რჩევამთხოვონ, ვერ წარმომიდგენია, ამ ჩიხიდან როგორ უნდა გამოვიდნენ.

- ანუ რუსულ-ქართულ პოლიტიკურ დიალოგს მომავალ არა აქვს?

- როგორ უნდა ილაპარაკო დღეს დიალოგზე, როცა რუსეთმა, ნიკარაგუამ, "ჰეზბოლამ" და "ჰამასმა" ცნეს ეგრეთ წოდებული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამ პირობებში როგორ შეიძლება რაიმე პოლიტიკური დიალოგი, გარდა ერთისა - თქვენ გავყავთ საოკუპაციო ძალები, შემდეგ იწყება პირდაპირი დიალოგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და ამის შემდეგ თქვენ საქართველოს სახით იღებთ მოკავშირეს, იღებთ კეთილგანწყობილ მეზობელ ქვეყანას, რომელიც მზად იქნება, თქვენი სასიცოცხლო ინტერესები გაითვალისწინოს.

- შენთვის შეხვედრები უპერსპექტივოა?

- შენთვის შეხვედრებს რუსეთი უახლოეს პერიოდში მოკლავს, როგორც მოკლა ეუთოს მისია საქართველოში და როგორც მოკლავს გაეროს მისიას საქართველოში.

- ანუ რეალურად რუსეთი საქართველოს დამკვირვებლების გარეშე თვებს. ჩვენ რა შევიძლება გავაკეთოთ ამ სიტუაციაში?

- რუსეთს არ სჭირდება მონაწილეობა საქართველოში. იმიტომ, რომ მიდის საერთაშორისო ნორმების მასობრივი დარღვევები, საქართველოს 20 პროცენტი ოკუპირებულია და ხდება ყველაფერი ის, რაც წინააღმდეგობაში მოდის არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის, არამედ ცივილიზებული ქვეყნის ნორმებთანაც კი. ამიტომ ზედმეტი დამკვირვებლები რუსეთს არ სჭირდება. რა თქმა უნდა, შენთვის ფორმატიც არ სჭირდება - შენთვის ფორმატიც არ სჭირდება - შენთვის ფორმატიც არ სჭირდება - შენთვის ფორმატიც არ სჭირდება - შენთვის ფორმატიც არ სჭირდება 16 წელიწადი. მოხდა კონფლიქტის განხილვის ინტერნაციონალიზაცია და თავად ამ პროცესში წარ-

მოდგენილია, როგორც კონფლიქტის მხარე. ამას რუსეთის ფედერაცია აუცილებლად შეეზობილება. მაგრამ არის კომპონენტი, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ვერაფერს მოუხერხებს - ეს არის ევროპის კავშირი და ევროკავშირის დამკვირვებლები. ჩვენ ვაკეთებთ იმას, რომ გავამყაროთ ევროკავშირის ყოფნა საქართველოში, გავზარდოთ ევროკავშირის დამკვირვებელთა რაოდენობა და რაც მთავარია, განვამტკიცოთ საერთაშორისო თანამეგობრობაში უკვე არსებული აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთი კატეგორიულად არ ასრულებს სარკოზის შუამავლობით ნაკისრ ვალდებულებებს.

- რამდენად ეფექტიანი იქნება ევროკავშირის დამკვირვებელთა მუშაობა საქართველოში იმ პირობებში, როცა ისინი ვერ შედიან და ვერ შევლენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე?

- თქვენ მეკითხებით, რამდენად ეფექტური იქნება ის აქსიომა, რომ რუსეთმა არ შეასრულა სარკოზის გეგმით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები. იმაზე კი არ არის საუბარი, რომ ამ დამკვირვებლებმა დაადასტურონ ეთნონიმების ფაქტები, ეთნონიმინდაზეც კი არ შეიძლება რეალურად საუბარი - მაგალითად სამაჩაბლოს ტერიტორიიდან გამოძევებულები არიან არა მარტო ქართველები, არამედ - ეთნიკური ოსების უმრავლესობა. ჩვენ ვლავარაკობთ იმაზე, რომ რუსეთი არ ასრულებს სარკოზის გეგმით ნაკისრ ვალდებულებებს. დევნილები ვერ ბრუნდებიან თავიანთ სახლებში, რუსებს არ გაჰყავთ საოკუპაციო ჯარები და არ უბრუნდებიან 7 აგვისტომდე არსებულ მდგომარეობას, რუსეთს არ გაჰყავს ეგრეთ წოდებული მთავრობები, რომლებიც არაფერს წარმოადგენენ, თუ არა საოკუპაციო ჯარების მიერ შექმნილ მარიონეტულ რეჟიმებს. როგორც კი რუსები მოკლავენ შენევას, ეს აზრი გახდება საერთო.

- თუმცა, ამ პერიოდში დღეს არსებული ელემენტარული გარანტიების გარეშე დარჩებიან ისინი, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობს. მაგალითად, იგივე გალის მცხოვრებნი.

- გალის მოსახლეობის შევიწროვებას, დარბევას დამკვირვებლების არსებობამ ხელი ვერ შეუშალა. ამიტომ

უნდა გვესმოდეს, რომ ყველაფერი არის დამოკიდებული ჩვენს ერთიანობაზე, ჩვენს გამძლეობაზე, ჩვენს მოთმინებაზე, დამოკიდებულია იმის კარგად გაცნობიერებაზე, რომ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი არის ოკუპირებული. ჩვენ ან გავუძლებთ ამ ოკუპაციას და ვნახავთ, როგორ დატოვებს ბოლო ოკუპანტი ჯარისკაცი საქართველოს ტერიტორიას, ან დაგნებდებით. კომფორტული ოკუპაცია მე არ გამიგია - ის, რომ ოკუპანტი იქ იყოს და ოკუპირებული მოსახლეობის უფლებები იყოს გარანტირებული. ჩვენი ისტორიული ბედი ახლა წყდება. ჩვენი იარაღი არის მოთმინება, ჩვენი სიმართლე - საერთაშორისო ნამაღი.

- კომფორტული ოკუპაცია ასხენით. გასაგებია, რომ პოლიტიკაში ყოველთვის ვერ ხერხდება კომფორტული გადაწყვეტილებების მიღება, მაგრამ თქვენგან, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრისგან, მაინტერესებს - რამდენად აუცილებელი და გამართლებული იყო ენგურჰისის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება?

- საქართველოში არ არის ადამიანი, ვინც სახელმწიფო უწყებების მიერ 2003 წლის შემდეგ მიღებულ წარმატებებში პირველ ადგილზე არ დააყენებს ენერგეტიკის სამინისტროს. ამიტომ, რა საფუძველი გვაქვს იმისთვის, რომ ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობის კომპეტენციაში შევიტანოთ ეფვი. თან, არავისთვის არაფერი არ მიუყვლიდათ და გადაუტყველოთ - იქნება ერთობლივი მმართველობა, რაც კომერციულადაც საინტერესოა. ენგურჰისს აქვს ელექტროენერჯია, რომლის იმპორტის განხორციელებაც შეიძლება. ეს იმპორტი კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩრდილოეთის მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს. სტაგროპოლი და კრანსოდარში ადგილობრივი რესურსის დეფიციტის გამო ელექტროენერჯიაზე ყველაზე მაღალი ფასია. ეს არის კომერციული მხარე. რაც შეეხება მორალურ - ჩვენ ენგურჰისი შევიწარმეთ და ელექტროსადგურის გაყიდვაზე არც ახლა საუბარი. თუმცა სადგურს ესაჭიროება რეაბილიტაცია და "რაო"-ს ამის რესურსი აქვს. რა პრობლემაა. "რაო-ეისი" საქართველოში ოკუპაციით პირდაპირ რომ არ მონაწილეობს, იმიტომ, რომ ჩვენთან თანამშრომლობს, ესეც ფაქტი არ არის? აქ შემოვიდა და ამას სუპერატისტივის მარიონეტული რეჟიმის მხრიდან კი არ აკეთებდა, არამედ საქართველოს ხელისუფლებასთან მოვიდა. კომპანიის ქვევა, როგორც კომერციული სტრუქტურისა, აბსოლუტურად შეესაბამება ჩვენს კანონს ოკუპირებულ ტერიტორიაზე კომერციული საქმიანობის შესახებ. პრობლემა არა გვაქვს - დარეგისტრირდით თბილისში და, საქართველოს მთავრობის ნებართვით, აწარმოეთ საქმიანობა გინდა აფხაზეთში, გინდა სამაჩაბლოში. "თელასიცი" ხომ "რაო-ეის" ეკუთვნის. მას ხომ საბოტაჟისთვის არ მიუშვარავენ. როგორც ქართულ საიტებსა და სატელეფონო სადგურებზე მიიტანეს იერიში, ხომ შეეძლოთ, რომ შუქიც გაეთმოათ.

- თქვენს ორმაგ მოქალაქეობაზე უნდა ვკითხოთ.

- რატომ არ ვამბობ უარს რუსეთის მოქალაქეობაზე? გიპასუხებთ. ამისთვის რამდენიმე მიზეზია. პოლიტიკური მიზეზებია, რომ ეს მოქალაქეობა მჭირდება, შესაძლოა, მომავალში დამჭირდეს გასაგებია მიზეზების გამო, რომელთა ახსნა-განმარტება არავის სჭირდება. ტექნოლოგიური მიზეზია ის, რომ მოქალაქეობაზე უარის თქმის შემთხვევაში არის გასაღველი მთელი რიგი პროცედურები, მათ შორის - მოსკოვში ჩასვლა, რაც ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობაში გამორიცხებულია. პირადი მიზეზი არის ის, რომ ემოციურად ვარ რუს ხალხთან და რუსულ კულტურასთან ერთად. მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, ამის კონსტიტუციური უფლება მაქვს.

თავდასხმა ენგურის ხიდთან ქართული პოლიციის საგუშაგოზე

ენგურის ხიდთან მდებარე ქართული პოლიციის საგუშაგოს აფხაზი სეპარატისტებისა და რუსი ოკუპანტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ცეცხლი გაუხსნეს. ტყვიამფრქვევიდან, ასევე "გრადისა" და "მუხას" ტიპის ყუმბარმტყორცნებიდან სროლა 14 იანვარს, გამთენიისას, ათი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. სროლა მიზანმიმართულად წარმოებდა. თვითმხილველების განცხადებით, თავდასხმელები ენგურის ხიდის შუა ნაწილამდე იყვნენ გამოსულები. სროლამდე რამდენიმე წუთით ადრე ურალის მარკის სატვირთო ავტომანქანებით ხიდთან რუსი ოკუპანტები შემოიყვანეს.

შეინიშნებოდა მძიმე ტექნიკის მობილიზებაც. ქართულ პოლიციას საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია. ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია. ქართული პოლიციის საგუშაგოს მიმართულებით ცეცხლის გახსნის ფაქტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომაც დაადასტურა. შემთხვევის ადგილი მოგვიანებით ევროკავშირის დამკვირვებლებმა დაათვალიერეს. მომხდარ ფაქტზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გააკეთა და გააპროტესტა რუსეთის მხარის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან განხორციელებული "მორიგი ავანტიურისტული ქმედება", რომელიც "არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო დაძაბვას ემსახურება." **საკუთარი ინფორმაცია**

ილია მეორე: არ არსებობს სიტუაცია. საიდანაძე გამოსავლის პოვნა არ შეიძლება

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს ძველი სტილით ახალი წელი წმინდა სამების საკათედრო ტაძრიდან მიულოცა. "არ არსებობს სიტუაცია, საიდანაძე გამოსავლის პოვნა არ შეიძლება," - ამ სიტყვებით დაიწყო გუშინდელი ქადაგება უწმინდესმა და უნეტარესმა. მან ქართულ ერს მშვიდობა, სულიერი სიმშენე და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება უსურვა. საახალწლო ნორვალიკის შემდეგ ილია მეორემ, იესო ქრისტეს წინადაცვეთის დღესთან დაკავშირებით, პარაკლისი გადაიხადა. ამ დღესასწაულს მართლმადიდებელი სამყარო ყოველწლიურად, 14 იანვარს აღნიშნავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ოსი სეპარატისტები რეაბილიტაციის კურსს რუსეთში გაივლიან

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ავგისტოს მოვლენების დროს დაჭრილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამხედრო მოსამსახურეები რეაბილიტაციის კურსს რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა სამხედრო ჰოსპიტალში გაივლიან. სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის 40 სამხედრო მოსამსახურე რეაბილიტაციის კურსს რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა სამხედრო ჰოსპიტალში გაივლის. ეს რუსეთის თავდაცვის მინისტრისადმი პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის თხოვნის საფუძველზე მოხდება. 5 სამხედრო მოსამსახურე რეაბილიტაციის კურსის გასაველელად როსტოვის სამხედრო ჰოსპიტალში დღეს გაემგზავრება. **ჯი-ეიჩ-ენი**

"ლეიბორისტები" "ყაზტრანსგაზს" უკანონო საქმიანობაში ადანაშაულებენ

"ლეიბორისტული პარტიის" აღმასრულებელი მდივანი პაატა ჯიბლაძე კომპანია "ყაზტრანსგაზს" უკანონო საქმიანობაში ადანაშაულებს. როგორც გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, "ყაზტრანსგაზთბოლისი" საკუთარ აბონენტებს აიძულებს, მრიცხველები თავიანთი ხარჯებით შეამოწმონ და ახალი მრიცხველები იყიდონ. "მიუხედავად იმისა, რომ სემექმა 2008 წლის 18 დეკემბერს აღნიშნულ უკანონო ქმედებებისთვის "ყაზტრანსგაზთბოლისი" 15 ათასი ლარი დააჯარიმა, ეს კომპანია კვლავ აგრძელებს მსგავს ღონისძიებებს და ჩვენი მოქალაქეები მრიცხველების შემოწმებაში 7 ლარს, ხოლო ახალი მრიცხველების შეძენაში 125 ლარს იხიდან. მოუწოდებ ხელისუფლებას, მოახდინოს რეაგირება მსგავს ფაქტებზე და აღკვეთოს ამ ყაჩაღი კომპანიის საქმიანობა საქართველოში," - განაცხადა პაატა ჯიბლაძემ. მისი განცხადებით, "ყაზტრანსგაზთბოლისი" საქმიანობის შეჩერების მოთხოვნით "ლეიბორისტული პარტია" ქუთაისში, სემეკის შენობის წინ და თბილისში, "ყაზტრანსგაზთბოლისის" შენობასთან აქციების გამართვას გეგმავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

გერმანიის თავდაცვის მინისტრის საპარლამენტო მდივანმა სერყანტა მომზადების სკოლა მოინახულა

გუშინ გერმანიის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის საპარლამენტო მდივანმა თომას კოსენდამი, თანმხლებ პირებთან ერთად, სერყანტა მომზადების სკოლა მოინახულა და მის სტრუქტურულ დანაყოფებთან ერთად, სასწავლო პროგრამას გაეცნო. გერმანული დელეგაცია სერყანტა სკოლაში გამართულ შეხვედრაზე პრეზენტაციას დასწრით, რის შემდეგაც დელეგაციის წევრები კუმისის პოლიგონზე გაემგზავრნენ, სადაც სპეციალურად მათთვის საჩვენებელი პარტიზანული სწავლება გაიმართა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი მუჩაიძის განცხადებით, საქართველო გერმანიის ფედერაციისგან მნიშვნელოვან დახმარებას გრძობს. ორ ქვეყნას შორის სტრატეგიული პარტნიორობის თემაზე კომენტარი გერმანიის თავდაცვის მინისტრის საპარლამენტო მდივანმა თომას კოსენდამიც გააკეთა. მან საქართველოს შეიარაღებულ ძალებს წარმატებას უსურვა, რაც, მისი განცხადებით, მხოლოდ კვალიფიკური კადრებით არის შესაძლებელი. გერმანულმა მხარემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მერსედესის ტიპის 25 ამბოლატორიული მანქანა გადასცა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ვაშინგტონის ძლიერი წინააღმდეგობა

პირობული ბავარდიანი

კლინტონი აღნიშნავს, რომ, სახელმწიფო მდევნად დანიშვნის შემთხვევაში, გეგმავს, მჭიდროდ ითანამშრომლოს რუსეთთან და ჩინეთთან ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და ატომური იარაღის გაუფრცვლებლობის საკითხებში. თუმცა, მისივე თქმით, შეერთებული შტატები არ აპირებს, ამ ურთიერთობებს აშშ-ს ინტერესები და საერთაშორისო სამართლის ნორმები მსხვერპლად შესწიროს.

"ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძლიერი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს რუსეთის მცდელობას, დააშინოს მეზობელი სახელმწიფოები და ამ მუქარასთან მიმართებაში დათმობაზე არც ერთ შემთხვევაში არ უნდა წავიდეს. რუსეთსა და საქართველოს შორის იმის შემდეგ, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ ნატო-ს კარი ამერიკის მეგობარი დემოკრატიული ქვეყნებისთვის, საქართველოსა და უკრაინისთვის კვლავ ღიაა... ახალი ადმინისტრაციის მისამართით დემოკრატიული მეთოდების პირველი მუქარა არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვების მეორე დღესვე გაისმა. დამინების ასეთი მცდელობები ჩვენთვის მიუღებელია და შეერთებული შტატები ამას არასოდეს დაუშვებს," - ოფიციალური მოსკოვის მიმართ მკაცრი ტონი აქვს შერჩეული ჰილარი კლინტონს.

აშშ-ს მომავალი სახელმწიფო მდივნის ასეთ განწყობას რუსმა პოლიტიკოლოგებმა და ექსპერტებმა აშკარად ნაუწყრეს და კლინტონის გამოსვლაში მხოლოდ მოს-

კოვისთვის სასურველი ფრაგმენტები "შეამჩნიეს".

"კონგრესში კლინტონის გამოსვლა მინიშნებს თეორიის სახლის ახალი ადმინისტრაციის სურვილს, დაამყაროს კონსტრუქციული ურთიერთობები რუსეთთან. ამერიკელები შეცდებიან, თავი აარიდონ რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვას," - მიიჩნევს აშშ-სა და კანადის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვიქტორ კრემენიუკი, რომელიც ასევე ვარაუდობს, რომ უახლოეს მომავალში მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება გამოირიცხულია.

ანალოგიური მოსაზრება აქვს ფონდ "ახალი ევრაზიის" პრეზიდენტ ანდრეი კორტუნოვს. მისი თქმით, კლინტონის გამოცვლამ ნათლად აჩვენა, რომ შეერთებულ შტატებს კვლავ პრინციპული მიდგომა ექნება საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

"მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის დიალოგი პაუზა გარდაუვალია. ვიდრე ჩამოყალიბდება ახალი გუნდი, შემუშავდება სტრატეგია და პრიორიტეტი, ბევრი წყალი ჩაივლის. გარკვეული კონტურები გაზაფხულის ბოლოსთვის გამოიკვეთება, როდესაც ნატო-ს სამიტი ჩატარდება და ამ შეკრებაზე საქართველოსა და უკრაინის საკითხი განიხილება," - აღნიშნავს კორტუნოვი.

როგორც ჩანს, რუსმა ექსპერტებმა არ ისურვეს იმის შესახებ საუბარი, თუ რას პასუხობს ჰილარი კლინტონი კონგრესის საგარეო პოლიტიკოლოგებმა და ექსპერტებმა აშკარად ნაუწყრეს და კლინტონის გამოსვლაში მხოლოდ მოს-

დის მიხედვით, რადგანაც მომხსენებლის დრო კომიტეტის სხდომაზე შეზღუდულია, მას კომიტეტის წევრები წერილობით უგზავნიან კითხვებს, სადაც ასევე წერილობით არის პასუხები გაცემული.

"24 საათმა" სწორედ წერილობითი კითხვა-პასუხის ასლი მოიპოვა. გათავაზობთ ჰილარი კლინტონის პასუხებს, რომელიც საქართველოსა და რუსეთის შესახებ დასმულ კითხვებზეა გაცემული.

შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს ჰილარი კლინტონი რუსეთის ხელისუფლების ხედვაზე, რომ საქართველო მოსკოვის გავლენის სფეროა, რასაც საფრთხეს უქმნის საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება, აშშ-ს მომავალი სახელმწიფო მდივანი მკაფიოდ პასუხობს:

"შეერთებული შტატები და ჩვენი მოკავშირეები ერთხმად უარყოფთ გავლენის და ინტერესების სფეროებად დაყოფის პრინციპს და მხარს ვუჭერთ რუსეთის მეზობლების ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ამ ქვეყნების დახმარება მათი სუვერენიტეტის გაძევების საქმეში არა მარტო დიპლომატიურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას გულისხმობს, არამედ ასევე იმ სტრატეგიის განვითარებას, რაც მათ დაეხმარება რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევაში."

შეკითხვაზე, თუ როგორ გავრძელებდა ამერიკის მიერ საქართველოსთვის ფინანსური დახმარების გამოყოფა, ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ეს დახმარება საქართველოს დემოკრატიის და დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად და გასაძლიერებლად არის გა-

კოლიტიკური ბატალიები ენბურჰეისის ბარჯემო

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და რუსულ "ინტერრაო ექს" შორის ვაფორმებულმა ურთიერთვაგებლის შემორანდუმმა, რომლის საფუძველზეც ენგურჰესის ერთობლივი მართვის ხელშეკრულება უნდა მოეწეროს ხელი, საპარლამენტო ოპოზიციის გაღიზიანება გამოიწვია. მისი წარმომადგენლების მტკიცებით, არსებობს საშიშროება, რომ რუსეთი ენგურჰესის სრულად გაკონტროლებას მოახერხებს და ამით საქართველოს მთელი ენერგოსისტემა მის ხელში აღმოჩნდება. საინტერესოა, რომ საქართველოს მთავრობას ენგურჰესის მენეჯმენტის საკითხში ოპონენტები აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებაშიც გამოუჩნდნენ.

ენგურჰესის გასხვისების საფრთხით შეფუთებული საპარლამენტო უმცირესობის წევრები მთავრობის ნდობის საკითხის დაყენებას აპირებენ. ეს, საგარეოდ დედ, იმ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ მოხდება, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილებას გაზრდას და პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირებას ითვალისწინებს.

"ენგურჰესის შესახებ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის სრულიად გაუმართლებელი და მთავრობამ ამაზე პასუხი უნდა აგოს. როგორც ჩანს, ხელისუფლება ამ დოკუმენტზე ხელმოწერას მაინც აპირებს და ამიტომ, მინისტ-

თველის პარლამენტს.

ამასთან, ვიცე-სპიკერი ითხოვს, რომ ასეთი თანხმობის გაცემა საერთოდ აიკრძალოს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოს კვობით არჩეული ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე.

ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ ენგურჰესის მართვის გასხვისების შესაძლებლობა საქართველოს კანონმდებლობაში არსებულმა ხარვეზებმა წარმოშვა. ამიტომ, პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი კატეგორიულად მოითხოვს, რომ "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონში შევიდეს ცვლილებები, რომლითაც აღმასრულებელ ხელისუფლებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური პროექტების განხორციელების ყველაწიერი ნებართვის გაცემის უფლება ჩამოერთმევა.

"ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის თანახმად, მთავრობას უფლება აქვს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე გარკვეული სახის საქმიანობის ნებართვები გასცეს. სწორედ ეს არის ის ხერხი, რომლის მეშვეობითაც ჩვენმა ხელისუფლებამ რუსეთთან ენგურჰესის 10-წლიანი ერთობლივი მართვის მემორანდუმზე გააფორმა. ამიტომ რეალურად კი ამით მოხდა საქართველოს მიერ იმის აღიარება, რომ აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაშია.

"რეალურად კი ამით მოხდა საქართველოს მიერ იმის აღიარება, რომ აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაშია - ქართულმა მხარემ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც, რუსეთი იღებს ვალდებულებას, გადახდილი იყოს აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური," - აღნიშნავს ვეფხვაძე.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივების განხილვას "ქრისტინან-დემოკრატები" საგაზაფხულო სესიაზე ითხოვენ, რომელიც თებერვლის დასაწყისში გაიხსნება.

მოყოფილი. მისი თქმით, გადამწვეტი იქნება ამ თანხმობის ხარჯვის ტრასპარენტულობა. **"ჩვენ მივეცემოვართლი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის და სხვა ქართველი ოფიციალური პირების მიერ გამოხატულ მზადყოფნას, რაც საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას ისახავს მიზნად,"** - დასძინა კლინტონმა.

ჰილარი კლინტონის განცხადებასთან დაკავშირებით ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან საკმაოდ ოპტიმისტური კომენტარები კეთდება. აღსანიშნავია, რომ სახელისუფლებო გუნდისა და საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა შეფასებები თითქმის მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს.

"პრეზიდენტ ობამას კაბინეტის წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად პრინციპული და თანმიმდევრული იქნება ვაშინგტონის პოზიცია რუსეთთან მიმართებაში. შესაბამისად, კონგრესში კლინტონის გამოსვლამ დაადასტურა, რომ ეს პოზიცია ნამდვილად იქნება თანმიმდევრული, მკაცრი და შესაბამისად, წარმატებული," - აღნიშნავს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი.

"კლინტონის განცხადება მეტყველებს, რომ ამ რეგიონში შეერთებული შტატების მიდგომები იქნება თანმიმდევრული და ამით ვაშინგტონის პოზიცია უფრო გაძლიერდება," - მიიჩნევს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე.

ტერორიზმი

დანაშაული, როგორც წინააღმდეგ მსოფლიო ერთიანდება

თამარ კაციაძე

ბოლო პერიოდში, ტერორიზმი, თავისი მასშტაბებით, ინტენსიურობითა და სისასტიკით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისთვის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და საჭირობო საკითხად იქცა. ბევრი ადამიანისთვის, პოლიტიკური ჯგუფისა თუ ორგანიზაციისთვის ტერორიზმი პოლიტიკური, რელიგიური და ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებაა, რომლის მსხვერპლიც ხშირ შემთხვევაში უდანაშაულო ადამიანები ხდებიან.

ვინ არის ტერორისტი

საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის ანალიტიკურ განყოფილებაში მომზადებული ანალიზის მიხედვით, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, ტერორიზმის საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია დღემდე არ არსებობს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ყველა ტერორისტული ორგანიზაცია ყველაზე და ყოველთვის იყენებდა და იყენებს ხუთ ძირითად მეთოდს: შურისძიება, დაშინება, პროვოკაცია, ნგრევა და შანტაჟით ფულის გამოძალვა.

1999 წელს, გაერომ, ერთა ლიგის პროექტზე დაყრდნობით, ტერორიზმის შემდეგი ფორმულირება მიიღო: "ყველა კრიმინალური აქტი, მიმართული უშუალოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ, უბრალო ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებში, ან საზოგადოებაში მთლიანად, ტერორის მდგომარეობის შექმნის მიზნით, რომელსაც არ გააჩნია გამამართლებელი გარემოება, მიუხედავად იმისა, რომ მათი პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური საფუძველები ამართლებს მათ ქმედებას."

თუ მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ტერორისტები მტრებად მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებსა და პოლიტიკურ ლიდერებს თვლიდნენ, ჩვენ დროში, ტერორისტული აქტის სამიზნედ იქცა ნებისმიერი მოქალაქე. აღსანიშნავია, რომ ექსპერტები თანამედროვე ტერორის მთავარ მიზნად მასმედიის მკვეთრ რეაქციას მიიჩნევენ. ტერორისტული აქტი თავის სიმძაფრეს კარგავს, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იგი არ განიხილეს, რადგან, ექსპერტთა აზრით, იკარგება კავშირი დამგვამავსა და აუდიტორიას შორის, რომელზე ზემოქმედების მიზნითაც განხორციელდა ტერორისტული აქტი.

ტერორისტული კვლევების ცენტრის მონაცემებით, უმეტეს შემთხვევაში, ტერორისტები ერთდროულად რამდენიმე მიზანს ისახავენ. მაგალითად, პალესტინური "ჰამასი", ერთი მხრივ, აქტიური რეჟიმის შეცვლის მიზნით, პალესტინის ავტონომიის ხელისუფლებას ებრძოდა, მეორე მხრივ კი, ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ გამოდიოდა. "ალ-ქაიდა" კი სამ ძირითად მიზანს ისახავს: პირველ რიგში, ისლამის ხალიფატის შექმნას (თანამედროვე მუსლიმური ქვეყნების მთავრობების ჩამოგდება), მეორე - ისრაელის განადგურებას და "კაფირების" (არამუსლიმების) განდევნას ოკუპირებული ისლამური ტერიტორიებიდან და მესამე - ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას.

თანამედროვე ტერორიზმი

ექსპერტთა განცხადებით, თანამედროვე ტერორიზმის კლასიფიცირება რამდენიმე ნიშნით შეიძლება. გამოყოფენ მასიურ ტერორს, რომლის მსხვერპლი ასობით და ათასობით შემთხვევი-



გორის ტერაქტი.



პანკისის ხეობა.

თი მოქალაქე ხდება და ინდივიდუალურ ტერორს. განსაკუთრებული ნაირსახეობაა სახელმწიფო ტერორიზმი, როცა ტერორისტული აქტის შემკვეთი და დამგვამავი ან უშუალოდ სახელმწიფოა, ან კერძო პირი, რომელიც ასეთ თუ ისე მოქმედებს სახელმწიფოს ინტერესებით და დაკავშირებულია მმართველ კლასთან.

მეცნიერები გამოყოფენ ტერორიზმის რამდენიმე მიმდინარეობას: პირველი - იდეოლოგიური ტერორიზმი, როცა რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგია იდევნება ან პოლიტიკური ზეწოლის ქვეშაა. მეორე - ეთნიკური ტერორიზმი, როცა სუბიექტია ეთნიკური თემი, რომელსაც უარი ეთქვა ეთნო-პოლიტიკურ თვითგამორკვევაზე. ასეთ შემთხვევაში ეს ჯგუფი ერთადერთ სხნას ტერორიზმში ხედავს. ამის მკაფიო მაგალითია ბასკები (ეჭა), სიცილიელი სეპარატისტები, ირლანდიელები, ქურთები, პალესტინელები, ჩეჩნები და სხვ. მესამე - რელიგიური ტერორიზმის დროს სუბიექტად გამოდის რელიგიური უმცირესობა ან რომელიმე რელიგიის აქტიური ავანგარდი. მეოთხე - კრიმინალური ტერორიზმი, განსხვავებით უბრალო ბანდიტიზმისგან, უფრო გლობალურ მოთხოვნებს აყენებს, ვიდრე უბრალოდ ფულის მიღებას. მესხეთე - ინდივიდუალური ტერორიზმის სუბიექტი არაა საზოგადოება, არამედ ცალკეული პირია. მეექვსე - ინფორმაციული ტერორიზმი, ტერორისტუ-

ლი საქმიანობის ყველაზე ახალი სახეობაა, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტულ სახელმწიფოსა და მსოფლიოს საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ გარემოზე სხვადასხვა ფორმებითა და მეთოდებით ზემოქმედებაზე.

თანამედროვე საერთაშორისო ტერორიზმს საკმაოდ ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა აქვს. ტერორისტული დაჯგუფებების მიერ ხდება მსოფლიო ბაზრებისთვის ნარკოტიკებისა და იარაღის მიწოდება, რასაც მილიარდობით დოლარი მოაქვს. ტერორისტები ასევე აკონტროლებენ რეკეტს, პროსტიტუციას, კონტრაბანდას, სათამაშო ბიზნესს და ყველა დანარჩენ მსხვილ "შავ" ბიზნესს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც ყოველ წელს აქვეყნებს ანგარიშს ტერორიზმის შესახებ, საერთაშორისო ტერორიზმის დამფინანსებლად თვლის კუბას, ირანს, ლიბიას, ჩრდილოეთ კორეას, სუდანს და სირიას. სახელმწიფოების "ტერორიზმის სპონსორების" სიაში მოხვედრა ნიშნავს მათთვის იარაღით ვაჭრობის აკრძალვას, კონტროლის გამკაცრებას "ორმაგი დანიშნულების" საქონლის მიწოდებაზე, ფინანსური და ეკონომიკური დახმარების აღმოჩენის აკრძალვას, ასევე ზეწოლის სხვა მეთოდებს (მაგალითად, აშშ-ს შეუძლია გამოიყენოს თავისი გავლენა და დაბლოკოს საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურების მიერ ამ ქვეყნებისთვის

ის კრედიტის მიცემა). დიდი დაფინანსებისა და შესაძლებლობების გამო საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გლობალურ პრობლემად იქცა.

თუმცა, ექსპერტთა განცხადებით, ტერორიზმთან საბრძოლველად ერთი დიდი სახელმწიფოს, ან თუნდაც მაღალგანვითარებულ სახელმწიფოთა ჯგუფის ძალისხმევა საკმარისი არაა. საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ საჭირო ნაბიჯები გადადგან ტერორიზმთან ბრძოლაში საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტების ეფექტურობის ამაღლების მიზნით. გაეროს და ევროპის საბჭოს ეგიდით მიმდინარეობს მუშაობა ანტი-ტერორისტული თანამშრომლობის საკანონმდებლო საფუძვლების დასახვეწად. ამ ორგანიზაციებმა წლების განმავლობაში რამდენიმე კონვენცია მიიღეს, რომლებსაც ხელი მოაწერა 38 ქვეყანამ, მათ შორის არის "ტერორიზმის პრევენციის შესახებ" კონვენცია, რომელსაც საქართველომ ხელი მოაწერა 2005 წლის 14 დეკემბერს. ზოგიერთი სახელმწიფო განსაკუთრებული დათქმით შეუერთდა კონვენციას. მაგალითად, აზერბაიჯანმა გააკეთა ტერიტორიული დათქმა და განაცხადა, რომ კონვენციის პირობების სრულად განხორციელებას ვერ შეძლებს, სანამ სომხეთს მისი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული. დათქმები გააკეთა ასევე რუსეთმა, უკრაინამ და თურქეთმა.

პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის ანალიტიკური განყოფილების განცხადებით, საქართველოს მიერ თუ ვეროსაბჭოს "ტერორიზმის პრევენციის შესახებ" კონვენციასთან, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ამ საფრთხის თავიდან აცილებას და მასთან ბრძოლის საშუალებების გაუმჯობესებას.

ტერორიზმი და საქართველო

საქართველოში ტერორისტული დანაშაულები ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პარიოდიდან ფიქსირდება. კომუნისტური საქართველოს სამართალწარმოებამ ტერორიზმით დაკვალიფიცირებული რამდენიმე ფაქტი შემოინახა. მათ შორის იყო 1961 წლის თებერვალში, თბილისში სტუმრად მყოფი ხრუმ-ჩოვის ლიკვიდაციის მცდელობა. იმ დროს ტერორისტულ შეთქმულებაში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავეს. გამოძიების მტკიცებით, ანტისაბჭოურად განწყობილ ეჭვმიტანილებს, შინაგანი და საგარეო პოლიტიკის შეცვლის მიზნით, საბჭოთა მეთაურის ლიკვიდაცია ჰქონდათ გადაწყვეტილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კარგა ხნის მანძილზე, ქვეყანაში ტერორისტული დანაშაული ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რასაც ასეულობით ადამიანის სიცოცხლე თუ ჯანმრთელობა შეეწია.

ნიკა კეკელიძე, სოლიკო ხაბიევილი, გია გულუა, გია ყარყარაშვილი, გია ჭანტურია, გურამ თევზაძე, ნუგზარ შვეარდნაძე, ჯანა იოსელიანი - ეს საქართველოში მომხდარ ტერორისტული აქტების სამიზნეების მცირე ჩამონათვალია. თუმცა, საქართველოში ტერორისტთა ყველაზე ხშირი სამიზნე ქვეყნის მეთაური დღეგრევი შვეარდნაძე იყო. მის მიმართ ტერორისტული აფეთქება ოთხჯერ დაიგეგმა. სხეულის მცირე დაზიანებებს თუ არ ჩავთვლით, ტერორისტებმა მიზანს ვერც ერთხელ ვერ მიაღწიეს. გამოძიების მტკიცებით, ქვეყნის პირველი პირის მკვლელობის მიზანი ხელისუფლების შეცვლის სურვილი იყო.

თუ 90-იანი წლების დასაწყისში ტერორისტული დანაშაულების ასპარეზი ძირითადად ქვეყნის დედაქალაქი იყო, მოგვიანებით, ამ დანაშაულმა ძირითადად პერიფერიები და კონფლიქტის ზონებში გადაინაცვლა. გამოძიებით ოფიციალურად დადასტურდა ისიც,

რომ ტერორისტული აქტები სათავეს რუსეთში იღებდა.

შსს-ს ინფორმაციით, 2004 წელს განხორციელებული ტერორისტული აქტების მთელი სერია, რომელიც ძირითადად ოსი სეპარატისტების დაჯგუფებამ განახორციელა, რუსეთში დაიგეგმა და მათი მიზანი იყო, ზიანი მიეყენებინა საქართველოს ენერჯისტიკის, კავშირგაბმულობისა და სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებისთვის, რაც, საბოლოოდ, ქვეყნის დასუსტებას ემსახურებოდა.

რუსი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, 2004 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, დაიგეგმა და შიდა ქართლში განხორციელდა დივერსიულ-ტერორისტული აქტების სერია: 2004 წლის 9 ოქტომბერს, გორის რაიონის სოფელ შავშევების მიმდებარე ტერიტორიაზე, 500-კილოვატიანი ელექტროგამცემი ხაზი „ქართლი-2“-ის N365 და „ლიახვი“-ის N57 ანძების აფეთქება, რამაც საქართველოს ენერჯისტიკა მწყობრიდან გამოიყვანა. 2004 წლის 9 ოქტომბერს, კასპის რაიონში „გრკალი-მეტეხი“-ს გადასარბენზე რკინიგზის ლიანდაგის აფეთქება და 2004 წლის 17 ნოემბერს, ხაშურის სოფელ ჩორჩასთან მდებარე ნავთობსადენის რადიოგადამცემი სადგურის აფეთქება. ასევე, დაგეგმილი იყო შვეულმფრენის ჩამოგდება საზენიტო კომპლექსით „იგლა“-თი, რაც ვერ განხორციელდა, ჯგუფისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. ამ პერიოდის ერთ-ერთი მასშტაბური ტერორისტული აქტი იყო გორის პოლიციის შენობის აფეთქება.

საქართველოში ბოლო დროს განხორციელებული ყველაზე ხმაურიანი ტერორისტული აქტი საქართველოში ვიზიტად მყოფი აშშ-ის პრეზიდენტ ვორჯ ბუშის მიმართ განხორციელდა. "მარტოხელა ტერორისტის" - ვლადიმერ არუთინიანის განცხადებით, რომელმაც ბუშს ხელყუმბარა ესროლა, მისი მიზანი ქართულ-ამერიკული ურთიერთობების დაძაბვა იყო.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველო აქტუალური გახდა საერთაშორისო მასშტაბის ტერორიზმის კუთხითაც. საერთაშორისო ექსპერტების მტკიცებით, პანკისში მსოფლიოში ცნობილი, ყველაზე რადიკალური ტერორისტული დაჯგუფება "ალ-ქაიდას" ბაზა იყო განთავსებული, სადაც მსოფლიოსთვის საშიშ ტერორისტებს ამზადებდნენ.

ცნობილი ფაქტია, რომ ტერორიზმი "ჭუჭყიანი" ფულით იკვებება. ექსპერტთა განცხადებით, წლების წინ ამ თვალსაზრისით პანკისის ხეობა და საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიები - აფხაზეთი და სამაჩაბლო ძალზე ნარბატულად გამოიყენებოდა. უცხოელ ექსპერტთა ინფორმაციით, ეს ტერიტორიები ძალზე მიმზიდველი უბანი იყო შავი ფულის გათეთრებისთვის. ექსპერტთა მასალების მიხედვით, "ჭუჭყიანი" ფულის ერთი ნაწილი პანკისის ხეობას თავმეფარებულ ტერორისტებს ხმარდებოდა.

დღემდე მხოლოდ ზედაპირული ინფორმაცია არსებობს იმის თაობაზე, თუ როგორ შედიოდა პანკისის ხეობაში, ტერორისტების დასაფინანსებლად კოლონალური თანხები. ოცდამეერთე საუკუნის დამდეგის წებისმიერ საერთაშორისო ანგარიშსა თუ მოხსენებაში, რომელიც კი ტრანსნაციონალურ დანაშაულს ეხებოდა, პანკისის ხეობას მოიხსენიებდნენ, როგორც შავი ფულის წარმოქმნისთვის ხელსაყრელ ტერიტორიას, თუმცა, როგორ თეთრდებოდა იქ ადამიანის გატაცებით, ნარკონარმოებითა და იარაღის კონტრაბანდით მიღებული შემოსავლები, ამის შესახებ ფართო საზოგადოებას არაფერი შეუტყვია, თუნდაც იმ უბრალო მიზეზიდან გამომდინარე, რომ ამ პროცესში არცთუ მეორეხარისხოვანი როლს სწორედ ის მაღალჩინოსნები ასრულებდნენ, რომლებსაც ამ დანაშაულთან ბრძოლა უშუალოდ ევალებოდათ.

უპრესიდედნტო არაულობა ლატვიაში

ხელისუფლებით უკმაყოფილო მოსახლეობამ პარლამენტზე შტურმი მიიტანა

ლევან გალაშვილი

ლატვია აქამდე არნახული მასობრივი არეულობების მომსწრე გახდა. საპროტესტო აქციებში მონაწილე 40-ზე მეტი ადამიანი, პოლიციასთან შეტაკების შედეგად მიღებული სხვადასხვა სახის დაზიანებებით, საავადმყოფოებში მოათავსეს. არეულობა, რომელსაც პოლიტიკური მოთხოვნებიც ახლდა, მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმაზე მოსახლეობის ერთგვარ რეაქციას მოჰყვა. ლატვიის სამართალდამცველმა ორგანოებმა 126 დემონსტრანტი დააპატიმრეს. ქვეყნის ხელისუფლება დამნაშავეთა მკაცრად დასჯით იმუქრება.



კრიზისის შედეგად ევროკავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტად ლატვია დაზარალდა და, აქტივობრივად, ქვეყანა-ბანკოტად იქცა. დაახლოებით მსგავს სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან ესტონეთი და ლიტვაც. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ლატვიის ხელისუფლებამ, შესაძლოა, ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის წინააღმდეგ ზომები გაამკაცროს. უშიშროების სამსახურების თხოვნით, ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეტის საიტზე წაშლეს გვერდი, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდებებს შეიცავდა.

ლატვიის სეიმის შენობის წინ არეულობა ადგილობრივი დროით 19:00 საათზე, რიგის საკათედრო ტაძრის მოედანზე გამართული საპროტესტო აქციის დასრულების შემდეგ დაიწყო. აქციაში 20 ათას კაცზე მეტი მონაწილეობდა და მისი ორგანიზატორი ოპოზიციური საზოგადოება "განსხვავებული პოლიტიკისთვის" გახლდათ.

მასობრივი მღელვარება გამოიწვია ეკონომიკის სტაბილიზაციის მთავრობისუფლება გეგმამ, რომელიც ყველა სახელმწიფო დაწესებულების ხარჯების 15 პროცენტით შემცირებას, საბიუჯეტო მუშაკების ხელფასების გაყინვას და გადასახადების გაზრდას ითვალისწინებს.

საკათედრო ტაძრის მოედნიდან, დაახლოებით, 1000 დემონსტრანტი, რომელთა უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენდნენ, პარლამენტისკენ დაიძრა. საპროტესტო მსვლელობის მონაწილეებმა პარლამენტის დათხოვნის მოთხოვნა წამოაყენეს, რის შემდეგაც სეიმის შენობაში შეჭრა სცადეს. მათ წინ ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლები აღუდგნენ, რის გამოც დემონსტრანტებმა პოლიციელებს თოვლის გუნდების სროლა დაუწყეს, მოგვიანებით კი უფრო აგრესიული გახდნენ და შუშის ბოთლებზე, პეტარდებსა და ქვებზე გადავიდნენ. არეულობის შედეგად სეიმის შენობის მინები მთლიანად დაიმსხვრა. ასევე დაზიანდა ქვეყნის უმსხვილესი ბანკის "პარექსის" შენობის ვიტრინაც.

პოლიციამ, დაახლოებით, 01:00 საათზე სიტუაციაზე კონტროლი დაამყარა. დაკავებული იქნა 126-მდე ადამიანი. სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებებით საავადმყოფოებში გადაიყვანეს 40-ზე მეტი დამავეებული, მათ შორის, 7 სამართალდამცველი. შექმნილი მდგომარეობის კომენტარებისას ლატვიის სეი-

მის თავმჯდომარემ გუნდარს დაუდებ მანაცხადა, რომ "რიგაში არეულობებზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ოპოზიციამ უნდა აიღოს, რადგან სიციფე იყო საპროტესტო აქციების ჩატარება ეკონომიკური არასტაბილურობის ფონზე, როდესაც არეულობების გამწვევა ძალზე ადვილია."

როგორც რიგის რეგიონის პოლიციის სამმართველოს უფროსმა ანდრის დუენისმა "ლატვიის რადიოს" განუცხადა, სამშაბათს ლატვიის დედაქალაქში დაწყებული მასობრივი არეულობები წინასწარ იყო დაგეგმილი. თუმცა, მისი აზრით, "ზრობის ეფექტმა" იმუშავა. მიუხედავად ამისა, როგორც რიგის პოლიციის შეფი მიიჩნევს, მტკიცება იმისა, რომ უნესრიგობები საფუძვლიანად იყო ორგანიზებული, ჯერჯერობით ნაადრევია და მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ გახდება ყველაფერი ცნობილი.

დუენისმა ასევე აღნიშნა, რომ პოლიცია შესაძლო პროვოკაციებზე ინფორმაციას წინასწარ ფლობდა და პარლამენტის შენობასთან იმდენი სამართალდამცველი იქნა გაგზავნილი, რამდენიც მათ განკარგულებაში იმყოფებოდა. თავდაპირველად ადგილზე დემონსტრანტებს რამდენიმე ასეული პოლიციელი უმკლავებოდა, ხოლო განგამის გამოცხადების შემდეგ ძველ რიგაში რიგის რეგიონის ყველა თავისუფალი პოლიციის თანამშრომელი იქნა გაგზავნილი.

ოთხშაბათს ლატვიის პრემიერ-მინისტრმა ივარს გოდმანისმა განაცხადა, რომ მასობრივი არეულობების მონაწილეები მკაცრად დაისჯებიან. "არ მოხდება ისე, რომ დამნაშავეები დაუსჯელები დარჩნენ. პირველად ჰქონდა ადგილი მასობრივ დარბევებს," - განაცხადა მან. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ლატვია სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოვიდა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ეს ყველაზე მასშტაბური ანტისამთავრობო დემონსტრაცია იყო.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ამიერიდან ძველ რიგაში საპროტესტო აქციების ჩატარება აიკრძალება, თუმცა ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მაინც პოლიციამ უნდა მიიღოს. მან ასევე გაამართლა პოლიციის ქმედებები და აღნიშნა, რომ ამი-

ერიდან ამგვარ სიტუაციებში სამართალდამცველები გამოიყენებენ ნებისმიერ საშუალებას, რათა მსგავსი "პოგრომები" აღარ განმეორდეს.

ოთხშაბათსვე გააკეთა განცხადება ლატვიის პრეზიდენტმა ვალდის ზატლერსმა, რომელიც პარლამენტს დათხოვნით დაემუქრა იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს მომავალში ქვეყნის მოსახლეობა უფრო მეტ უფლებებს არ მიიღებს. ზატლერსის თქმით, ლამის დემონსტრაცია, როდესაც მასობრივი არეულობები და პოლიციასა და ახალგაზრდებს შორის შეტაკებები მოხდა, ნათლად მეტყველებს წარმომადგენლობითი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობის უკიდურესად დაბალ დონეზე. აღსანიშნავია, რომ დემონსტრანტების პლაკატებზე იყო წარწერა: "ვალდის, გაახილე თვალები!"

სააგენტო "როიტერის" ცნობით, ლატვიის პრეზიდენტმა დეპუტატებს მიმდინარე წლის მარტის ბოლომდე საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება დაავალა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტის დათხოვნის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებით დაემუქრა.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად მშვიდი და პატარა ლატვიისთვის სამშაბათის აქცია უკიდურესად არაორდინალური მოვლენა იყო. ლატვიის დედაქალაქში მართლაც რომ მასშტაბური დემონსტრაციები უკანასკნელად 2004 წელს გაიმართა, როდესაც მიტინგზე რუსული სკოლების გალატვიელების 50 ათასი მონაწილეობა შეიკრიბა.

2007 წელს ლატვიაში "ქოლგების რევოლუცია" მოხდა - სწორედ ასე მონათლა ადგილობრივმა პრესამ საკათედრო ტაძრის მოედანზე გამართული 10-ათასიანი მიტინგი. მაშინ ხალხი შეიკრიბა, რათა გამოეთქვა თავისი უკმაყოფილება მთავრობის განდევნილების გამო, რომელიც კორუფციასთან ბრძოლის ბიუროს ხელმძღვანელ ალექსეი ლოსკუტოვის თანამდებობიდან გადაყენებას გულისხმობდა. ლოსკუტოვის სამსახურიდან დათხოვნა მხოლოდ საბაბი იყო და სტიქიური საპროტესტო აქციები არ გამოუწვევია. ძველი რიგის ცენტრალურ მოედანზე უბრალოდ შეიკრიბნენ ადამიანები და უკმაყოფილება გამოთქვეს სახელმწიფო პოლიტიკის, ცხოვ-

რების დაბალი დონის, პოლიტიკოსთა კორუმპირებულობისა და სახელმწიფო სახსრებთან დაკავშირებული მრავლობითი მაქინაციების მიმართ.

გარკვეულწილად რევოლუცია მართლაც მოხდა: ამ აქციის შემდეგ მთავრობის ხელმძღვანელობა შეიცვალა და პრემიერ-მინისტრის პოსტი, საპარლამენტო უმრავლესობის მქონე "სახალხო პარტიის" წარმომადგენელ აიგარ კალვიტისის ნაცვლად, "პირველი პარტიის" და პარტია "ლატვიის გზის" გაერთიანების წარმომადგენელმა ივარს გოდმანისმა დაიკავა. სწორედ მის პრემიერობას დაემთხვა ეკონომიკური კრიზისი, მშპ-ს დაცემა, "პარექს ბანკის" ნაციონალიზაცია და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტი. ამიტომ, კულუარებში საუბრობდნენ, რომ აქცია "სახალხო პარტიაში" დაგეგმა, რომელსაც მიმდინარე ეკონომიკურ დაცემასთან თავისი პრემიერის ასოცირება არ სურდა.

ამგვარად მასობრივი უკმაყოფილების საბაბი საკმარისზე მეტია. საუბარია ბანალურ გადარჩენაზე. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა ლატვია ევროპული ქვეყნებიდან ყველაზე მეტად დააზარალა.

ეკონომიკის გადარჩენის მიზნით, მთავრობამ შეიმუშავა სტაბილიზაციის გეგმა, რომელიც პრაქტიკაში ახალ, მკვეთრ შემუშავებულ იქცა. თავიდან 15 პროცენტით შემცირდა სახელმწიფო დაწესებულებების ხარჯები და დაიწყო თანამშრომლების დათხოვნა. მეორე ნაბიჯი გახდა გადასახადების გაზრდა, რამაც, შესაძლოა, რიგი დარგები დაასამაროს. მაგალითად, გამოძეგმლებისა და სასტუმროების მეპატრონეებისთვის დამატებითი ღირებულების გადასახადი 5-დან 21 პროცენტამდე გაიზარდა. ძვირდება, აგრეთვე, პროდუქტები, იზრდება კომუნალური გადასახადები, ბანკებმა კრედიტების გაცემა შეწყვიტეს.

ყოველივე ამან, თანაც დანაპირების ფონზე, რომ "კიდევ უფრო უარესი იქნება", ქვეყანა ისტერიამდე მიიყვანა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, დღევანდელი სიტუაცია შეიძლება შეედაროს იმ მდგომარეობას, რომელშიც ლატვია სსრკ-ს დაშლის წინ იმყოფებოდა.

ბან კი მუნი ახლო აღმოსავლეთში ჩასვლას გეგმავს

გაერო-ს გენერალური მდივანი ბან კი მუნი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩავა.

როგორც გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მუნიმ აღნიშნა, მისი ვიზიტი დაგეგმილია სირიასა და ქუვეითში, ლიბანში, იორდანიაში, პალესტინაში, ისრაელსა და ეგვიპტეში.

გაერო-ს გენერალური მდივანი მიიჩნევს, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს საომარი მოქმედებები ახლო აღმოსავლეთში.

"უნდა მივალნიოთ, რომ ლაზის სექტორში ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი უფრო აქტიურად შევიტანოთ, "ჰამასმა" ისრაელის ტერიტორიის დაბომბვა უნდა შეწყვიტოს და ისრაელმაც უნდა გაიყვანოს ლაზის სექტორიდან თავისი ჯარები", - აცხადებს ბან კი მუნი. მედიანიუსი

თურქეთში ტერაქტში ეჭვმიტანილები დააკავეს

თურქეთში მმართველი პარტიის შტაბ-ბინასთან 2008 წლის დეკემბერში განხორციელებულ ტერაქტში ეჭვმიტანილი რვა ადამიანი დააკავეს. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ნაკლებად ცნობილმა მემარცხენე დაჯგუფებამ "რევოლუციურმა სარდლობამ" აიღო.

ვარაუდობენ, რომ დაჯგუფება ქურთ სეპარატისტებთან კავშირში უნდა იყოს. შარშან სტამბოლში, მმართველი პარტიის შტაბ-ბინასთან მომხდარი აფეთქებისას ერთი პოლიციელი დაიღუპა, დაიჭრა ცხრა ადამიანი.

ირანში მინისტერა მოხდა

ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, პროვინცია ქერმანში 14 იანვარს, დილით 5,3-ბალიანი მიწისძვრა მოხდა. მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ ცნობები არ ვრცელდება. 2005 წელს ქერმანის პროვინციაში 6,4-ბალიანი მიწისძვრის შედეგად 400 ადამიანი დაიღუპა. უფრო ადრე, 2003 წელს მომხდარი 6,7-ბალიანი მიწისძვრისას კი 40 ათასი ადამიანი დაიღუპა და ქალაქი ზამი განადგურდა. მედიანიუსი

უკრაინის რადაში საგამოძიებო კომისია შეიქმნა

"რეგიონების პარტიის" ინიციატივით, უკრაინის რადაში ქვეყნის ბუნებრივი აირის სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირების საგამოძიებო კომისია შეიქმნა.

უკრაინელი დეპუტატების განცხადებით, კომისიამ უნდა გააკონტროლოს რუსული გაზის ევროპისკენ ტრანსპორტირების პროცესი. 11-კაციან ჯგუფს "რეგიონების პარტიის" წარმომადგენელი ინა ბოგოსლოვსკაია ხელმძღვანელობს.

კომისია ორი თვის განმავლობაში იმუშავებს, წინასწარ შედეგებს კი თებერვლის დასაწყისში გამოაქვეყნებს. ინტერპრესნიუსი

იულია ტიმოშენკო სლოვაკეთის პრემიერს შეხვდა

უკრაინის პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს განცხადებით, ევროპის ქვეყნებში გაზის მიწოდება მაშინვე დაიწყება, როდესაც რუსეთი ბუნებრივი აირის უკრაინაში მიწოდებას განაახლებს. ამის შესახებ "ინტერფაქსი" იტყობინება. "თუ უკრაინისთვის გაზის მიწოდება დღეს მოხდება, იგი მაშინვე იქნება გაგზავნილი ევროპულ ქვეყნებში," - აღნიშნა ტიმოშენკომ სლოვაკეთის პრემიერთან შეხვედრისას. გაზრომმა სამშაბათს განაცხადა, რომ უკრაინის გავლით ევროპაში რუსული გაზის ტრანზიტის განაახლა. შესაბამისი ბრძანება მოსკოვში, "გაზპრომის" ცენტრალური სადისპეტჩერო პუნქტიდან გაიცა და სადგურ "სუჯა"-მ ევროპელი მომხმარებელებისთვის საცდელი გაშვება დაიწყო. თავის მხრივ უკრაინა განმარტავს, რომ სადგურ "სუჯა"-დან გაზის მიღება არ შეუძლია, რადგან ამ შემთხვევაში ენერგორესურსის გარეშე დარჩება დონეცკის, ოდესისა და დენპროპეტროვსკის რაიონები. რუსული მხარე დაჟინებით მოითხოვს, რომ ევროპაში გაზის ტრანზიტის სწორედ ზემოაღნიშნული სადგურიდან განხორციელდეს. კიევსა და მოსკოვს შორის "გაზის ომის" გამო ევროპის 18 ქვეყანას რუსული გაზის მიწოდება შეუწყდა. ინტერპრესნიუსი

ვლადიმირ პუტინი - ტრანზიტულ ქვეყანას არა აქვს უფლება, საკუთარი მდგომარეობით "ივაჭროს"

რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის განცხადებით, არც ერთ ტრანზიტულ ქვეყანას არა აქვს უფლება, საკუთარი სატრანზიტო მდგომარეობით "ივაჭროს" და ევროპელი მომხმარებლები "ტყველად" აიყვანოს. ამის შესახებ პუტინმა ბულაგოეთის, სლოვაკეთისა და მოლდოვას პრემიერებთან შეხვედრისას განაცხადა. რუსეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ რუსეთსა და უკრაინას 2013 წლამდე გაზის ტრანზიტის შესახებ კონტრაქტი აქვთ გაფორმებული, რომელიც შედეგითის სამართლის მოქმედების ქვეშ ექცევა. "ამდენად, ყველა დავა, რაც ამ კონტრაქტს შეეხება, მხოლოდ სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლოში უნდა გადაწყდეს," - აღნიშნა პუტინმა. ინტერპრესნიუსი

უცვლელი საომარი ვითარება ღაზას სექტორში

ბინ ლადენი ისრაელს საღვთო ომით ემუქრება

ხატუნა ბაბიქვი

ისრაელმა ღაზას სექტორში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან მე-19 დღეს სამხედრო ოპერაცია კიდევ უფრო გააქტიურა. გაერო-ს გენერალური მდივანი ბან კი მუნი კი კაიროს ეწვია მოლაპარაკებების გასამართად, რამაც წერტილი უნდა დაუსვას სისხლიან დაპირისპირებას. მოგვიანებით გაერო-ს გენერალური მდივანი ისრაელისა და დასავლეთ სანაპიროს მონახულებას და ასევე სხვა ახლოაღმოსავლეთ ლიდერებთან შეხვედრას გეგმავს.

ბან კი მუნი თქმით, ისრაელისა და პალესტინის ავტონომიის ლიდერებთან შეხვედრაზე, ეგვიპტის, იორდანის, სირიის, ლიბანისა და თურქეთის პირველ პირებთან მოლაპარაკებების მსგავსად, იგი მოუწოდებს საზღვრების გახსნას და ღაზას სექტორის მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფის კენს.

გაერო-ს გენერალური მდივანი შეიარაღებული დაჯგუფება "ჰამასის" წარმომადგენლებთან შეხვედრას არ გეგმავს.

ღამის ოპერაცია

ღაზაში გაერო-ს გენერალური მდივნის ჩახვალამდე ღამით გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. გავრცელდა ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისრაელის მისამართით ლიბანის ტერიტორიიდან ორი რაკეტა ისრაელს, რომლებიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ქალაქ ქირიათ-შმონასთან ჩამოვარდა.

ისრაელის სამხედრო ხელმძღვანელების განცხადებით, ღამით ღაზას სექტორზე 60 საჰაერო დარტყმა განხორციელდა. სროლები, ძირითადად, ეგვიპტის საზღვართან გვირაბებზე იყო მიმართული. ისრაელის მხარის მტკიცებით, ამ გვირაბებით "ჰამასისთვის" ეგვიპტიდან იარაღის კონტრაბანდა ხორციელდება.

მსოფლიო დიპლომატია

შეერთებული შტატების მომავალ სახელმწიფო მდივან პილარი კლინტონ-

ნის განცხადებით, რომელიც მან ვაშინგტონში საპარლამენტო მოსმენაზე გააკეთა, ბარაკ ობამას ადმინისტრაცია "ყველა ზომას მიიღებს" ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობის მისაღწევად.

ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაკმა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი კრიზისული ვითარების შესახებ მოლაპარაკებები გამართა საუდის არაბეთის მეფე აბდულასთან. არაბული ქვეყნების ლიდერები ცდილობენ, ზეწოლით დაარწმუნონ "ჰამასის" ხელმძღვანელობა, დათანხმდეს სამშვიდობო პირობებს. ერთ-ერთი მთავარი წინადადება ეგვიპტისთან ღაზას სექტორის საზღვარზე განთავსებული თურქული ჯარების გამოყენება იარაღის კონტრაბანდის აღსაკვეთად.

მხარეთა პოზიციები და კონფლიქტის პერსპექტივები

"ჰამასის" წარმომადგენელ სამი აბუ ზურის განცხადებით, მშვიდობის აღდგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ისრაელის სამხედრო ოპერაციის შეწყვეტის, სექტორიდან ჯარების სრული გაყვანის, საზღვრების გახსნისა და ბლოკადის მოხსნის პირობით.

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი კი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ არ არსებობს "ჰამასის" მიერ პირობის შესრულების რამე გარანტია.

ანალიტიკოსების აზრით, ისრაელის სამხედრო ხელმძღვანელობამ შესაძლოა მალე შეამციროს სრულმასშტაბიანი სახმელეთო ოპერაცია და გამოიყვანოს ჯარები ღაზას მიმდებარე ტერიტორიებიდან. ღაზას მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში ბრძოლების წარმოებას ორივე მხრიდან დიდი რაოდენობით მსხვერპლი ახლავს, რამაც შეიძლება ისრაელი, სანამ იქ საყოველთაო არჩევნები ჩატარდება, გაუმართლებელ პოლიტიკურ რისკებამდე მიყვანოს.

"ჩამოსხმული ტყვიის" გაგრძელების შესახებ პოზიციები გაყოფილია თავად ისრაელის ხელისუფლებაში. თავდაცვის მინისტრი ეჰუდ ბარაკი ერთკვირიანი ცეცხლის შეწყვეტის ინიციატივით გამოდის, რაც საშუალებ-



ბინ ლადენი ისრაელს საღვთო ომს უცხადებს

ბას მისცემს ღაზას, შეივსოს მარაგი აუცილებელი საყოფაცხოვრებო საგნებითა და მედიკამენტებით. გარდა ამისა, ერთკვირიანი პაუზა საშუალებას მისცემს პოლიტიკოსებს, ნორმალურად იმსჯელონ უფრო ხანგრძლივი მშვიდობის პირობებზე. პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი კი სამხედრო ოპერაციის ბოლომდე მიყვანას ემხრობა.

მსხვერპლის რაოდენობა

მსხვერპლისა და დაზარალებულთა რაოდენობის შესახებ ორივე მხარის მიერ გამოქვეყნებული ცნობების გადამოწმება შეუძლებელია. პალესტინური წყაროების მტკიცებით, გასული წლის 27 დეკემბრიდან დღემდე, დაახლოებით, ათასი პალესტინელი დაიღუპა, დაიჭრა 4.4 ათასი ადამიანი, ხოლო თავშესაფრის საძიებლად საკუთარი საცხოვრებელი სახლის დატოვება 90 ათასს მოუწია.

ისრაელი კი აცხადებს, რომ სამხედრო ოპერაციის მსვლელობისას 13 ადამიანი დაკარგა, რომელთა შორის სამი მშვიდობიანი მოქალაქე იყო.

გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის მონაცემებით, ღაზას სექტორში დაღუპულთა 40 პროცენტზე მეტი ქალები და ბავშვები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ თელ-ავივს ხელი აქვს მონერილი პროტოკოლზე, რომლის თანახმად, იკრძალება ცეცხლის გახსნა იმ შენობებისთვის, სადაც შესაძლოა ბავშვები იმყოფებოდნენ.

ბინ ლადენი ისრაელს საღვთო ომს უცხადებს

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" თანახმად, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია "ალ ქაიდას" მეთაური უსამა ბინ ლადენი 14 იანვარს აუდიომიმართვით გამოვიდა, რომელშიც მუსლიმებს ღაზას სექ-

ტორში ისრაელის სამხედრო ოპერაციის შესანყვეტად საღვთო ომის გამოცხადებისკენ მოუწოდა.

"უფალმა ჩვენ მოთმინებით დაგვაჯილდოვა, რათა ჯიჰადის გზით კიდევ შეიდი წელი ვიაროთ, რასაც მოჰყვება შვიდი წელიწადი და კიდევ შვიდი წელიწადი. საკითხავია, შეძლებს თუ არა ამერიკა ჩვენ წინააღმდეგ ომების გაგრძელებას კიდევ მრავალი ათწლეულის მანძილზე? ცნობები და ფაქტები საპირისპიროზე მეტყველებს," - განაცხადა მიმართვაში ნომერ პირველმა ტერორისტმა.

ბინ ლადენმა აღნიშნა, რომ მსოფლიო გლობალურმა კრიზისმა მსოფლიოში შეერთებული შტატების გავლენის შესუსტება აჩვენა, რაც ასევე მისი მოკავშირე ისრაელის ძლიერების შესუსტებას გამოიწვევს.

გარდა ამისა, ბინ ლადენმა გააკრიტიკა არაბული ქვეყნების მთავრობები იმის გამო, რომ ისინი "ხელს უშლიან თავიანთ მოქალაქეებს პალესტინის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში."

"ღაზას სექტორისა და პალესტინის გათავისუფლების მარტო ერთი გზა არსებობს - ეს არის ჯიჰადი. მუსლიმებო, თქვენი შესაძლებლობებითა და ძალით თქვენ სიონისტების განადგურება შეგიძლიათ," - განაცხადა მომხრეებისადმი მიმართვაში ბინ ლადენმა.

ჰიჯრის კალენდრის მიმდინარე თვით, რომლის ათვლაც ანკლავში სამხედრო ოპერაციის დაწყებიდან ორი დღის შემდეგ დაიწყო, დათარიღებული რადიოჩანაწერი ისლამურ ინტერნეტ-გვერდებზე განთავსდა. "ესომიტიდ პრესის" თანახმად, ჩანაწერის ავთენტურობის დადასტურება შეუძლებელია, მაგრამ ხმა ნამდვილად ჰგავს ბინ ლადენისას, რომელიც ძველ მიმართვებში ისმოდა. 22 წუთის ხანგრძლივობის აუდიოჩანაწერს თანდართული აქვს უსამა ბინ ლადენის ფოტო და ღაზას სექტორში მდებარე მექეთის გამოსახულება.

ტერორისტული ქსელის ლიდერმა ბოლო აუდიომიმართვა გასული წლის მაისში გაავრცელა, რომელშიც მან მუსლიმებს ისრაელის მიერ ღაზას სექტორის ბლოკადის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდა.

"დიდი ორიანი"

მსოფლიო წესრიგის შესაცვლელად

ხატუნა ბაბიქვი

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის გავლენიანი ექსპერტი ზებიგნე ბუეზინსკი მსოფლიო წესრიგის შესაცვლელად ახალი ინიციატივით გამოდის. შეერთებული შტატების სამი პრეზიდენტის - ჯიმი კარტერის, ჯონ კენედისა და ლინდონ ჯონსონის მრჩეველი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც ახალარჩეული პრეზიდენტის ბარაკ ობამას მრჩეველიც არის, არჩეულ "დემოკრატ" პრეზიდენტს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ერთად არაფორმალური "დიდი ორიანის" შექმნას ურჩევს.

შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ურთიერთობების ამჟამინდელ გეოპოლიტიკურ სტატუსზე გავლენიანი ექსპერტი "ფაინენშალ ტაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიაში მსჯელობს. დოკუმენტის ბაზისად ცოტა ხნის წინ პეკინში მის მიერ წარმოთქმული სიტყვაა გამოყენებული.

"1978 წელს ამერიკულ-ჩინური ურთიერთობების ნორმალიზებით მსოფლიო უკეთესი და ბევრად უფრო უსაფრთხო გახდა. თვალსაჩინო ეფექტი ჰქონდა "ცივი ომის" მსოფლიო საჭადრაკო დაფის შეცვლას. ინიბად, მაგრამ მაინც ურთიერთობების ნორმალიზაციამ დენ სიაოპინს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების სასარგებლოდ გადაწვეტილებების მიღება გაუადვილა. ჩინეთის სახელმწიფოს ძლიერების ზრდა გაცილებით ძნელი იქნებოდა

ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო და ფინანსური ურთიერთობების გაღრმავების გარეშე, რაც ურთიერთობების ნორმალიზაციამ მოიტანა შედეგად. თანამედროვე მსოფლიო მასშტაბით გაძლიერებული პოზიციის მქონე ჩინეთი რევიზიონისტული სახელმწიფოა იმ თვალსაზრისით, რომ საერთაშორისო არქიტექტურის ძირეული შეცვლისკენ ისწრაფვის. ოლონ ცვლილებებს იგი მოთმინებით, გონივრულად და მშვიდობიანი ნაბიჯებით აღწევს," - აღნიშნავს ზებიგნე ბუეზინსკი.

ექსპერტის თქმით, ყურნალი "ლიაოვანგი" 2008 წლის 14 ივლისის ნომერში ორი სახელმწიფოს ურთიერთობას "კომპლექსურ ურთიერთდამოკიდებულებას" უწოდებდა, რომელშიც ორივე მხარე ერთმანეთს პრაგმატულად და ზომიერად აფასებს. ბუეზინსკის აზრით, ამერიკელები განსაკუთრებით აფასებენ იმ ფაქტს, რომ ჩინეთის სტრატეგიული აზროვნება მსოფლიო მასშტაბის კონფლიქტისა და ძალისმიერი რევოლუციის იდეებს ჩამოშორდა.

"ჩვენი ურთიერთობები არ შეიძლება სტატიკური იყოს, იგი ან უნდა გაფართოვდეს ან პირიქით, შეიზღუდოს. ჩვენი ურთიერთობების გაღრმავებით ჩვენ და ჩვენთან ერთად დანარჩენი მსოფლიოც მხოლოდ მოვიგებთ," - აღნიშნავს ექსპერტი.

თუ ოფიციალური პეკინი და ვაშინგტონი არ დაივიწყებენ იმას, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულება პრევენციული ხარისხისაა, შეძლებენ ყველა სადავო საკითხის გადაჭრას, მიიჩნევენ



ზებიგნე ბუეზინსკი ბარაკ ობამას ჩინეთთან ერთად არაფორმალური "დიდი ორიანის" შექმნას ურჩევს.

ზებიგნე ბუეზინსკი. "პრაქტიკული თვალსაზრისით, ჩვენ გეოსტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება, პირველ რიგში კი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევისთვის თანამშრომლობა გვჭირდება," - აღნიშნავს გავლენიანი ექსპერტი.

მისი აზრით, აუცილებელია ჩინეთის უშუალო მონაწილეობა ირანთან დიალოგსა და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის რეგულირების მცდელო-

ბეში. გარდა ამისა, საჭიროა ამერიკულ-ჩინური კონსულტაციები პაკისტანთან ინდოეთის დამოკიდებულებაზე და პოლიტიკის ერთობლივი შემუშავება გლობალური დათბობის, გაერო-ს რეორგანიზაციისა და სხვა საკითხებში.

"ჩვენ გლობალური დათბობის რისკის წინააღმდეგ ერთიანი ხედვის შემუშავება გვჭირდება. გარდა ამისა, უნდა შევიხსნავოთ ჩვენი შესაძლებლობები გაერო-ს მსხვილმასშ-

ტაბიანი დამატებითი სამშვიდობო ძალების შესაქმნელად, რაც არშემდგარ სახელმწიფოებში განთავსდება. ვგონებ, დისკუსიის გამართვა გვმართებს იმაზეც, თუ როგორი საერთაშორისო ინიციატივები ნაადგევს მსოფლიოში ნულოვანი ბირთვული იარაღის კონცეფციის გავრცელებას," - მიიჩნევს იგი.

თუმცა, ავტორის მტკიცებით, საამისოდ აუცილებელია "დიდი ორიანის" არაფორმალური ჯგუფის შექმნა, რითიც ამერიკულ-ჩინურ ურთიერთობებს ყოვლისმომცველი ხასიათი მიენიჭება - იმ მოდელების მსგავსად, როგორც შეერთებულ შტატებს ევროკავშირსა და იაპონიასთან აქვს. ამის შემდგომ საჭირო იქნება არაფორმალური სამიტების რეგულარულად ჩატარება მსოფლიოში არსებული ვითარების განხილვისთვის.

"იმ ეპოქაში, რომელშიც მასობრივი განადგურების "ცივილიზაციათა შეჯახების" რისკები იზრდება, ცივილიზაციათა ქვეშარტი შერიგების კარგად გააზრებული ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია. ეს არის ის ამოცანა, რასაც არჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ წარმატებით უნდა გაართვას თავი და რასაც პრეზიდენტი ჰუ ძინტაო, რომელმაც "ჰარმონიული მსოფლიოს" კონცეფცია შეიმუშავა, უნდა მიესალმოს. აი, ასეთია მისია, რომელიც უზარმაზარი შესაძლებლობების მქონე ორმა ქვეყანამ ჩვენი ერთიანი მომავლის შესაქმნელად უნდა იტვიროს," - ასკვნის ზებიგნე ბუეზინსკი.

რევიუ

ფესტოსის დიკოს აღმორჩინის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის შესახებ

ნანა შინგალია
ფილოლოგიის
ბაკანობის დოქტორი

2008 წლის 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს ლონდონში, ხელოვნების სამეფო აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიძღვნილია კუნძულ კრეტაზე დოქტორ ლუიჯი პერინის მიერ ფესტოსის დიკოს აღმორჩინის 100 წლისთავს.

ხელოვნების სამეფო აკადემიის შენობა მდებარეობს პიკადილიზე, ბერლინგტონის სახლის დიდ შენობაში (მინდა აქვე ვახსენო, რომ ამავე შენობაში გახსნილი იყო დიდი გამოფენა "ბიზანტია 330-1453", აგრეთვე XX საუკუნის დასაწყისის მხატვრების მიროს, კალდერის, ჯაკომეტისა და ბრაკის გამოფენა). კონფერენცია ჩატარდა საერთაშორისო ჟურნალ "მინერვას" თაისნობით. უმაღლესი პოლიგრაფიული დონის ხელნაწილი მკითხველს აწვდის ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საკითხების მიმოხილვას. მისი სათავე ოფისებია: დიდ ბრიტანეთში, ლონდონში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ იორკში; ამას გარდა, იგი ვრცელდება მთელს ევროპაში, კანადაში და სხვა ქვეყნებში.

კონფერენციის ჩატარების ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ: ჯერომ აიზენბერგი, ფილოსოფიის დოქტორი, ჟურნალ "მინერვას" დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, ფესტოსის დიკოსადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარე; მარკ მერონი, ფილოსოფიის დოქტორი, ჟურნალ "მინერვას" რედაქტორი, კონფერენციის კოორდინატორი; დოქტორი პიტერ კლეიტონი, ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალის კონსულტანტი და რედაქტორი, კონფერენციის კოორდინატორი; ნიკოლას რიდი, ხელოვნების მაგისტრი და ფილოსოფიის მაგისტრი. უნდა ითქვას რომ კონფერენცია შესანიშნავად იყო ორგანიზებული: ეს შუა ხნის ადამიანები დაულოლავედ მოქმედებდნენ და იღვწოდნენ იმისათვის, რომ კონფერენციის მიმდინარეობა სასიამოვნო ყოფილიყო.

კონფერენციაზე მოხსენებების ნასაკითხად წარმოდგენილი ყოფილა 100-მდე თეზისი, საიდანაც სამოხსენებოდ სარგებნიზაციო კომიტეტმა აარჩია სულ 12. მათ შორის ბ-ნ გია კვაშილავას მიერ წარმოდგენილი მოხსენება "ფესტოსის დიკო - კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუში"; ამ მოხსენებით მან სპეციალისტების წრეს გააცნო თავისი 17 წლის აუზობის შედეგი - მე-20 საუკუნის მეცნიერთათვის ენიგმატური ტექსტის ამოკითხვა პროტო-ქართველურ (კოლხურ) ენაზე.

თავიდანვე ცხადი გახდა, რომ მოხსენება დიდ ინტერესს გამოიწვევდა, რადგან წინასწარი გამოძახილები ძალიან დადებითი და იმედის მომცემი იყო: ძმივდღეთ თქვენი ბრწყინვალე თეზისი...

დოქტორ ციგენფუსმა (ავსტრია) მოსწერა გ. კვაშილავას: "დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი კვლევა და აღმოჩენები დრამატულად შეცვლის მრავალ ადრინდელ შეხედულებას ისტორიაზე"; ჯერომ აიზენბერგი (აშშ): "მოუთმენლად ველოდები თქვენთან და თქვენს კოლეგასთან შეხვედრას კონფერენციაზე; ვგრძნობ რომ მოხსენება ძალიან საინტერესო იქნება". ჟურნალ "მინერვას" ჯ. აიზენბერგის სტატიაში ფესტოსის დიკოს დემოფორების მცდელობების რჩეულ ჩამონათვალში დასახელებულია გ. კვაშილავას დემოფორებები.

პიტერ კლეიტონი (დიდი ბრიტანეთი): [თქვენი მოხსენება] გამორჩეულად საინტერესო ჩანს, ვფიქრობ, მას დიდი კამათი მოჰყვება... დოქტორ აიზენბერგი, დოქტორ მერონი და მე მივესალმებით თქვენ მიერ ამ მნიშვნელოვანი კონფერენციის მსვლელობაში შეტანილ წვლილს". კონფერენციას ესწრებოდა 60-ზე მეტი მსმენელი, რომელიც უდიდესი ყუ-

რადლებით უგდებდა ყურს გამომსვლელს. ყოველი მოხსენების მერე გამოდიოდნენ მონაწილეები და თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ, მშვიდად და არგუმენტირებულად იცავდნენ თავიანთ პოზიციას.

მომხსენებლები ჩამოსული იყვნენ გაერთიანებული სამეფოდან, გერმანიიდან, შვეიცარიული შტატებიდან, საბერძნეთიდან (კრეტადან) და საქართველოდან (ბ-ნი გია კვაშილავა და ამ სტრუქტურების ავტორი). სამწუხაროდ იტალიიდან, რომიდან ავადმყოფობის გამო კონფერენციაზე ვერ ჩამოვიდა ფილოლოგიის დოქტორი ლუი გოდარი, რომელიც დღეს გერეთ ოუენსთან და ივ დიოსთან ერთად ითვლება ფესტოსის დიკოს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევარად მსოფლიოში. სწორედ ლუი გოდარის იუბილეს მიძღვნა ორგანიზატორების მიერ გამართული საზეიმო სადღი. ლუი გოდარის მოხსენება "ფესტოსის დიკო და ეგეოსური ცივილიზაცია" კონფერენციის გახსნის დროს წაიკითხა მარკ მერონიმ.

კონფერენცია გახსნა და მოხსენება წაიკითხა ჯერომ აიზენბერგმა (ნიუ-იორკი, აშშ). უნდა ითქვას, რომ მოხსენებლები მართლაც მკაცრად იყვნენ შერჩეულები. ლუი გოდარის გარდა აქ მონაწილე იყვნენ და ჩამოვიდნენ ფესტოსის დიკოს ყველაზე ცნობილი და სახელიანი მკვლევარები: გერეთ ოუენსი (პერაკლიონი, კრეტა, საბერძნეთი), ტომ პალაიმა (ოსტინი, ტეხასი, აშშ), დიტერ რუმფელი (დიუსელდორფი, გერმანია), ჯონ კოლმანი (ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი), რიჩარდ სპროუტი (ურბანა, ილინოისი, აშშ), ნიკლას რიდი (ფოლკსტაუნი, კენტრი, დიდი ბრიტანეთი), აგრეთვე მოხსენებით გამოვიდა პიტერ კლეიტონი (ჰემელ ჰემსტედი, დიდი ბრიტანეთი).

ამ მეცნიერებმა მრავალი წელი მიუძღვნეს ფესტოსის დიკოს შესწავლას, მისი შესრულების ტექნიკის ანალიზს, ტექსტის ნაკითხვის მიმართულების დადგენას, დათარღვრებას, მისი ავთენტურობის გარკვევის საკითხს, მისი პალეოგრაფიული პარალელების ძიებას; ისინი გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს ტექსტის სავარაუდო ენის თაობაზე და სხვა. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები სწორედ ამ საკითხებს ეძღვნებოდა, უაღრესად ზუსტად, ნათლად იყო ჩამოყალიბებული და ამიტომაც უაღრესად საინტერესო იყო. როდესაც ორგანიზატორებს ვუთხარი, რომ კონფერენცია ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა, მიპასუხეს, რომ ეს განაპირობა მოხსენებთა მკაცრმა არჩევამ და შედარებით მცირე რაოდენობამ.

როგორც კონფერენციაზე ისე არაოფიციალურ შეხვედრებზე არაერთგზის იმეორებდნენ ფესტოსის დიკოს პირველი და უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარის სერ ართურ ევანსის, ასევე B-ხაზოვანი ნარწერების აღმოჩენის მაიკლ ვენტრისისა და ჯონ ჩედეკის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ დიკოს ენა მათთვის უცნობია და რომ A-ხაზოვანი ნარწერისა და ფესტოსის დიკოს ტექსტის ენა ერთიდაიგივეა, განსხვავებულია მხოლოდ შრიფტი.

ზოგი მათგანი ამბობდა, რომ შეუძლებელია დიკოს ტექსტის ნაკითხვა იმის გამო, რომ ასეთი ნარწერის მხოლოდ ეს ერთი ნიმუშია აღმოჩენილი - ვლადიკავკაზში შაპოვნი ნახტი, რომელიც დიკოს ნიმუშის იმეორებს, როგორც ჩანს ყალბად ითვლება.

სერ ევანსის, ლუიჯი პერინისა და სხვათა მიერ თავის დროზე გამოთქმული აზრი იმის თაობაზე, რომ დიკოს ტექსტი ჰომინია, გაზიარებულია ყველა მკვლევარის მიერ. როგორც კონფერენციაზე ითქვა, დიკოს ტექსტი, როგორც ჩანს, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მისი შემქმნელებისათვის, რადგანაც მათ დიდი ყურადღება დაუთმეს ტექსტის სიზუსტეს ან იქნებ კანონიკურ ხასიათსაც და მისი დამზადების სავარაუდო ტექნოლოგიას, რომელიც დიკოს დროის გამა-



ნადგურებელი მოქმედებისაგან დაიცავდა (დ. რუმფელი). ("რა არის ისეთი ამ ტექსტში, რაც მის მბეჭდავს სურდა უსათუოდ გადარჩენილიყო ყამათა სიავეს?" კითხულობდნენ მკვლევარები).

ცხადია, ბ-ნი გია და მეც ცოტას ვერ ვიხსენებდით, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, თუ რა სახით ჩატარდებოდა მოხსენება, როგორი ალსკემელი იქნებოდა რთული და გადატვირთული მასალა მსმენელისათვის. რეგლამენტი შეზღუდული იყო და ძალიან მკაცრიც - დიდი თხოვნის შემდეგ სულ სამი-ოთხი წუთი მოგვიმატეს, რაც ოდნავი შეღავათი იყო მხოლოდ. ამიტომ იქაც, ლონდონში ყოფნისას დიდი დრო მოვანდომეთ მოხსენების ტექსტის შემცირებას, ისეთიარ გამარტივებას, რომ არ დაკარგულიყო მნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც წარმოადგინა გ. კვაშილავამ.

სამწუხაროდ ამ შემოკლების გამო ვერ მოხერხდა სრულად ყოფილიყო ნახსენები ის ქართველი მეცნიერები (მრავალი მათგანი ან გარდაცვლილია), რომლებიც ამდენს იღვწოდნენ და იკვლევდნენ საქართველოს უძველეს ისტორიას (ესენი პირველ რიგში იყვნენ: ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, პავლე ინგოროყვა, სიმონ ყაუხჩიშვილი და თინათინ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, ვარლამ თოფურია, სიმონ ჯანაშია, აკაკი ურუშაძე, პანტელეიმონ ბერაძე, თორდ ლორთქიფანიძე, გივი მაჭავარიანი, თამაზ გამყრელიძე); ისინი თავიანთი ნაშრომებით ადასტურებენ და მხარს უჭერენ გ. კვაშილავას კვლევის დასკვნებს.

უნდა ითქვას, რომ მოხსენებათა განრიგი საკმარისად ჭკვიანურად იყო შედგენილი. 12 მოხსენებიდან ჩვენი მე-11 იყო, ტომ პალაიმას, გერეთ ოუენსისა და ნიკლას რიდის შემდეგ, რაც ძალიან სასიამოვნო იყო, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ჩვენ "გამორჩეულ საზოგადოებაში" მოვხვდით, მეორეც იმიტომ, რომ მინა დღეს მოვასწარი შეგვივლით კონფერენციის საერთო ტონს, შევაფასეთ აუდიტორია (პროფესიონალური!) და ა.შ.

მოხსენების დროს წარმოდგენილი იყო მტკიცებულებებისათვის ძლიერ მნიშვნელოვანი მდიდარი კომპიუტერული მასალა - ეს მასალა სავანებოდ მოიწონეს მოხსენების შემდეგ მსმენელებმა და ორგანიზატორებმა.

მოკლედ ვიტყვი, რომ მოხსენებაში წარმოდგენილი იყო გ.კვაშილავას არგუმენტები დიკოს ტექსტის ნაკითხვის მიმართულების შესახებ დიკოს ცენტ-

რიდან პერიფერიისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციაზე ტექსტის ნაკითხვის მიმართულებად უმრავლესობის მიერ არაერთგზის დასახელდა პერიფერიიდან ცენტრისაკენ ნაკითხვა, ტიპოლოგიური კომპიუტერული მასალით გამაგრებული გ. კვაშილავას ექვსი არგუმენტი არავისათვის არ გამხდარა საკამათო...

წარმოდგენილი იყო ფესტოსის დიკოს ნახატ-ნიშნითა ნაკითხვისათვის გ. კვაშილავას მიერ შექმნილი ალგორითმი, რომელიც ბუნებრივად ეყრდნობა თვით მასალის გრაფიკულ მონაცემებს და მარტივად, ცალსახად მოიცავს არა მარტო დიკოს ტექსტს, არამედ ვრცელდება, აგრეთვე, იმ სამ ნარწერაზეც, სადაც გამოყენებულია ფესტოსის დიკოს ნახატ-ნიშნები. ესენია: ნარწერა არქაოლოგიის ცულზე, მალიის ქვის ბლოკზე და ფესტოსის ლარნაკზე.

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, უმნიშვნელოვანესი ლინგვისტური მასალა, რომელიც მიღებულია თ.გამყრელიძისა და გ.მაჭავარიანის მიერ შედარებით მეთოდებით პროტო-ქართველური (კოლხური) ენის აღდგენისას. მთელი ეს მასალა ადეკვატურად ასახულია ფესტოსის დიკოს ნარწერაში, რაც მტკიცედ უჭერს მხარს გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დიკოს კოლხურ (პროტო-ქართველურ) ენაზე ნაკითხვას. ტექსტი თარიღდება იმ პერიოდით, როდესაც ჯერ არ არის მოხდარი საერთო ქართველურის დაშლა ერთი მხრივ მეგრულ-ჭანურ, ხოლო მეორე მხრივ ქართულ განმტოვებულ (ძველი ნელთაღრიცხვის მეორე ათასწლეული).

წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, დიკოს ტექსტის როგორც ზოგადი ინგლისური თარგმანი, ისე ცალკეულ ნახატ-ნიშნების ზოგჯერ მორფოლოგიური დიკოს ტექსტის მარცხენი ნაკითხვაც. შეჯამებული იყო, აგრეთვე, დიკოს ორივე მხარის შინაარსი.

აქვე უნდა ვაგაზალო, რომ მოხსენებაში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, მან თითქოს წერტილი დაუსვა იმ კამათსა და მსჯელობას, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ლონდონში, სიძველეების შემსწავლელთა საზოგადოების დარბაზში (რომელზეც, სხვათა შორის კარგა ხანს იყო მოთავსებული როზეტის ქვა, სანამ მას ბრიტანეთის მუზეუმში გადაიტანდნენ; აქვე ნაკითხა მაიკლ ვენტრისმა თავისი მოხსენება B-ხაზოვანი ნარწერების ამოკითხვის შესახებ).

განსაკუთრებით დიდი შთბეჭდილება მოახდინა, როგორც ჩანს, მოხსენებამ

გერეთ ოუენსზე, რომელიც მანამდე ყოველი მოხსენების შემდეგ კამათში გამოდიოდა და თავის აზრს გამოთქვამდა. ამჯერად მან სახის გაოგნებული გამომეტყველებით მოისმინა მოხსენება არაფერი უთქვამს, თავისი ადგილიდან ყველას წარმატება უსურვა და დარბაზი დატოვა. გ.კვაშილავას ულოცავდნენ და ეუბნებოდნენ ძალიან საინტერესოა, ძალიან კარგია, თუმცა ძნელია ერთბაშად ასეთი მასალის ათვისება, მოითმინეთ სამიოდე წელიწადი და თქვენს აღმოჩენას მთელი მსოფლიო აღიარებს.

თბილისში ელექტრო ფოსტით მოსული წერილებში იხერებიან: "თქვენი მოხსენება კარგად იყო წარმოდგენილი და სრულიად განსაკვირვებელი იყო. მასში, რა თქმა უნდა წარმოდგენილია დიკოს გამოცანის გადაჭრისადმი საინტერესო მიდგომა. გისურვებთ წარმატებას თქვენს შემდგომ კვლევაში" (ჯ. აიზენბერგი) დიტერ რუმფელმა მოიწერა: "ძალიან ვაფასებთ თქვენს სამეცნიერო თვალსაზრისს, ცოდნასა და ძალისხმევას, რამდენადაც ვიცი, თქვენ დიკოს ერთადერთი მკვლევარი ხართ, რომელმაც გახედა და თავის დაბეჭდვად გამოკვლევაში ჩართო მითოლოგიის პერსონაჟები..."

ეჭვგარეშეა, რომ გ. კვაშილავას მიერ თითქმის ოთხი ათასწლეულის სიძველეს უნიკალური ტექსტის ამოკითხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოს კულტურისა და რელიგიის, მისი ისტორიისათვის, ისე იმ გავლენის მოხსენებისათვისაც, რომელიც პროტო-ქართველურ კულტურას ჰქონდა ევროპულ კულტურაზე.

ისლა დამრჩენია საგანგებოდ ვახსენო დოქტორ პერბერტ ძეგში, ავსტრიელი მკვლევარი, ვინც პირველმა გამოთქვა ფესტოსის დიკოს კოლხურ-ბერძნულ ენაზე ნაკითხვის ვარაუდი. იბერიული-კოლხური ენას მან რამდენიმე წელი უძღვნა, თავისი მოსაზრება ფესტოსის დიკოს პროტო-ქართველურ ენაზე ნაკითხვის თაობაზე მან ბუდაპეშტის EIRENE-ს საერთაშორისო კონგრესს მოახსენა 1988 წელს; აგრეთვე მოხსენებით გამოვიდა კრეტოლოგთა კონგრესზე 1991 წელს კრეტაზე; მიკენოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე რომში 1991 წელს, ჩამოსული იყო საქართველოშიც, ვანში.

პერბერტ ძეგშიშა შექმნა კომპიუტერული პროგრამა, რომელშიც შეეძლო ნებისმიერი ენის ჩასმა და ამ ენების მასალის შედარება დიკოს ნიშნითა განაწილებისათვის. მან სცადა ბიბლიის ებრაული, ძველი სლავური, აღმოსავლური და მრავალი სხვა ენა, მაგრამ არცერთმა არ ჰუპასუხა" პროგრამას. მოგვიანოდ მან ამ პროგრამაში ჩასვა პროტო-ქართველური და მისი პროგრამა ამოქმედდა! თავისი სიცოცხლის ბოლო წლები მან მოანდომა ძველი ქართულის შესწავლას. პერბერტ ძეგშიში გარდაიცვალა 1993 წელს.

პ. ძეგშიის ვარაუდმა, ცხადია, დიდი გავლენა მოახდინა მამინ 16 წლის გ. კვაშილავაზე.

დღეს ჩვენ მდლობას ვუხდით პერბერტ ძეგშიის ვაჟს, დოქტორ პერმან ძეგშისა (ავსტრია) და დოქტორ იოხენ ციგენფუსს (ავსტრია) - ისინი დაგვეზმარნენ რეალობად ქცეულიყო ჩვენი მონაწილეობა ფესტოსის დიკოსადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში.

ასევე მადლობას ვუხდით ლუკა ჩაჩიბაას (დიდი ბრიტანეთი), ნოდარ გაგუას (რუსეთი); აქვე მადლიერებით მოვიხსენებთ ქ-ნ ნინო დარასელს, რომელმაც ყურადღება მიგვაქცევინა კონფერენციის ჩატარების სავარაუდო გეგმაზე. მადლობას მოვახსენებთ, აგრეთვე დოქტორ ნანი ჭანიშვილს მრავალმხრივი მხარდაჭერისათვის.

დაბოლოს, შემდეგ წარმატებებს ვუსურვებ გ. კვაშილავას, რომელმაც კიდევ დიდი შრომა უნდა გასწიოს იმისათვის, რომ წარმატებულ დასასრულამდე მიიყვანოს A-ხაზოვანისა და კრეტული იეროგლიფების შესწავლა.

დათო ტყეშელაშვილის ხუთშაბათი



ჭარ იყო შობა

ქართველებს ხშირად უყვართ იმის თქმა რომ ქართველობა ძნელია (და შესაბამისად ადვილია იყო შეგედი ან ვთქვათ ბულგარელი), რაც სხვა დროს შეიძლება ღიმილისმომგვრელი იყოს, თუმცა დეკემბრის ბოლოსა და იანვრის დასაწყისში, ქართველობა მართლა ძნელია.

მართალია, ვერცხვითი პრეზიდენტის ინდოური საახალწლოდ არ მიიღია და ვერც ვერასდროს დავიმსახურებ, მაგრამ ახალი წლის დღეებში არასახელისუფლებო ინდოურებიც იმდენად მრავლად შემომხვდნენ ქართულ სუფურებზე, რომ შობას სრულიად განვალებული შევხვდეთ.

ქართულად ამ მოვლენას გულძმარვა (ან უბრალოდ ძმარვა) ჰქვია და კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვა, საყოველთაო იყოგას, უბრალოდ ვერსად დავგემაღლე. არც ვიცი თუ არის სადმე ქვეყანა, რომლის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ასე ჩვენსავით კუჭაშლილი (და შესაბამისად ნერვებაშლილი) ხვდება შობას - ქრისტიანობის უმთავრეს დღესასწაულს.

თუ ვინმე შეგვეკამათება და გვეტყვის რომ საქართველოში აღდგომას უფრო მეტი სიხარულით აღნიშნავენ, ვიდრე შობას, რასაკვირველია უსიტყვოდ დავეთანხმებით, მაგრამ ჩვენც ნუ შეგვეკამათებია ისინი, ვინც ჩვენს საშობაო გაორებას, ჩვენსავით ხედავენ.

არადა ჩვენი გაორებული საახალწლო ცხოვრების მიზეზი ძალიან მარტივია, რადგან არათუ რომელიმე ახალი წელი, არამედ ახალი წელთაღრიცხვაც სწორედ ქრისტეს შობის შემდეგ დაიწყო და ამიტომაც (ძალიან რბილად რომ ვთქვათ), ცოტა უცნაურია ჯერ ახალი წლის შეხვედრა და მერე კი შობის აღნიშვნა. სინამდვილეში ხომ წარმართული ხანის კალენდარს ვინარჩუნებთ და სანამ რუსები არ გამოცვლიან ამ კალენდარს, ძალიან მეჭვჭება, რომ ჩვენ ძალიან მარტივი ჭეშმარიტება დავიჯეროთ, რომ იესო ქრისტე სწორედ 25 დეკემბერს დაიბადა.

ისიც ძალიან საეჭვოა რომ დანარჩენ კაცობრიობასთან დაპირისპირებულმა რუსეთმა ძველი რომაული კალენდარი გამოცვალა და ამიტომაც ყოველი შობის მოახლოებისას, შეიძლება ქართველმა თეოლოგებმა ისეთი უცნაური არგუმენტები მოიშველიონ შვიდი იანვრის სასარგებლოდ, როგორი აბსურდული მოწოდებაც ერთმა ქართველმა მეცნიერმა, ამასწინათ ტელეეკრანიდან გააკეთა.

ის ქართველი მეცნიერი სამების ტაძრის წინ იდგა და შეიძლება ამიტომაც იყო ასეთი ომხიანი საუბრის დასასრულს - არ დაიჯეროთ ხალხო რომ დღეს შვიდი იანვარია, სინამდვილეში დღეს ოცდახუთი დეკემბერია.

ჰოდა თუ ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის დამცველთა აზრითაც შვიდ იანვარს სინამდვილეში ოცდახუთი დეკემბერია, რატომ ვცხოვრობთ ამ ტყუილში რუსების გამო. რატომ გვგონია, რომ ფინელი თუ ბერძენი მართლმადიდებლები აფერისტები არიან და ჭეშმარიტება მხოლოდ რუსული ეკლესიის პრეროგატივაა, თუკი მართლა ვიცით ქრისტეანობის ნამდვილი ისტორია და არა ამ ისტორიის მხოლოდ რუსული, აგერ ახლახანს შექმნილი ვერსია.

იქნებ ჩვენი პრობლემების სათავეც ჩვენშია და სინამდვილეში ჩვენც არ ვპოულობთ რუსებს და ჩვენ არ ვანებებთ თავს რუსებს, მაშინაც კი, როცა ისინი დიდი სიამოვნებით გვბობავენ.

ჩვენი საქმეებიც იქნებ იმიტომ არ მიდის წაღმა, რომ უკუღმა ვცხოვრობთ და ჯერ ახალ წელს ვზეიმობთ და მერე კი - შობას.

არადა რა კარგი იქნებოდა რომ პატრიარქის ნათელი ტვინის კარნახით ოცდახუთ დეკემბერს აგვენთო სასაღმრთლო ჩვენი ფანჯრების რაფებზე შობის შესახებ და ახალი წლის დადგომა კი მერე გვეზეიმა გოჭებით და ინდოურებით.

P.S. სხვათა შორის, გასული საუკუნის სამოციან წლებში რუსებმა ქართველებს გოჭების შეწვაც აუკრძალეს, მაგრამ ამაზე სხვა დროს იყოს...

თედოს წითელი ტრაქტორი

"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" 10 წლის იუბილეს აღნიშნავს

ნა შკაპა

თედოს წითელი ტრაქტორი ჰყავს. ყოველ დღით მზის ამოსვლისთანავე დგება და სამუშაოდ მიდის. ხან ყანა აქვს მოსახნავი, ხანაც დათოვლილი გზა გასაკვავალი. თედო ყოჩაღი ტრაქტორისტი, მაგრამ ერთხელ საჭე ვერ დაიმორჩილა და ტყუილ! გუბეში აღმოჩნდა. თუმცა ნუ შეშინდები, ყველაფერი რიგზეა. პატარა ხელებით ტრაქტორი გუბედან ამოიყვანე, დაქოქე და ახალი მოგზაურობა დაიწყე. ასეთია "თედოს ტრაქტორი" - "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" ერთ-ერთი ბოლო საბავშვო წიგნი, რომელიც იმდენად საინტერესო ფორმითაა შექმნილი, თავისუფლად შეიძლება ბავშვსა და მშობელს შორის კონფლიქტის მიზეზად იქცეს.

წიგნი "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" 10 წლის ხდება, რაც თავისთავად მიანიშნებს გამომცემლობის გამოცდილებაზე ქართული წიგნის ბაზარზე და იმაზეც, რომ 2009 წელი მისთვის განსაკუთრებული იქნება, ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი კი კვლავ საბავშვო ლიტერატურაა. გამომცემლობის დირექტორი თინა მამულაშვილი იხსენებს: "დაახლოებით 10 წლის წინ, მაშინ, როდესაც გამომცემლობა ბოლომდე არ იყო ჩამოყალიბებული, პირველი თარგმნილი ლიტერატურული საბავშვო წიგნი გამოვიყვანეთ. მაშინ მისი ფასი 8 ლარით განისაზღვრებოდა, რაც იმ დროისთვის საბავშვო წიგნისთვის წარმოუდგენელ თანხას შეადგენდა, ამიტომ არსებობდა გარკვეული შიში, რომ შეიძლება არ გაყიდულიყო. თუმცა მოხდა პირიქით, რაც შემდგომში სხვა გამომცემლობებისთვისაც მაგალითად იქცა და დღეს მათი საქმიანობის უმეტეს ნაწილს სწორედ საბავშვო ლიტერატურის გამოშვება იკავებს."

ვინც სისტემატურად ესწრება თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალს, ალბათ შეამჩნევდა, რომ გამომცემლობის სტენდებზე საბავშვო ლიტერატურა ჭარბობს. თინა მამულაშვილი ამ ტენდენციას დადებითად აფასებს, რადგან ბავშვი, რომელიც მცირე ასაკიდანვე ეჩვევა წიგნებთან ურთიერთობას, ის პოტენციური მკითხველია. სწორედ ამ პოლიტიკას მისდევს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", რომელსაც წიგნი 6 თვის ბავშვებისთვისაც აქვს გამოშვებული - ნაჭრის წიგნი-სათამაშოები პატარა ისტორიებითა და მხიარული ფერებით. ამაჲ 1 წელზე მეტი ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი ზღაპრების სერია "პირველი საკითხავი წიგნები" მოსდევს პატარა თავგანთავადების შესახებ. სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის კი გამომცემლობას 16 წიგნისგან შემდგარი სერია "მე ვსწავლობ კითხვას" აქვს მომზადებული. ისინი პირველი და მეორე კლასის მოსწავლეებისათვისაა განკუთვნილი, 4 საფეხურად იყოფა და 150-დან 750 სიტყვიანი ტექსტებითაა შედგენილი (სერია ჯერჯერობით უცხო ქვეყნების ზღაპრებს მოიცავს, უახლოეს მომავალში მას ქართული ზღაპრებიც დაემატება). სერიის ოთხი წიგნი უკვე გამოსულია, დანარჩენების შექმნა კი მშობლებს ცოტა ხანში შეეძლება.



გამომცემლობა განსაკუთრებულად აღნიშნავს ასტრიდ ლინდგრენის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს. თინა მამულაშვილი იხსენებს იმ დროს, როდესაც ის და ბაკურ სულაკაური პირველად შეხვდნენ ამ დიდებულ ქალბატონს: "ალბათ 1994 წელი იქნებოდა. მაშინ ბაკურმა მისი რამდენიმე მოთხრობა თარგმნა, ხოლო წიგნი პირადად ჩავუტანეთ შევედითში". სწორედ ამ თბილი შეხვედრის გამოძახილია სერია, რომლის პირველი წიგნი "მეო, ჩემო მეო" სულ ორიოდე დღის წინ გამოვიდა, ხოლო "ემილის თავგადასავალი" და "ბულერბიელი ბავშვები" უახლოეს მომავალში გამოვა. აქვე ერთი საინტერესო დეტალი: ბოლო ორი წიგნი არა მხოლოდ თავიდანაა თარგმნილი, არამედ მასში ჩამატებულია ის თავები, რომლებიც საბჭოთა გამომცემლობაში ცენზურის გამო ვერ შევიდა (მაგალითად ლოცვის სცენები და სხვა).

საბავშვო ლიტერატურას ქართველი ავტორების წიგნებიც ავსებს. უკვე გამოსულია ზაზა თვარაძის "მონტებულსუ, ანუ ელის არჩვეულებრივი მოგზაურობა". ამ ნაწარმოების გამოცემა დიდი ხნის წინ იყო დაგეგმილი, თუმცა ავტორი დაბოლოვების შეცვლას აპირებდა და გამომცემლობაც მის დასრულებას ელოდა. ზაზა თვარაძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ კი წიგნის გამოცემაც დააჩქარა. აქვეა მაკა მიქელაძისა და ჯემალ ქარჩხაძის "ბერძნულ რომაული მითები და მათთან დაკავშირებული ფრთიანი გამოთქმები", ირმა მალაციძის "სატკბილეთის ქვეყანა", დავით ჯავახიშვილის "ბიძია სევას ამბები" და ტარიელ ხავთასის "ნამდვილი ამბები ცხოველებზე". "ეს კი ჩვენი სიამაყეა" - ამბობს თინა მამულაშვილი და "საქართველოს ატლასს" ფურცლავს. ატლასი ჩვენი სამშობლოს შესახებ ფოტო, კარტოგრაფიულ და ინფორმაციულ მასალას შეიცავს. მასზე მუშაობა დაახლოებით 5 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ მისი სრულყოფისთვის იყო საჭირო. ატლასში გამოყენებული ყველა ფოტო ექსკლუზიურია, მათ შორის აფხაზეთში გადაღებული ფოტოებიც. წიგნში საქართველო რეგიონებადაა დაყოფილი, თვითოეულ კუთხეზე კი ზოგადი, თუმცა ყველაზე საინტერესო ინფორმაციაა მოწოდებული. ატლასი განკუთვნილია არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ მოზრდილი მკითხველისთვისაც.

2009 წლის განმავლობაში საინტერესო წიგნები ელით პროზის მოყვარულებსაც. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" სწორედ ის მისამართია, რომელსაც აკა მორჩილას ლიტერატურის თაყვანისმცემლებმა უნდა მიაკითხონ.

თანამედროვე ქართული ლიტერატურის ყველაზე პროდუქტიული და პოპულარული ავტორი ამჯერადაც რამდენიმე ახალ წიგნს გვთავაზობს. მათ შორის, 2008 წლის "საბას" პრემიით დაჯილდოებულ **Maid in Tiflis**-საც. სულ ახალია ლაშა ბულაძის "კარიკატურისტი" - კრიმინალური ჟანრის რომანი ბევრი საშიში და სასაცილო ისტორიებით. უფრო საინტერესო კი ისაა, რომ წიგნი ილუსტრაციებით თავად ავტორს ეკუთვნის. მალე გამოვა დავით ქართველიშვილის "ახალი წიგნი" და თეონა დოლენჯაშვილის "მემფისი". მკითხველისთვის ნამდვილი საჩუქარი იქნება კრებული "20 საუკუნის ქართული მოთხრობა", რომელშიც ყველა დროის რჩეული მოთხრობები შევა: ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, დავით კლდიაშვილის, გურამ დოლიძის, ნუგზარ შატაძის, გურამ რჩეულიშვილის, ნოდარ დუმბაძისა და სხვა ავტორებისა.

მზადდება უცხოური ლიტერატურის გამომცემლები: ორჰან ფაშუქის "ჯევედთ ბეი და მისი ვაჟიშვილი" და "მე მქვია ნიითი". ასევე ჯეიმს ჯოისის "ულისეს" განახლებული თარგმანი და კნუტ ჰამსუნის "მისტერიები". გამომცემლობა კიდევ ორ მნიშვნელოვან პროექტზე მუშაობს - ეს არის პრაქტიკული სახელმძღვანელოები სამხედრო თემატიკასა და სამოქალაქო თავდაცვაზე, რომლებიც ენციკლოპედიური ხასიათისაა და თანამედროვე სამხედრო საქმიანობის უდიდეს ნაწილს მოიცავს. მერე კი ფოტოალბომი "თბილისია", რომელშიც თანამედროვე თბილისის 160 უნიკალური ფოტო გაერთიანდება და ერთგვარი გზამკვლევის ფუნქციასაც შეასრულებს.

Sotheby's-ს აუქციონის სახლი თანამშრომელთა შეშორებას იწყებს

Sotheby's-ის ამერიკული განყოფილება, სადაც ახალწლამდე 605 ადამიანი მუშაობდა 60 თანამშრომელს გაათავისუფლებს. გათავისუფლებულთა შორის არის იმპრესიონიზმის ეპოქის და XX საუკუნის დასაწყისის ხელოვნების ექსპერტი, რომელმაც კომპანიაში 35 წელი იმუშავა. სამსახური თანამედროვე

გრაფიკის განყოფილების ხელმძღვანელმაც დაკარგა, რომელიც პერსპექტიულ აუქციონისტად მიიჩნეოდა, იუნყება Bloomberg-ი. აღსანიშნავია, რომ ადრე აუქციონის სახლმა ბიუჯეტის 7 მლნ დოლარით შემცირების შესახებ განაცხადა. Sotheby's-ის მთავარი კონკურენტი Christie's-ი კი, მხოლოდ ნიუ-იორკის ოფისში დაახ-

ლოებით 80 ადამიანს შეამცირებს. ეს ინფორმაცია სააგენტო Bloomberg-მა კომპანიის წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა. Christie's-ი პერსონალის გათავისუფლების პროცესს უახლოესი თვეების განმავლობაში გააგრძელებს. აუქციონის ორივე სახლი პერსონალ ხარჯების შესამცირებლად ათავისუფლებს. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა

არტ-ბაზარს ძლიერი დარტყმა მიაყენა და გაყიდვები ამ სფეროში შემცირდა მნიშვნელოვნად. თუმცა გათავისუფლებები 2001-2002 წლების დონეს ჯერ არ მიახლოებია, როცა ფიქსირებული ფასების სკანდალის გამო Sotheby's-იმ პერსონალის 14%-ით, ხოლო Christie's-მა, 15%-ით შეამცირა.

"ჯი-ეინ-ენი"

ხელნაწერები არ ინვის


2008 წლის ყველაზე საინტერესო არქეოლოგიური მონაპოვარი

2008 წელი არქეოლოგიები-სათვის წარმატები აღმოჩნდა.

არქეოლოგიის მშვენიერება ხომ იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ახალი მონაპოვარი გვიცვლის წარმოდგენას საგანზე, ხან გვიღრმავებს ცოდნას მასზე, ხანაც სრულიად ცვლის ჩვენი წარმოსახვის სურათს. გასული წლის ოთხმა შეტყობინებამ ჩვენზე, რევოლუციური თუ არა, მეტად გამაზნებელი შთაბეჭდილება ნამდვილად მოახდინა.

ამ ოთხი მოვლენიდან, პირველი დიდ ბრიტანეთში მოხდა, სადაც მაისის ბოლოს, შეფილდის უნივერსიტეტის ორმა პროფესორმა სთოუნჰენჯის მეგალითურ კომპლექსთან დაკავშირებით უცნაური დასკვნები გააკეთა. უფრო კონკრეტულად კი, მაიკ პერკერ პირსონისა და ენდრიუ ჩემბერლენის ვერსიის თანახმად, სთოუნჰენჯი ასწლეულების განმავლობაში ადგილობრივი ბელადების სასაფლაოს წარმოადგენდა და ამასთან, უზარმაზარი საწინააღმდეგო კომპლექსის ნაწილი იყო. ამ კომპლექსის მეორე ნაწილი კი, რომელიც ბუდჰენჯის სახელით არის ცნობილი, ცოცხალთა სამყაროს განსახიერებდა, ხოლო მეგალითური ნეკროპოლი - გარდაცვლილთა სამყაროს. პირსონისა და ჩემბერლენის იდეა სუსტია, თუმცა, მას ძლიერი მხარეებიც გააჩნია, მაგალითად ის, რომ მეცნიერებმა შეძლეს ერთმანეთთან დაეკავშირებინათ მასალები ორი ერთმანეთისგან განსხვავებული კომპლექსის შესახებ და შედეგად, საინტერესო განზოგადებაც მიიღეს. როგორც ჩანს, მომავალში, კვლავაც უნდა ველოდეთ სიახლეებს სთოუნჰენჯთან დაკავშირებით.

მეორე მოვლენა რუსი არქეოლოგების ნამუშევარს უკავშირდება. კერძოდ, ასტრახანის უნივერსიტეტისა და რუსეთის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივმა ექსპედიციამ მიაკვლია უკვლავად გამქრალი ხაზარული კვანავის დედაქალაქი, სახელწოდებით - იტილ. ასეთ დასკვნამდე მეცნიერები ასტრახანის ოლქის ერთ-ერთ ნაქალაქარში მუშაობის შედეგად



მივიდნენ. იქ მათ შესაძლებლობა მიეცათ მიეკვლიათ ციხე-სიმაგრისათვის, რომლის კედლები აგურით იყო ნაგები. ეს სამეფო პრივილეგია ითვლებოდა. მოცემული ხაზარული ფენების რადიონახშირბადულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი, დაახლოებით, VIII და IX საუკუნეებს მიეკუთვნება, რაც ისტორიულად კავანავის აყვავების ხანას ემთხვევა. ასევე, აღმოჩენილია ხანძრის კვალი, რამაც შესაძლოა დაამტკიცოს ხაზართა წინააღმდეგ 960-იან წლებში, კიევის რაზმის ლაშქრობის ცნობა. აღსანიშნავია, რომ ვოლგას დელტაში გათხრები კვლავაც გაგრძელდება.

მესამე, მართლაც, არაჩვეულებრივი არქეოლოგიური

მოვლენა მოხდა გერმანიაში, რომლის შესახებაც მხოლოდ დეკემბრის დასაწყისში გაცხადდა. როგორც აღმოჩნდა, "შავი არქეოლოგები" ქვემო საქსონიის ფიჭვის ტყის ერთიდაიგივე მონაკვეთზე მთელი რვა წლის განმავლობაში იჩინებოდნენ, სანამ მათ უჩვეულო აღმოჩენებით სპეციალისტებს არ მიმართეს. ძველი რკინის ერთმა გალუნულმა ნაჭერმა ერთბაშად შეცვალა ადგილობრივი არქეოლოგის პეტრე ლენეს წარმოდგენა შემთხვევით აღმოჩენებზე. ეს უცნაური ფრაგმენტი "პოპოსანდალი", ნალის რომაულ ნაწილსაგანთანაა აღმოჩნდა. მსგავსი არტეფაქტებიც, ასევე, რომაული გამოდგა, თანაც, მჭიდროდ და-

კავშირებული იარაღთან. როგორც გაირკვა, მოყვარული მადიებლები წაანყდნენ ბრძოლის ველს, სადაც III საუკუნის პირველ ნახევარში რომაელი ლეგიონერები უცნობ მტერს ებრძოდნენ. აქამდე თუ ითვლებოდა, რომ რომაელები IX საუკუნეში, ტვეტობურგის ტყეში დამარცხების შემდეგ გერმანული მიწების სიღრმეში აღარ შედიოდნენ, ახლა ირკვევა, რომ დადიოდნენ და თანაც, როგორ! აღმოჩენების თანახმად, ჩნდება მტკიცებულება იმისა, რომ რომაელთა ლეგიონმა შტურმით აიღო ბორცვი ჩრდილოეთიდან, რაც იმის მანიშნებელია, რომ მეომრები იქ ჩრდილოეთის ექსპედიციიდან დაბრუნებისას მოხვდნენ. უფრო მასშტაბური გათხრები კალეფელდის მიდამოებში 2009 წლის მარტში დაიწყება.

და ბოლოს, გასული წლის მეოთხე არქეოლოგიური მოვლენა ავღანეთს უკავშირდება, უფრო კონკრეტულად კი, ბედკრულ კომპლექსს ბამიანეში, სადაც 2001 წელს თალიბებმა ბუდა ვაიროჩანისა და ბუდა შაკიამუნის ქანდაკებები გაანადგურეს.

იმის გამო, რომ 2003 წლიდან ბამიანი დატოვდა იუნესკოს მიერ და ამჟამად შორს მდებარეობს საომარი მოქმედებების ადგილიდან, იქ გათხრები განახლდა და გასულ წელს ამ ადგილიდან ორი სასიხარულო შეტყობინებაც მოიტანეს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ იქ, ერთ-ერთ ქვის მონასტერში ზეთის საღებავებში შესრულებული მსოფლიოში უძველესი მოხატულობა აღმოჩნდა, ხოლო მეორე სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ წარმატებით დასრულდა მწოლიარე ბუდას ქანდაკების ძიება, ანუ არქეოლოგებმა, როგორც იქნა, მიაკვლიეს ქანდაკების ფრაგმენტებს, რომლის სიგრძეც 18-19 მეტრია. მართალია, არქეოლოგები, სამსმეტრიან ქანდაკებას ეძებდნენ, მაგრამ ისინი ამ აღმოჩენამაც ძალიან გაახარა. ბამიანიდან მოსული შეტყობინებები გვიჩვენებს ბულგაკოვისეული დაკვირვებით გამოწვეული ოპტიმიზმს იმის შესახებ, რომ ხელნაწერები არ ინვის.



აფიშა

15 იანვარი

თეატრი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი
ჯუზეპე ვერდი
"ბალ-მასკარადი"
დასაწყისი: 19.00

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
მცირე სცენა
"მტრის ნილაბი"
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
"ქაქუცა ჩოლოყაშვილი"
რეჟისორი ლევან ნულაძე
დასაწყისი: 19.00

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი
"მწყემსი გოგონა და ბუხრის მწმენდავი"
დასაწყისი: 19.00

"თეატრი სხვენში"
"ქალი წარსულიდან"
რეჟისორი ზაზა ციკოლია
დასაწყისი: 20.00

"თეატრალური სარდაფი"
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 20.00

"თავისუფალი თეატრი"
"კავკასიური ცარცის წრე"
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

კინო

"ამირანი"
რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.30; 15.15; 17.30; 19.30; 20.00; 22.15
"დღეს, როცა დედამინა გაჩერდა"
დასაწყისი: 19.45; 22.0
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00;

"რუსთაველი"
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00 ; 19.00 ; 21.00
"დღეს, როცა დედამინა გაჩერდა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.15; 19.15; 21.30
"ტრანსპორტერი III"
დასაწყისი: 16.30; 20.15; 22.15

კინოს სახლი
"Jesus Christ Superstar"
დასაწყისი: 18.00
როკ-კონცერტის ჩვენება
აჩიკო ბენაშვილთან ერთად
დასაწყისი: 20.00

გალერეა

"ქარვასლა"
ჰორსტ იანსენის გრაფიურები

"ორნამენტი"
ტიხრული მინანქრის მუდმივი გამოფენა

"შარდენი"
ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა

"ვერნისაჟი"
ფელიქს ვარლამიშვილის (1903-1986) გამოფენა
ფერწერა და გრაფიკა კერძო კოლექციებიდან

N გალერეა
სანდრო ანთაძის პერსონალური გამოფენა

პატარა ექსპრესიონისტები

დააჭიდოვეს საბავშვო კონკურსის გამარჯვებულები

ნიკა ქაბაბა

13 იანვარს კინოთეატრ "ამირანიში", გასართობ ცენტრ "ბაო-ბაბისა" და თბილისის კინოთეატრების "რუსთაველისა" და "ამირანის" ერთობლივი საბავშვო გამოფენის დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ოცდაათ პატარას შორის სამი საუკეთესო დასახელდა. სამეულში 4 წლის მარიკა ლორთქიფანიძე, 8 წლის გიორგი ქარქოზაშვილი და 8 წლის სოფო ბუხრაშვილი შევიდნენ. პირველი ორი გამარჯვებული ფიურნიმ შეარჩია, კომისიის შემადგენელთაგან კარმეკატურისტი ზაალ სულაკაური და "ბაო-ბაბის" დირექტორი ნატო ერისთავი შედიოდნენ. სოფო ბუხ-

რაშვილი, კი პროექტის ერთ-ერთი სპონსორის, კომპიუტერული მაღაზიების ქსელის "ესაბის" გენერალურმა მენეჯერმა ვიტალი ჩიქობავამ დააჯილდოვა. მესამე გამარჯვებული შემთხვევითობის პრინციპით, კალათიდან ფურცელზე დაწერილი სახელის ამოღებით გამოვლინდა. სოფო ბუხრაშვილს კომპანია "ესაბმა" ლაზერული პრინტერი გადასცა. მარიკა ლორთქიფანიძემ მაღაზიათა ქსელ "ბენეტონის" სასაჩუქრე ბარათი და "ბაკურ სულაკაურის გამოცემლობის" წიგნები მიიღო. გიორგი ქარქოზაშვილს "ბაო-ბაბში" დაბადების დღის უფასოდ გადაეხდა "მოუნევის". "ამირანის" პიარ მენეჯერმა ნათია მეფარიშვილმა დაჯილდოების ცერემონიალი-

სას ყველა ბავშვს მიულოცა გამარჯვება და აღნიშნა, რომ ნაგებული და დამარცხებული აქ არავინ იყო. ყველა ბავშვს გადასცეს სიგელი და წიგნები. გამარჯვებულებს ზაალ სულაკაური პორტრეტების დახატვას შეჰპირდა და საქმეს იქვე შეუდგა. გამოფენის თემატიკა არ იყო განსაზღვრული, თუმცა ბავშვების ნახატების უმეტესობა ახალ წელსა და თოვლის ბაბუას უკავშირდებოდა. ახალ წელზე მოგვითხრობდა სამივე გამარჯვებული ნახატიც, თუმცა სხვა თემატიკის სურათებიც გვხვდებოდა, მაგალითად ანიმაციური ფილმების პერსონაჟები. კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერ პატარას შეეძლო.

300 ნახატიდან გამოფენისათვის 30 საუკეთესო შეირჩა. მთავარი მოთხოვნა იყო, რომ ნახატი მშობლის ჩარევის გარეშე უნდა ყოფილიყო შესრულებული. ნატო ერისთავის განცხადებით, რომელიც ამავე დროულად მხატვარიც გახლავთ და ნახატების შერჩევაში მონაწილეობდა, ნახატების უმეტესობა სწორედ ამის გამო დაინუნეს. "უამრავი ნახატი შემოვიდა, რომლებიც უფროსების მიერ იყო დახატული და ბავშვის მიერ გაფერადებული", - განაცხადა მან. ამ ღონისძიებას რეგულარული სახე მიეცემა და მომავალ წელს უფრო მეტ კომპანიას ელოდებიან, რომლებიც დააფინანსებენ და გვერდში ამოუდგებიან ამ ნაშრომებს.

ბანცაღება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლო /0110/ ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 აცხადებს ტენდერს შემდეგი სახის მომსახურებაზე:

1. საოფისე შენობის - ფართი 11 000 მ2, ეზოს - ფართი 3 000 მ2, მიმდებარე ტერიტორიის, სამუშაო და არა სამუშაო ფართის დალაგება-დასუფთავება (**მომსახურე პერსონალი არანაკლებ 15 ერთეული**).
2. შენობის და მიმდებარე ტერიტორიის გარე განათების ელექტრო მომსახურება (დაზიანებული ელ. გაყვანილობის და განათების შეძენა - შეცვლა), ელ. გენერატორის მომსახურება და შენობის სანტექნიკური მომსახურება, დაზიანებული ონკანების და მილების შეძენა - შეცვლა, საცურაო აუზის გამათბობელი სისტემის მომსახურება და შენობის ლიფტის მომსახურება (**მომსახურე პერსონალი არანაკლებ 2 ერთეული**).
3. შენობის კავშირგაბმულობის სისტემის მომსახურება, სადურგლო მომსახურება (კარ - ფანჯრის დაზიანებული საკეტების, სახელურების და მინების შეძენა - შეცვლა, დაზიანებული საოფისე ავეჯის აღდგენა). სარეცხი, ჰიგიენური და სხვა საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით მომარაგება (**მომსახურე პერსონალი არანაკლებ 2 ერთეული**).
4. გამარჯვებული ფირმის წარმომადგენელი უნდა იყოს ოფისში სამუშაო დღეებში სამუშაო საათების დასრულებამდე (**მომსახურე პერსონალი არანაკლებ 1 ერთეული**).
5. ნოხების, ბილიკების და საოფისე ავეჯის ქიმიური რეცხვა (**მომსახურე პერსონალი არანაკლებ 1 ერთეული**).
6. გასაწვევი მომსახურების სავალდებულო ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 1 იანვრამდე, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N32. საქართველოს უზენაესი სასამართლო.
7. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების და სატენდერო წინადადების ქართულ ენაზე წარმოდგენის ვადაა 2009 წლის 5 თებერვლიდან 6 თებერვლის 1800 საათამდე. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილები ქ. N32 - საქართველოს უზენაესი სასამართლო.
8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - ა) ცნობას საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
 - ბ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ

მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

- გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.
8. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დახურული კონვერტით. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.
9. კონვერტები გაიხსნება პრეტენდენტების თანდასწრებით საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების და სატენდერო წინადადების მიღების ვადის დასრულებისთანავე.
10. პრეტენდენტები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
11. ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებს არ ექვემდებარება.
12. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს სატენდერო დოკუმენტაციის ქართულ ენაზე მიღების ბოლო ვადად განესაზღვრებათ 2009 წლის 4 თებერვლის 1800 საათი. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N32. ტენდერში მონაწილე პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლება 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.
- ანგარიში: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - 220 101 222, სახაზინო კოდი - 302 005 200, ანგარიში - 200 122 900.
13. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - სატენდერო წინადადების საერთო თანხის 1%-ის ოდენობით.
14. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი - ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.
15. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ გაცენონ სატენდერო დოკუმენტაციის შემსყიდველ ორგანიზაციაში.
16. დამატებითი ინფორმაციის მიღებისათვის დაუკავშირდით სატენდერო კომისიის აპარატის წევრს ბატონ თემურ უშვერიძეს /990962; 877557737/.

სატენდერო კომისია

ბანცაღება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვის, მოჭრისა და გასხვლის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა: გადასაბეღია 510 ერთეული ხე, აქედან: I კატეგორიის სირთულის - 250 ერთეული, II კატეგორიის - 150 ერთეული, III კატეგორიის - 50 ერთეული, რთულ პირობებში - 30 ერთეული, ძალიან რთულ პირობებში - 30 ერთეული. მოსაჭრელია 410 ერთეული ხე, აქედან: I კატეგორიის სირთულის - 150 ერთეული, II კატეგორიის - 150 ერთეული, III კატეგორიის - 50 ერთეული, რთულ პირობებში - 30 ერთეული, ძალიან რთულ პირობებში - 30 ერთეული. გასხვლა ესაჭიროება 280 ხეს, აქედან: I კატეგორიის სირთულის - 50 ერთეული; II კატეგორიის - 80 ერთეული; III კატეგორიის - 150 ერთეული.
3. შესყიდვის ობიექტის მინოდება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, 2009 წლის 31 დეკემბრამდე (ჩათვლით).
4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 04 თებერვლის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.
5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვის, მოჭრისა და გასხვლის მომსახურების სატენდერო მოსაკრებელი. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 05 თებერვლის 10-დან 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5.
7. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
8. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - 8.1 იურიდიული პირისათვის:
 - ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
 - ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტ-

- რების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- 8.2. ფიზიკური პირისათვის:
 - ა) ცნობა, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
 - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- 8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
 - ა) ინფორმაცია ბოლო პერიოდში განხორციელებული ანალოგიური მინოდების შესახებ;
 - ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასაველელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მერვე პუნქტით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.
11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტირების მექანიზმი.
12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.
ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თვალის დაავადებათა კვლევის და მკურნალობის მიმართულებით

გთავაზობთ:

- თვალის სრული გამოკვლევა
- თვალის ვირუსული, ბაქტერიული, რევმატიული თანამედროვე მეთოდით მკურნალობა (კერატოტი, ირიდოციკლიტი, უვეიტი, ქორორეტინიტი)
- წყლულოვანი ბლევარიტები, დემოდეკოზი, დაქროციტიტი
- გლაუკომა - სანყის სტადიაში გამოვლენა, მკურნალობა, მეთვალყურეობა

- შაქრიანი დიაბეტით დაზიანებული თვალის მკურნალობა - მეთვალყურეობა
- ბავშვთა მხედველობის დაცვა (სათვალის დადგენა, სიელმის მკურნალობა, თვალის გაზარმაცება, მიოპია)
- გერიატრიულ (ასაკობრივ) დაავადებათა მეთვალყურეობა და მკურნალობა
- თვალის დისტროფიული დაავადებების თანამედროვე მეთოდებით მკურნალობა

პაციენტების მიღებას აწარმოებს
ოფთალმოლოგიაში დიდი გამოცდილების მქონე
უმალღესი კვალიფიკაციის სპეციალისტი ზურაბ მაისურაძე

მის: თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის 20.
დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
ტელ.: 91 31 19; 91 32 42. მობ.: (899) 103282

სპორტი

ფაჩულიას "დაბლა" "ქორაბს" ვერ უხველა

NBA-ს რეგულარულ სეზონში ზედიზედ მეოთხე მატჩი ნააგო ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოქსის" ამჯერად სტუმრად "ფინიქსთან". სასტარტო შემადგენლობაში გამწვანებულ ქართველ ცენტრს თვით მაკილ ო'ნილთან მოუხდა ბრძოლა და თავი არ შეურცხვენიდა.


მართალია, "ფინიქსის" დაიძინა ცენტრი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა და მასპინძლების გამარჯვებაც დიდხალად მისი დამსახურებაა, მაგრამ მასთან ბრძოლაში რომ ორმაგ დუბლს გამოიჩინა, ნამდვილად არ არის ურიგო შედეგი. ფაჩულიამ სწორედ ორმაგი დუბლის შესრულება მოახერხა - 32 წუთში 10 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა. ზაზასთვის ეს მეორე ორმაგი დუბლია ამ სეზონში: წინა გასული წლის 6 დეკემბერს, "დალასის" წინააღმდეგ მიითვალა 13 ქულა და 12 მოხსნა.

ფაჩულიამ ახლო მანძილიდან 9-ჯერ შეუტია ფინიქსელთა ფარს და 5 ჩააგდო. მისი მეტოქის ფარზე მოხსნილი 7 მოხსნა კი საუკეთესო იყო წუხელ გამართულ შეხვედრის მატჩში. მთლიანობაში ზაზას 11 მოხსნა დაუგროვდა, რასაც თითო პასი და დაფარება მოაყოლა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა. მაკილ ო'ნილის მონაგარი 26 ქულა, 10 მოხსნა და 3 დაფარება.

მატჩი დაძაბული გამოდგა. თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე "ატლანტა" ქულას იგებდა, თუმცა დარჩენილ დროში მაკილ ო'ნილმა, სტივ ნეშმა და ამარე სტუდემიერიამ (სამივე ლიგის მეგავარსკვლავეთი) ზუსტი თამაშით გამოიჩინეს თავი. საბოლოოდ "ფინიქსმა" 107:102 გაიმარჯვა.

ატლანტელებს ახლა 22 გამარჯვება აქვთ 15 მარცხის წილ და კვლავ მე-5 ადგილზე არიან აღმოსავლეთ კონფერენციაში. მათ წინ "დეტროიტა", უკან "მაიამი".

ამერიკიდან ევროპაში გადავინაცვლოთ, სადაც დასრულდა



მაკილ ო'ნილთან ბრძოლაში ფაჩულიამ ორმაგი დუბლი გაახერხა. მაგრამ "ატლანტას" მაინც ვერ უხველა

"ევროჩელენჯის" პირველი ჯგუფური ეტაპი და გაიკვია ის 16 გუნდი, რომლებიც ევროთასისთვის ბრძოლას გააგრძელებენ. ტურნირში მონაწილე სამი "ქართული" გუნდიდან მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე გავიდა ორი - მანუჩარ მარკოშვილის "ბკ კიევი" და ტაირონ ელისის "კახა-

სოლმა" თავიანთ ჯგუფებში მეორე ადგილი დაიკავეს და მომდევნო ეტაპზე გაძვრნენ, გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის "ტარტუ როკს" კი ხელი მოეცარა. მარკოშვილმა 17 ქულა ჩაუგდო გერმანულ "სკაილინერსს", მისმა გუნდმა კი დამაჯერებლად - 78:46 იმარჯვა და რუსული

"ტრიუმფის" შემდეგ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. მარკოშვილზე მეტი ქულა ამ მატჩში არავის მიუთვლია - ზუსტად 17 მოაგროვა "მანუს" თანაგუნდელმა კენან ბაირამოვიჩმა.

"ჩვენ თავიდანვე ვუპოვეთ თამაშს გასაღები, კარგად ვირჯებოდით როგორც დაცვაში, ისე შეტევაში. ვიცით, რომ მომდევნო ეტაპზე გაცილებით რთული მატჩები გველის, ამიტომ ალბულები ტემპი არ უნდა დაკარგოთ და კიდევ უფრო მოვუმატოთ," - თქვა მატჩის შემდეგ მარკოშვილმა ევროპულ ჟურნალისტებთან.

"ბკ კიევი" მომდევნო ჯგუფში ძლიერ მეტოქეებთან მოხვდა: იტალიური "ვირტუსი", თურქული "გალათასარაი" და გერმანული "ოლდენბურგი".

საქართველოს ნაკრების ამერიკელი გამთამაშებლის "კახასოლი" შინ ლატვიურ "ვენტსპილსს" დაუხვდა და დაამარცხა - 98:51.

ელისმა მხოლოდ 10 წუთი ითამაშა და 7 ქულა მიითვალა. მატჩის ბედი პირველივე მეოთხედში გადაწყდა (26:6) და ესპანური გუნდის მწვრთნელმა აღარ დატვირთა ერთ-ერთი ლიდერი ელისი.

მომდევნო ჯგუფში "კახასოლი" მეტოქედ ორი რუსული გუნდი შეხვდა: როსტოვული "ლოკომოტივი" და პერმის "ურალ გრეიტ". ასევე კვიპროსული აელ-ი.

ბოლოს კი - ჯგუფში ჩარჩენილ "როკზე". ტარტულებმა სტუმრად წააგეს ბელგიურ "ოსტენდესთან" 82:92, თუმცა რომ მოეგოთ კიდევ, ჯგუფიდან მაინც ვერ გაიდონ. ქართველმა ქორეგებმა იმითა უნდა ვინჯეშოთ თავი, რომ ცინცაძე საუკეთესო იყო თავისიანთაგან და არც სანიკიძეს უთამაშა ურიგოდ.

ცინცაძემ 32 წუთში 20 ქულა, 6 პასი და 3 მოხსნა მიითვალა, ხოლო სანიკიძემ 10 წუთში ამდენივე ქულა მოაგროვა, რასაც 2 მოხსნაც მოაყოლა.

იაშკამ პენალტი გააკეთა და მაინც გაიტანა

თურქულ ბელეკში შეკრებაზე მყოფმა ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუემ" მორიგი საკონტროლო მატჩი დიუსელდორფის "ფორტუნასთან" გამართა და მეტოქეს 3:1 სძლია. ანგარიში დიუსელდორფელებმა გახსნეს, მთავარი მოვლენები კი მეორე ტაიმში განვითარდა, როდესაც მინდორზე ქართველი ფორვარდი გამოჩნდა. 55-ე წუთზე არბიტრმა კუსტოსი ხელით თამაშისთვის პენალტით დასაჯა, თუმცა, იაშვილმა "ფორტუნას" გოლიკუპერ რატიჩაკს ვერ აჯობა. "კარლსრუემ" კაპლანის შედეგიანი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში, 75-ე წუთზე კი ალბანელი ნახევარმცველის შეტევა იაშვილმა დააგვირგვინა და გუნდი დაანინაურა. მატჩის საბოლოო ანგარიში 84-ე წუთზე დაფიქსირდა, როდესაც კრისტიან ტიმმა კიდევ ერთხელ აიღო დიუსელდორფელთა კარი.

სია დაზუსტდა

საქართველოს 2009 წლის მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის პარალელურად, 16 იანვარს, სტარტს აიღებს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. ორივე ასპარეზობას თბილისის ჭადრაკის სასახლე უმასპინძლებს. ადრე გამოცხადებული ვაჟ მოჭადრაკეთა ჩემპიონატის ფინალში მოასპარეზე სპორტსმენებიდან ამ ტურნირში ვერ მონაწილეობენ: ბაადურ ჯოზაძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ზვიად იზორია და თამაზ გელაშვილი. მათ ნაცვლად ჩემპიონატში გამოვლენ: გიორგი ბალათუროვი, მერაბ გაგუნიშვილი, დავით ბენიძე და ასპარეზობის მონაწილე ერთადერთი ქალი ინგა ჭარხალაშვილი.

ტურნირის მიღმა დარჩენილი მოჭადრაკეებიდან საქართველოს ნომერ პირველი მოჭადრაკე ვაჟი ბაადურ ჯოზაძე ამჟამად ეგვიპტეშია და ამ ქვეყნის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობს; სინგაპურში იმყოფება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი და ევროპის ექსჩემპიონი ზურაბ აზმაიფარაშვილი; ამერიკის შეერთებულ შტატებშია ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მოჭადრაკე ზვიად იზორია, სადაც იგი დროებით ცხოვრობს; ანტალიის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს საერთაშორისო დიდოსტატი თამაზ გელაშვილი.

ვაჟების ფინალურ ტურნირში 14 მონაწილეს, რომლებიც წრიული სისტემით, 13 ტურად შეხვედებიან ერთმანეთს. ესენი არიან: ლევან ფანცულაია, გიორგი მარგველაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნიშვილი, დავით არუთინიანი, გიორგი ბალათუროვი, თორნიკე სანიკიძე, კონსტანტინე შანავა, გაიოზ ნიგალიძე, დავით მაღალაშვილი, შოთა აზალაძე, ლევან ბრეგაძე, დავით ბენიძე და ინგა ჭარხალაშვილი. ჩემპიონატი 16-30 იანვარს ჩატარდება.

ყენიამ და კობიაშვილმა ითამაშეს

ლევან ყენიასა და ლევან კობიაშვილის? "შალკემ" მორიგი საკონტროლო მატჩი ესპანურ "ლევანტესთან" გამართა და მეტოქეს უგოლოდ დამორდა.

ვალენსიაში გამართულ მატჩში ორივე ქართველმა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა. კობიაშვილი გელზენკირხენელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეუცვლელად ითამაშა, ყენია კი 83-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე.

არგენტინელი ტრანსფერი ჩაიშალა

საფეხბურთო აგენტმა ფერნანდო იდალგომ, რომლის კლიენტებიც არგენტინელი ფორვარდები ერნან კრესპო და დიეგო მილიტო არიან, განაცხადა, რომ ეს ფეხბურთელები თავიანთ კლუბებში, შესაბამისად, "ინტერსა" და "ჯენოაში" ჩაამთავრებენ სეზონს. ცოტა ხნის წინ იტალიურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ "ინტერსა" და "ჯენოას" შორის მოსალოდნელი იყო სამხრეთამერიკელი თავდამსხმელების ერთმანეთში გაცვლა. გარიგების ინიციატორები იყვნენ "ნერაპურის" ხელმძღვანელები, რომლებსაც ისე ძალიან უნდოდათ მილიტოს ხელში ჩაგდება, რომ ჯენოელ კოლეგებს, კრესპოს გარდა, სოლიდურ თანხასაც ჰპირდებოდნენ. თუმცა, იდალგომ ყველაფერს ხაზი გადაუსვა და ამგვარი გარიგების შესაძლებლობა, სულ მცირე, ზაფხულამდე გამოიცილა.

"ერნანი ინტერში" რჩება და ეს გადაწყვეტილია. ყოველ შემთხვევაში, ის ამ სეზონს "ნერაპურის" ფორმით დამთავრებს. მართალია, მასთან რამდენიმე კლუბი მართავს მოლაპარაკებას, მაგრამ მის კარიერაში ცვლილებები ზაფხულამდე არ იგეგმება. მილიტოს შემთხვევაში სიტუაცია კიდევ უფრო ნათელია. "ჯენოას" პრეზიდენტს დიეგოს შენარჩუნება მყარად აქვს გადაწყვეტილი და მის გასხვისებას არც "ინტერში" აპირებს და არც სხვა კლუბში", - ამბობს იდალგო.

ტოჩინოშინის მესამე გამარჯვება

ტოჩინოში მიმდინარე იანვრის ბაშოზე წარმატებით აგრძელებს გამოსვლას ლევან გორგაძე. ასპარეზობის ოთხი დღის შემდეგ ტოჩინოშინს სამი გამარჯვება აქვს და ლიდერთა შორისაა. იგივეს ვერ ვიტყვით ლევან ცაგერიაზე. ბაშოს პირველ დღეს მოგებული ბრძოლის შემდეგ მან ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო. ახლა გამოცდილი ქართველი სუმოსტის ბალანსზე მხოლოდ ერთი გამარჯვებაა.

გუმინ ტოჩინოშინის მეტოქე იყო აღმოსავლეთის მეტერთმეტე მავეაშირა ივაკიამა. ქართველმა შიტატენაგეს ილეთით მოიგო ბრძოლა და მესამე გამარჯვება მიითვალა.

კოკაი კი შეხვდა აღმოსავლეთის მეოთხე მავეაშირა ვაკანოსატოს, რომელსაც გუმინდლამდე არც ერთი ბრძოლა არ ჰქონდა მოგებული. ქართველი სუკუნაგეს ილეთით დამარცხ-



ტოჩინოშინი ლიდერებში გაერია

და და რთულ ვითარებაში ჩაიგდო თავი - თუ კოკაიმ ბაშო უარყოფითი ბალანსით დაასრულა, რეიტინგში აუცილებლად დაქვეითდება.

მორიგი გამარჯვებები იზეიმეს ბაშოს ფავორიტებმა. ჰა-

კუჰომ აღმოსავლეთის პირველი მავეაშირა კოტომოგიკუ დაამარცხა, ასომორიუმ კი - აღმოსავლეთის მეორე მავეაშირა მიაბაიამა.

ორივე იოკოძუნას ასპროცენტის მარჯვენაზე აქვს.

ასევე ოთხ-ოთხი გამარჯვება აქვთ მოპოვებული დასავლეთის ოძეკ ჩიოტაიკაის და აღმოსავლეთის ოძეკ კოტომუს.

დღეს ბაშოს მეხუთე საასპარეზო დღეა. ტოჩინოშინი უნდა შეხვედეს აღმოსავლეთის მეხუთემეტე მავეაშირა ტამანოშიმას, რომელსაც, ქართველის დარად, ოთხიდან სამი ბრძოლა მოუგია. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ტოჩინოშინი ოთხჯერ დაუპირისპირდა თავის დღევანდელ მეტოქეს და ამ ოთხი ბრძოლიდან სამი წააგო.

კოკაის მეტოქე იქნება აღმოსავლეთის მეექვსე მავეაშირა ბუშუიამა, რომელმაც, ისევე როგორც კოკაიმ, ბაშოზე სუსტი სტარტი აიღო და ოთხიდან მხოლოდ ერთი ბრძოლა მოიგო. უკანასკნელი წლის განმავლობაში კოკაიმ ბუშუიამასთან ორი ბრძოლა გამართა და ორივე მოიგო.

ჭილარდინო "მილანთან" სათამაშოდ ემზადება

იტალიის სერია A-ს უახლოესი ტურის ცენტრალური შეხვედრა "სან სიროზე" გაიმართება, სადაც "მილანი" "ფიორენტინას" უმასპინძლებს. ამ მატჩს ინტრიგას მატებს ფლორენციელთა თავდამსხმელი ალბერტო ჯილარდინოც, რომელიც გუნდმა გასულ ზაფხულს სწორედ "მილანისგან" შეიძინა.

მომავალი დაპირისპირების წინ "ფიორენტინას" ფორვარდმა აღიარა, რომ თუ "მილანის" კარის აღება მოახერხებს, ემოციების მოთოვას არ ეცდება და დიდი სიხარულით აღნიშნავს გოლის გატანას.

"რას გავაკეთებ, თუ "მილანი" კარს ავიღებ? ვფიქრობ, არაფერს უკანონოს არ ჩავიდენ, თუ ამ გოლსაც ისევე აღვნიშნავ, როგორც დანარჩენებს. სიმართლე გითხრათ, "როსონერის" მისამართით არავითარი საყვედურის თქმა არ მინდა. პირიქით, ამ გუნდმა თავის დროზე მე უმაღლეს დონეზე თამაშის საშუალება მომცა. გასულ ზაფხულს "მილანი" საკუთარი ინიციატივით დაგვტოვე, რადგან მომბეზრდა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა. ფლორენციაში კი კარგი გუნდი შეიკრიბა. მთავარი მწვრთნელიც ბოლომდე მენდობა და აქ თავს კომფორტულად გვრძნობ", - განაცხადა იტალიელმა ფორვარდმა.

"მილანიდან" გადაბარგების შემდეგ ჯილარდინო "სან სიროს" შაბათს პირველად ენვევა. "ფიორენტინას" შემადგენლობაში კი მან სერია A-ს 16 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ფლორენციელების მეტოქეთა კარში 12 გოლი გაიტანა.

რიბერიმ და ალტინტოპმა მექა მოიარეს

მიუნხენის "ბაიერნის" მუსლიმმა ნახევარმცველებმა - ფრანგმა ფრანკ რიბერიმ და თურქმა ჰამით ალტინტოპმა ორშაბათს მექა მოილოცეს.

"ბაიერნმა" მექადან 70 კილომეტრის მოშორებით მდებარე ქალაქ ჯედაში "ალ ვედასთან" ამხანაგური მატჩი გამართა, რის მერეც რიბერი და ალტინტოპი მუჰამედ ნინასნარმეტყველის მშობლიური ქალაქისკენ გაემართნენ.

ისინი კლუბს იმავე საღამოს დაუბრუნდნენ. რიბერიმ 2002 წელს ალჟირული წარმომავლობის მქონე მუხლლის - აჰმა ბელჰამის ხათრით მიიღო ისლამი. მისი მუსლიმური სახელია ბილალი. ყოველი მატჩის წინ ფრანკ-ბილალი ალაჰისადმი ლოცვას ალავლენს ხოლმე.

ალოფსი უარყოფს

"ვერდერის" მენეჯერი კლაუს ალოფსი უარყოფს იტალიური მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ტურინის "იუვენტუსთან" ბრაზილიელი ნახევარმცველის დიეგოს შესაძლო ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.

"ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენსა და "იუვენტუსს" შორის მოლაპარაკება არც მიმდინარეობს და არც იგეგმება. რას იზამ, უახლოესი თვეების განმავლობაში ასეთი ჭორების ფონზე მოგვიწევს ცხოვრება", - აღნიშნა ალოფსმა.

კოვარჩევიჩი გულმა შეაწუხა

"ოლიმპიაკოსის" სერბმა თავდამსხმელმა დარკო კოვარჩევიჩმა გულზე ოპერაცია გადაიტანა.

მას შემდეგ, რაც ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ 35 წლის ფეხბურთელს მაღალი არტერიული წნევა და სისხლძარღვების შევიწროება ჰქონდა, ის გაემგზავრა ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანში, სადაც კორონარული ანგიოპლასტიკა ჩაუტარდა.

"ოლიმპიაკოსის" პრესამსახურის ცნობით, ქირურგიულმა ჩარევამ წარმატებით ჩაიარა:

"კოვარჩევიჩი კარგადაა. სავარაუდოდ, ოთხშაბათს ის საავადმყოფოს დატოვებს".

"მანჩესტერ იუნაიტედს" ევრა გამოაკლდა

ინგლისის პრემიერლიგის 21-ე ტურში ლონდონის "ჩელსისთან" 3:0 მოგებულ შეხვედრაში, "მანჩესტერ იუნაიტედის" მარცხენა მცველმა პატრის ევრამ ფეხის მყესი დაიზიანა და გუნდს ექვს მატჩში ვერ დაეხმარება. "ევრას არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისია. მან მყესი იტყინა და სამკურნალოდ 8-10 დღე დასჭირდება, რის შემდეგაც აღდგენითი პროცესი ელის", - განაცხადა მანჩესტერელთა მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა.

"იუნაიტედის" კიდევ ერთი მცველი რიო ფერდინანდი, ადრე ნავარაუდები სამი კვირის ნაცვლად, ერთ კვირაში ჩადგება მწყობრში.

ბრანდაუ "მარსელში" გადავიდა

უკრაინის საფეხბურთო პრემიერლიგაში მოასპარეზე დონეცკის "შახტარი" და საფრანგეთის პირველი დივიზიონის "მარსელი" ბრაზილიელი ფორვარდის ბრანდაუს ტრანსფერის თაობაზე შეთანხმდნენ. ბრანდაუ "მარსელში" სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კლუბთან პირად კონტრაქტსაც შეთანხმებს. მის სანაცვლოდ დონეცკელები ექვს მილიონ ევროს მიიღებენ.

საქართველოს ნაკრებმა 108-ე ადგილი ბატკეპნა

ფიფას მიერ გამოქვეყნებულ 2009 წლის იანვრის თვის რეიტინგში, საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა გასული წლის დეკემბრის მდგომარეობა შეინარჩუნა და მსოფლიო ნაკრებთა ჩამონათვალში კვლავაც 108-ე ადგილზე იმყოფება.

ასევე უცვლელია ამავე წლის ლიდერთა სამეული - პირველ ადგილზე ესპანეთი იმყოფება, მეორეზე - გერმანია, ხოლო მესამეზე ჰოლანდია.

ეს კი იანვრის მდგომარეობით მსოფლიოს ოცი საუკეთესო ეროვნული ნაკრების ნუსხაა:

- 1 (1). ესპანეთი1663
- 2 (2). გერმანია.....1389
- 3 (3). ჰოლანდია1338
- 4 (4). იტალია1326
- 5 (5). ბრაზილია.....1246
- 6 (6). არგენტინა.....1180
- 7 (7). ხორვატია1142
- 8 (8). ინგლისი.....1115
- 9 (9). რუსეთი.....1103
- 10 (10). თურქეთი.....1016

- 11-13 (11). საფრანგეთი.....1007
- 11-13 (11). პორტუგალია..1007
- 11-13 (11). ჩეხეთი.....1007
- 14 (14). კამერუნი.....989
- 15 (16). ეგვიპტე974
- 16 (15). უკრაინა909
- 17 (19). ნიგერია.....891
- 18 (17). პარაგვაი.....889
- 19 (18). ისრაელი877
- 20 (20). საბერძნეთი.....872
- 28 (27). ბულგარეთი782
- 37 (38). ირლანდია711
- 94 (94). კვიპროსი.....376
- 108 (108). საქართველო328

113 (112). ჩერნოგორია.....310

2010 წლის სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატისთვის შესარჩევ ციკლში, საქართველოს ნაკრები მე-8 ჯგუფში იტალიის, ირლანდიის, ბულგარეთის, კვიპროსისა და ჩერნოგორიის ეროვნულ გუნდებთან ერთად იმყოფება.

ტატიშვილისა და ჩახნაშვილის მეტოქეთა ვინაობა გაირკვა

ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო მატჩებში ორი ქართველიც მიიღებს მონაწილეობას. ორივე ხუთშაბათს, გამთენიისას ჩაერთვება ასპარეზობაში. აქამდე ქალთა საკვალიფიკაციო ბადეში ორი ქართველი არასდროს ყოფილა. წლეულს კი საქართველოს სახელით ანა ტატიშვილი და მაკა ჩახნაშვილი გამოვლენ.

საქართველოს პირველი ჩოგანი ტატიშვილი 18 წლისაა. საკვალიფიკაციო რაუნდში ის 24 წლის ხორვატ კაროლინს შპრემს გაეჯიბრება.

თბილისელ ჩოგბურთელს მსოფლიო რეიტინგში 156-ე ადგილი უკავია, რაც მის კარიერაში საუკეთესო მაჩვენებელია.

ანას პროფესიულ ტურში 13-დან 3 მატჩი აქვს მოგებული. მისი საპრიზო მონაგარი კი 96 916 დოლარია.

გაცილებით მსუყეა შპრემის სტატისტიკური მაჩვენებლები - 85 მოგება, 87 მარცხი. კაროლინა მსოფლიოს 167-ე ჩოგანია, ყულაბაში კი 1 000 801 დოლარი უჩხრიალებს.

ხორვატი ჩოგბურთელი ავსტრალიის ღია პირველობაზე მეხუთედ ითამაშებს, საუკეთესო შედეგი კი 2005 წელს ჰქონდა, როდესაც მე-4 ნრემდე მივიდა.

პირველ რაუნდში გამარჯვების შემთხვევაში, ტატიშვილი მე-7 ნომრად განთესილ სლოვენელ ანდრეა კლეპაჩსა

და უკრაინელ ოქსანა ლიუბცოვას შორის გამარჯვებულს შეერკინება.

ტატიშვილზე სუსტი მეტოქე შეხვდა 26 წლის მაკა ჩახნაშვილს - ავსტრალიელი მარია მირკოვიჩი კლასიფიკაციაში 217-ე პოზიციაზეა.

ქართველ ჩოგბურთელს 5 მატჩში 3 გამარჯვება აქვს და 176 329 დოლარი აქვს გამოიმუშავებული.

მირკოვიჩს პროფესიულ ტურში დებიუტი სწორედ მელბურნის კორტებზე ექნება. 18 წლის ავსტრალიელი მსოფლიოს 416-ე ჩოგანია და 20 619 საპრიზო დოლარი აქვს მიღებული.

თუ მასპინძელ ჩოგბურ-

თელს გაცდა, ჩახნაშვილს მე-16 ნომრად მიჩნეულ რუმინელი იოანა რალუკა ოლარუსა და ფრანგ ოლივია სანჩესს შორის გამარჯვებულთან მოუწევს ბრძოლა.

ჩახნაშვილი პირველ მატჩს "მელბურნ პარკის" მე-3 კორტზე გამართავს, ტატიშვილი კი მე-14 კორტზე გამოვა.

ავსტრალიის ღია პირველობის ძირითადი ბადის მატჩები 19 იანვარს აიღებს სტარტს.

წლეულს ტურნირის საპრიზო ფონდი 23.14 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. კაცთა და ქალთა პირველობის გამარჯვებულები 2-2 მილიონს მიიღებენ.

მისი წელიწადი



"ბარსას" პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა აცხადებს, რომ 2009 წელს ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს "პატარა ლეო" მოიპოვებს.

სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ციურისში, ფიფას გალა საღამოზე, 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელად კრიშტიანუ რონალდუ დაასახელეს, მესი კი მეორე ადგილზე გავიდა. ლაპორტას აზრით, გასულ წელს სწორედ რონალდუ იმსახურებდა საუკეთესოს ტიტულს, თუმცა მომავალი წელი მისი კლუბის არგენტინელი ვუნდერკინდის იქნება.

"ხუთივე ფეხბურთელი, რომლებიც ფიფამ აირჩია, გამარჯვებულად მიმაჩნია. რა თქმა უნდა, უფრო გამიხარდებოდა, ტიტული ხავის ან მესის რომ მოეგოთ, მაგრამ ფეხბურთი გუნდური თამაშია და იმისთვის, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელონ, აუცილებელია კლუბთან ერთად რაიმე ტიტული მოიგო. ასე რომ, რონალდუმ სრულიად სამართლიანად გაიმარჯვა. 2009 წელს კი მესის ვერაინი აჯობებს, ამაში დარწმუნებული ვარ. "ბარსელისა" ორი ფეხბურთელი იყო საუკეთესო ხუთეულში და ოთხი - ათეულში. ეს ჩვენი გუნდის უდიდეს

პოტენციალზე მეტყველებს", - აცხადებს ლაპორტა.

შეგახსენებთ, რომ მესი მეორე ადგილზე გავიდა, ხავი - მეხუთეზე, ეტო - მეშვიდეზე, ხოლო ანდრეს ინიესტა - მეცხრეზე.

მესის შესახებ დიეგო მარადონამაც ისაუბრა. ლეგენდა-

რულმა არგენტინელმა აღნიშნა, რომ ლიო მსოფლიოში საუკეთესოა. ისიც დაამატა: მესის ყველა შანსი აქვს იმისთვის, რომ უფრო დიდი ფეხბურთი ითამაშოს, ვიდრე თავად მარადონამ.

"არის თუ არა მესი ახალი მარადონა? იმედი მაქვს, რომ

სწორედ ასეა. ერთი რამ ფაქტია: მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ გაცილებით უკეთესი გახდეს, ვიდრე თავის დროზე მარადონა იყო. ძალიან მინდა, რომ ლიომ უფრო დიდი ფეხბურთი ითამაშოს, ვიდრე მე და ამის იმედიც მაქვს", - აცხადებს მარადონა.

ოლიმპიური დიდების წელი



ქართველ ოლიმპიელთა პეკინში ასპარეზობა სანიმუშო იყო

"2008 წელი ქართული სპორტისათვის უმნიშვნელოვანესი წარმატებებისა და გამარჯვებების წელი გამოდგა. გასული წლის მთავარი სპორტული მოვლენა, რა თქმა უნდა, ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშები იყო. პეკინის ოლიმპიური თამაშებზე ქართველმა სპორტსმენებმა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენეს", - ასეთია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურის შეფასება 2008 წლის სპორტული ცხოვრების მიმართ, რომელიც იმავდროულად განვილი ოთხწლიანი ციკლში ქართული სპორტის მონაგარსაც აფასებს და სამომავლო გეგმებზეც საუბრობს.

"პეკინში მოპოვებული სამი ოქროსა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი საქართველოსათვის ნამდვილად განსაკუთრებული გამოდგა. ამიტომაც ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორთა მონაგარი უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის. საქართველოს ოლიმპიურმა ნაკრებმა პეკინის თამაშებზე 204 ქვეყანას შორის 27-ე ადგილი დაიკავა, რაც იმ რეალობიდან გამომდინარე, რა რეალობაშიც საქართველო აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს მოექცა, გმირობის ტოლფასი იყო. რა თქმა უნდა, აღსანიშნავია მწვრთნელების, სამედიცინო პერსონალისა და საერთოდ სპორტში მომუშავე ყველა სპეციალისტის ღვაწლი. მათ შორის როგორც გულშემატიკარი, ასევე სახელმწიფო

სათანადოდ დააფასებს. მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული ვითარებისა, კმაყოფილები ვართ, რომ სპორტსმენების მიმართ საქართველოს პრეზიდენტის ყველა დანაპირები სრულიად შესრულდა. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ბრწყინვალე გამოდგა საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა გამოსვლა 38-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე. დრეზდენში ქართველმა ქალებმა საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და 12-წლიანი პაუზის შემდეგ ქართულ ჭადრაკს კვლავ დაუბრუნეს საოლიმპიადო ტიტული. დრეზდენში ოლიმპიადაზე განსაკუთრებით მსურს გამოვარჩიოთ მაია ჩიბურდანიძის თამაში, რომელმაც საქართველოსათვის საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღო. დასაფასებელია ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის ახალი პრეზიდენტის - გია გიორგაძის წარმატებული მუშაობაც. ისევე როგორც გასულ სეზონებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ამჯერადაც გავგაზარეს საქართველოს ძიუდოსიტა, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებებმა. ძიუდოში ირაკლი ცირეკიძის ოლიმპიურ ჩემპიონობამდე, ევროპის ჩემპიონის ტიტული დაუფლდა შექლო ზაზა კედელაშვილმა, ხოლო ოლიმპიური თამაშების შემდგომ ძიუდოსიტა ნაკრებმა ტოკიოში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი მოიგო. პეკინის თამაშებამდე ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა "თავისუფალმა" გიორგი გოგშელიძემ, ხოლო რევაზ მინდორაშვილი ოლიმპიურ თამაშებამდე ევროპის ჩემპიონა-

ტის ვერცხლის მედალს დაეუფლა. სასიხარულოა, ისიც, რომ საჭიდაო სამყაროს ძალზე ნიჭიერი თაობა ეზრდება. 2008 წელს ბრწყინვალე შედეგი აჩვენეს ძიუდოში ვარლამ ლიპარტიანიძე, ხოლო თავისუფალ ჭიდაობაში ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა. ყოველივეს გათვალისწინებით, ამკარაა, რომ ძიუდოში და ჭიდაობის ორივე სახეობაში თაობათა ცვლა წარმატებულად მიმდინარეობს. 2009 წელი უმნიშვნელოვანესი იქნება სათამაშო სახეობების განვითარების კუთხითაც. მიმართულია, რომ სათამაშო სახეობების მხარდაჭერა კვლავ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ჩვენთვის. ამ სახეობების განვითარებისათვის ზრუნვა პირველყოფისა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესებით უნდა დაიწყო. მნიშვნელოვანი გახლავთ ისიც, რომ საქართველო საერთაშორისო ფედერაციების მხრიდან მნიშვნელოვან მხარდაჭერას იმსახურებენ. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოში ფიფას პრეზიდენტის - იოზეფ ბლატერის ვიზიტი. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის თავკაცმა თბილისში სტუმრობა ქვეყნის მიერ გადატანილი მძიმე დღეების შემდეგ, ეროვნულ სტადიონზე საერთაშორისო ფეხბურთის დაბრუნებას დაამთხვია და ამით საქართველოსადმი მხარდაჭერა და კეთილგანწყობა გამოხატა. დღევანდელი გადასახედიდან, 2008 წელი ქართული სპორტისათვის წარმატებული გამოდგა. ასევე დადებითად შევაფასებ იმ ოთხწლიან ციკლს, რაც ჩვენ ყველამ ერთად გავიარეთ. საერთო სტატისტიკას თუ გადავხედავთ,

სპორტის ოლიმპიურ სახეობებში სამივე ასაკობრივ კატეგორიაში 2008 წელს 52 მედალი (17 ოქრო, 13 ვერცხლი, 22 ბრინჯაო) მოვიპოვეთ, 2007 წელს - 55 მედალი (14 ოქრო, 18 ვერცხლი, 23 ბრინჯაო), 2006 წელს - 38 მედალი (4 ოქრო, 12 ვერცხლი, 22 ბრინჯაო), ხოლო 2005 წელს - 58 მედალი (16 ოქრო, 11 ვერცხლი, 31 ბრინჯაო). რა თქმა უნდა, გვაქვს სირთულეებიც, რომელთა დასაძლევად ძალბებს არ ვიშურებთ და ამ პრობლემების გადასაჭრელად კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან, სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურებთან, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და ფედერაციებთან ერთად აქტიურად ვმუშაობთ. მომდევნო ოთხწლიანი ციკლი რამდენიმე პრიორიტეტული საკითხის მოგვარებით უნდა დაიწყოთ, ესენია უმაღლესი სპორტული განათლების სისტემაში არსებული საკითხების გადაჭრა, სპორტის კანონში საჭირო ცვლილებების შეტანა და, რა თქმა უნდა, ეროვნულ ფედერაციებთან ერთად სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-მონესრულება მთელი ქვეყნის მასშტაბით. დასასრულს, ერთის თქმა ნამდვილად შეიძლება, რომ სპორტს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა აუცილებლად ექნება, რაც იმის იმედს გვაძლევს, რომ საერთო ძალისხმევით ყველა მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას შევძლებთ, კიდევ უფრო უკეთესი შედეგებისათვის ვიბრძოლებთ და ახალ ოლიმპიურ ციკლში ღირსეულად ჩავებმებით"

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი

კნეჟევიჩი სამ კვირაში ითამაშებს
ტურინის "იუვენტუსის" ხორვატი მცველი დარიო კნეჟევიჩი, რომელიც ტრავმირებულია, მოედანს სამ კვირაში დაუბრუნდება. კნეჟევიჩი თანაგუნდელებთან, დავიდ ტრეზეგესთან და ჰასან სალიჰამიჯიჩთან ერთად, პერუჯაში მდებარე კლინიკა "სან ჯუზეპეში" იმყოფებოდა, სადაც ფეხბურთელები პროფესორმა ჩერულიმ გასინჯა. "კმაყოფილი ვარ, რადგან გამოჯანმრთელების პროცესი სწრაფი ტემპით მიდის. ტკივილს აღარ ვგრძნობ. უკვე სატრენაჟორო დარბაზში ვვარჯიშობ და იმედი მაქვს, სამ კვირაში მწყობრში ვიქნები. მოედანზე დაბრუნებას მოუთმენლად ველი", - განაცხადა კნეჟევიჩმა.

"რეალი" კიდევ ერთ ნახევარმცველს ყიდულობს
მადრიდის "რეალი" ინგლისის პრემიერლიგის კლუბ "უიგანდონ" ეკვადორელი მარჯვენა ნახევარმცველის ანტონიო ვალენსიას შეძენაზე ფიქრს თავს არ ანებებს. "სამეფო კლუბი" ჯერ კიდევ ახალ წლამდე მზად იყო ფეხბურთელის სანაცვლოდ 17 მილიონი ევრო გადაეხადა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "რეალი" მზად არის 23 წლის ვალენსიას სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო გადაიხადოს და თან არგენტინელი ფორვარდი ხავერ სავიოლა დათმოს.

მარადონას რჩევა
არგენტინის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიეგო მარადონა თვლის, რომ კარლოს ტევესისა და სერხიო აგუეროსთვის იდეალური იქნება, თუ კარიერას მილანის "ინტერში" გააგრძელებენ. "საკუთარი თვლით ვნახე, როგორ დაამარცხა "მანჩესტერ იუნაიტედმა" ლონდონის "ჩელსი", მაგრამ გამარჯვებულთა რიგებში ტევესს არ უთამაშია, რაც ნამდვილად არ არის კარგი. ვფიქრობ, იტალიაში, კერძოდ, "ინტერში" კარლოსის გადასვლა შექმნილ ვითარებაში იდეალური გამოსავალი იქნება. მას მანჩესტერელებთან კონტრაქტი უმთავრდება, რაც მილანში გადასვლას უფრო გააადვილებს. ასევე, აგუეროსაც ვურჩევ, მადრიდის "ატლეტიკოვან" "ინტერს" მიაშუროს. წარმომიდგენია, რა საუცხოო წყვილს შექმნის ის თავდასხმაში იბრაჰიმოვიჩთან ერთად," - ამბობს მარადონა.

"სიტის" ჰამანი გამოაკლდა
ინგლისის პრემიერლიგაში მოასპარეზე "მანჩესტერ სიტის" გერმანელმა ცენტრალურმა ნახევარმცველმა დიტმარ ჰამანმა ვარჯიშზე ფეხის თითის მყესი დაიზიანა და სამ თვეს ვერ ითამაშებს. "ჰამანი გაემგზავრება ციურინში, ქირურგთან, რომელმაც ერთხელ უკვე განკურნა მსგავსი ტრავმისგან. საუკეთესო შემთხვევაში 9, ხოლო უარეს შემთხვევაში 12 კვირის განმავლობაში ჰამანი ვერ დაგვეხმარება," - განაცხადა მანჩესტერელთა მთავარმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა. 35 წლის გერმანელი "სიტის" რიგებში 2006 წლიდან გამოდის და პრემიერლიგაში ჩატარებულ 54 მატჩში გოლი არ გაუტანია. ჰამანი 1997-2006 წლებში იცავდა საკუთარი ქვეყნის ეროვნული გუნდის ღირსებას და 59 შეხვედრაში ხუთჯერ აიღო მეტოქის კარი.

ტოტი ბრუნდება
იტალიის "რომას" კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი, რომელიც რამდენიმე დღეა ვარჯიშს შეუდგა, 25 იანვარს სერია A-ს მატჩში "ნაპოლის" წინააღმდეგ გემავს მოედანზე გამოსვლას. "მოედანს "ნაპოლისთან" შეხვედრაში მინდა დაეუბრუნდე. ახალმა გამოკვლევამ სწორედ ის შედეგი აჩვენა, რომლის იმედი მქონდა. ახლა აღდგენითი პროცესი ისე წარმართება, როგორც დაგეგმილი იყო," - განაცხადა ტოტიმ, რომელმაც გასული წლის 21 დეკემბერს "კატინასთან" შეხვედრაში ბარძაყის ტრავმა მიიღო. თუ ტოტი "ნაპოლისთან" ითამაშებს, მაშინ ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალში ლონდონის "არსენალთან" მატჩისთვის მოსამზადებლად ფეხბურთელს ერთი თვე ექნება.

"ვესტ ბრომვიჩმა" მაკუკულა დაიმატა
ინგლისის პრემიერლიგის აუტსაიდერმა "ვესტ ბრომვიჩმა" პორტუგალიის "ბენფიკადან" იჯარით 27 წლის თავდამსხმელი არისა მაკუკულა აიყვანა. იჯარის ვადის ამონურვის შემდეგ "ვესტ ბრომვიჩს" ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების სრულად გამოსყიდვის უფლება აქვს. მაკუკულა "ბენფიკაში" 2008 წლის დასაწყისში გადავიდა და პორტუგალიის ჩემპიონატში ჩატარებულ 18 მატჩში 3 გოლი გაიტანა. წარმოშობით კონგოელმა ფორვარდმა პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებში 4 მატჩი გამართა და ერთი გოლი გაიტანა.



AFP · 2009

მტვერსა და ბუბლი ამოგანგლული "ფოლკსვაგენის" ყველაგანმავალი რალი-დაკარის ესპანელ მესაჭეს კარლოს საინსს ეკუთვნის. საერთო ჩათვლაში დანიშნურებული პირენეული ახლა ჩილეს ქვიშობებს სერავს და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ შემთხვა, ალბათ, პირველობაც მას დარჩება. საინსის არ იყოს, მეათე ეტაპი მოუგია მისსავე თანამემამულე ხორდი ვილადომს, რომელიც მოტოციკლისტთა კლასში KTM-ზე ამხედრებულა. ეგაა, ამავე კლასში საერთო ჩათვლას სათავეში მოქცევია მისივე თანამემამულე მარკ კომა. უნდა შემდგარიყო მეთერთმეტე ეტაპიც, მაგრამ სამხრეთ ამერიკაში, ამ შემთხვევაში კი ჩილეში მეტად ცუდი ამინდები ყოფილა და ორგანიზატორებაც იძულებული გახდნენ ასპარეზობა გაეუქმებინათ - დროებით.



შვეიცარიის ვენგენი სწრაფდაშვებაში მსოფლიო თასისთვის მზადებაშია. ემზადებიან სამთომოთხილამურეებიც, რომლებიც ვენგენის დამრეცებს ელვისებური სისწრაფით სერავენ. ტერ ასპარეზობა არ დანყებულა და ერთმანეთს კი არ ზოგავენ. მასპინძელ დიდუ კუშეს ოფიციალური ვარჯიშისას წამზომი საუკეთესო დროტე დაუმზურუჭებია და ოფიციალური ასპარეზობისასაც მას მიიჩნევენ ფავორიტად. ამავე ვარჯიშისას მეორე შედეგი აღმოჩენია სლოვენელ ანდრეი იერმანს, ხოლო მესამე ყოფილა ასევე შვეიცარიელი დიდუ დეფაგო. ალპების ფონზე რომაა ალბეტდილი ფრანკი დავიდ პუასონია - მასაც პირველობა სდომებია.

AFP · 2009

გააზრახვეთი სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შეამოგვიართდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი

ბიზნესი

თქვენს რეკლამა "ბიზნესში"

(995 32) 20-24-24
899 26-20-19

გამომცემის ოფიციალური პარტნიორები:



თქვენს კითხვას პასუხობენ ბანკირები

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლევთ უკეთესს

გამოაგზავნეთ შეკითხვები ელ-ფოსტით, მისამართზე ngotsadze@tbcbank.com.ge, ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 27 27 27 და ყოველ სამშაბათს, რუბრიკაში "თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები", მიიღეთ პასუხები "თიბისი ბანკის" ექსპერტებისგან.


სარეკლამო ბაზრის გადანაწილება დაიწყო

კომპანიებს შემოსავლები 25 პროცენტით შეუმცირდებათ

ინერ ნატროშვილი

საქართველოში ოფიციალურად 1000-მდე სარეკლამო კომპანიაა დარეგისტრირებული, თუმცა მათგან უმრავლესობა არ ფუნქციონირებს ან პროფილი აქვს შეცვლილი. ქართული სარეკლამო ბაზარი გაცხრილვის და დახვეწის პროცესშია. ბაზარზე არსებობს რამდენიმე კომპანია, რომელიც თამაშის წესებს თავად ქმნის. ქართული სარეკლამო კომპანიები მთავარ მიღწევად იმას მიიჩნევენ, რომ, როგორც იქნა, ქართველი დამკვეთი რეკლამის საჭიროებაში დაარწმუნეს.

ბოლო 10 წლის მანძილზე ეკონომიკის ზრდა ბევრჯერ შეჩერდა და ისევ დაიწყო. სარეკლამო სააგენტოების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სარეკლამო ბაზრის ზრდა მოხდა, თუმცა ეს არ მომხდარა კლიენტების რიცხვის გაზრდის ხარჯზე. წინა წლებში ძალიან ცოტა სარეკლამო კომპანია იყო და ცოტა დამკვეთი. დღეს კი ბევრი კომპანია



მუშაობს, მაგრამ დამკვეთთა რაოდენობა იგივეა. სარეკლამო კლიენტებს თუ საიმიჯო სტატიებს მედიასაშუალებებში ძირითადად ბანკები და სამშენებლო კომპანიები უკვეთენ. აქტიურობენ კავშირგაბმუ-

ლობის კომუნიკაციის კომპანიები, რომელთა მარკეტინგული სტრატეგია აგრესიული სარეკლამო პოლიტიკით ხასიათდება. რეკლამის დამკვეთების სეგმენტს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცე-

სები განაპირობებს. არსებულ სტატისტიკის თანახმად, ქვეყანაში ყველაზე კარგად საბანკო სექტორი, სამშენებლო სექტორი და სავაჭრო სეგმენტი იყო განვითარებული.

გამომცემი B4 გვერდი




რატომ არ შეიძლება ტყეების გასხვისება

B6

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

№	სახელი	ვალუტა	კურსი
1	ა.შ.შ. დოლარი	USD	1,8880
1	ავსტრალიური დოლარი	AUD	1,1339
1	აზერბაიჯანული მანათი	AZN	2,0431
1	არაბული დირხა	AED	0,4492
1000	ბელარუსული მანათი	BYR	0,7757
1	ბულგარული ლვაი	BGL	1,0761
1	დანიური კრონი	DKK	0,2845
1	ეგვიპტური გირანაჰა	EGP	0,2995
1	ევრო	EUR	2,1178
10	ესტონური კრონი	EEK	1,3540
1000	თურქმენული მანათი	TMM	0,1161
1	თურქული ლირა	TRY	1,0855
10	იაპონური იენი	JPY	0,1868
1	ინგლისური გირანაჰა ს	GBP	2,5950
1	ინდოეთის რუპია	INR	0,0348
1000	ირანული რიალი	IRR	0,1646
10	ისლანდიური კრონი	ISK	0,1274
1	ისრაელის საკალი	ILS	0,4354
1	კანადური დოლარი	CAD	1,4077
1	ლატვიური ლატი	LVL	2,9891
10	ლიტვიური ლიტი	LTL	6,1064
10	მოდური ლაი	MDL	1,5920
1	ნორვეგიული კრონი	NOK	0,2430
1	პოლონური ჯლოტი	PLZ	0,5828
1	რუმინული ლეი	RON	0,5654
1	რუსული რუბლი	RUB	0,0612
1	სინგაპურული დოლარი	SGD	1,1079
100	სომხური დრამი	AMD	0,5420
1	ტაივანური სოკონი	TJR	0,4851
1000	უზბეკური სოკონი	UZS	1,2220
10	უკრაინული გრივნა	UAG	2,8456
100	უნგრული ფორინტი	HUF	0,7933
1	კავშირთაშორის დინარი	KWD	6,1145
10	ყაზახური ტენგე	KZT	0,1376
10	ყირგიზული სოკონი	KGS	0,4235
1	ხვადური კრონი	SEK	0,2118
1	შვეიცარიული ფრანკი	CHF	1,4033
1	ჩეხური კრონი	CZK	0,0843
1	ჩინური იუანი	CNY	0,2417
1	ჰონგ-კონგური დოლარი	HKD	0,2129



თინა შავაძე

გაზეთის გასულ ნომერში მიმოვიხილეთ, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება ეკონომიკის საქმიანი აქტივობის ციკლები - აღმავლობა და დაქვეითება. ეს ცვლილება სხვადასხვაგვარად ხასიათდება და ისინი მოიცავს ბუმს, რეცესიას, ჩავარდნასა და აღმავლობას. უკვე დადასტურებულია, რომ ამ ეტაპზე მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი რეცესიის ციკლში იმყოფება. ციკლი რეცესია მთლიანი შიდა პროდუქტის (ქვეყანაში წარმოებული საქონელი და მომსახურება) შემცირებით ხასიათდება.

გამომცემი B2 გვერდი



ევროკომისია ევროპულ კომპანიებს ურჩევს რუსულ და უკრაინულ გაზის მიმწოდებელ კომპანიებს სასამართლოში უჩივლონ

ევროკომისია ევროკავშირის კომპანიებს ურჩევს, გაზის მიწოდების შეწყვეტის გამო რუსულ და უკრაინულ კომპანიებს სასამართლოში უჩივლონ. ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ განაცხადა. სააგენტო France Presse-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბაროზუს არ დაუკონკრეტებია, თუ რომელი კომპანიები ჰქონდა მხედველობაში, თუმცა ნათელია, რომ საუბარია უსულ "გაზპრომსა" და "ნეფტოგაზ უკრაინაზე". ბაროზუს თქმით, თუ გაზის ტრანზიტის აღდგენის შეთანხმება, რომელსაც მოსკოვმა, კიევმა და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს, არ შესრულდა, მაშინ ევროკომისია ევროკავშირის კომპანიებს ურჩევს, სასამართლო ინსტანციას მიმართონ. "შექმნილი სიტუაცია მიუღებელი და გაუგონარია," - განუცხადა ბაროზუმ ევროკომისიის დეპუტატებს. შეგახსენებთ, რომ "გაზპრომმა" უკრაინის ტერიტორიის გავლით ევროპისთვის გაზის მიწოდება 7 იანვარს შეაჩერა. 13 იანვარს ის ტესტურ რეჟიმში აღდგა. ტრანზიტის საერთაშორისო ექსპერტები უნდა დაკვირვებოდნენ. რუსულმა მხარემ გაზის მიწოდება ისევ შეწყვიტა. **ჯი-ეიჩ-ენი**

აჭარაში რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნება

აჭარაში მალე რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნება. საწარმოში მიმდინარე სამუშაოები აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემაც მოინახულა. "წელს სოფლის მეურნეობის განვითარება რეგიონის პრიორიტეტია: ამიტომ ყველა ბიზნესმენს, ყველა მენარმეს მე ვთხოვ, თუ აქვთ ასეთი იდეები, ასეთი საშუალებები მოგვმართონ, როგორც მთავრობას ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმიტომ, რომ წელსაც იქნება იაფი სესხის პროგრამა, დახმარება და მხარდაჭერა, ოღონდ გავხსნათ საწარმოები და დავასაქმოთ ჩვენი ხალხი"-განაცხადა ვარშალომიძემ. ამ ეტაპზე საწარმოში სარემონტო სამუშაოები მიმდინარებს. პროექტის ღირებულება 300 ათასი ლარია. "რძისა და ქართული პროდუქტების" კომპანიაში 60 ადამიანია დასაქმებული, მათი რიცხვი სამომავლოდ 120-მდე გაიზრდება. რძის გადამამუშავებელ საწარმოს კომპანია "რძისა და ქართული პროდუქტის ნაწარმი" ასევე ურჩევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

რუსულ-უკრაინული გაზის ომის შედეგად "გაზპრომმა" 800 მილიარდი დოლარი იზარალა

რუსულ-უკრაინული გაზის ომის შედეგად "გაზპრომმა" 800 მილიარდი დოლარი იზარალა, ევროპის ქვეყნები სანავის უკმარისობის პრობლემას შეეჯახნენ, თუმცა ამ კრიზისის შედეგად გამარჯვებულებიც არიან, მაგალითად: ალჟირი, თურქეთი, ნორვეგია და ინუკოვიჩი, წერს ჟურნალი Forbes-ი. სტატისტიკის აგენტის აზრით, კრიზისის შედეგად თურქეთ-ევროკავშირთან ურთიერთობის დონე გაიზარდა. ევროპა ახლო აღმოსავლეთიდან და კასპიის ზღვიდან გაზის მიწოდების ალტერნატიულ გზებს ეძებს. ალჟირის ეროვნული გაზის კომპანიამ Sonatrach-მა თურქეთში ტანკერებით გაზის მიწოდება მას შემდეგ გაზარდა, რაც თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ კომპანიამ კონტინენტზე მიწოდება უნდა გაზარდოს.

გამოცემა აღნიშნავს, რომ ამის მიუხედავად, ევროპა-ალჟირის დაახლოება ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ალჟირში არსებული ადამიანის უფლებების მდგომარეობით ევროპა შეშფოთებულია. უკრაინის ტერიტორიის გავლით ტრანზიტის დარღვევით ნორვეგიულმა ნავთობისა და გაზის კომპანია Gassco-მაც გაიმარჯვა. კომპანიის განცხადებით, გასულ კვირას ის გაზის ექსპორტის რეკორდულ მოცულობაზე გავიდა. კიდევ ერთი ნორვეგიული ექსპორტიორი კომპანია StatoilHydro კი გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმებაზე მუშაობს. გამარჯვებულად უჩრდილ-მა სხვა ევროპული კომპანიები, Royal Dutch Shell, BP და 4Gas-იც დაასახელა. Forbes-მა პოლიტიკოსებიდან მხოლოდ ერთი გამარჯვებული დაასახელა, უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩი, რომელიც 2010 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობას.

მისი მთავარი უპირატესობა ის იქნება, რომ ის ერთადერთი უპირატესი კანდიდატი აღმოჩნდება მაშინ, როცა ტიმოშენკოსა და იუშჩენკოს ანტირუსული პოზიცია თავის მიმზიდველობას დაკარგავს, განსაკუთრებით რუსულ გაზზე ფასის მატების ფონზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავრობა რაცხასიას გადასახადების შემცირებით დაუპირისპირდა


პირველი გვერდი

ეს ნიშნავს იმას, რომ მომხმარებლები ნაკლებ ხარჯავენ, ხოლო საწარმოები არ ახდენენ ინვესტირებას ახალ შენობა-ნაგებობებსა და მონყობილობაში. მათ შეიძლება მუშებიც კი დაითხოვონ სამუშაოდან. ამის შედეგად რეალური მშპ ანუ წარმოების მოცულობა მცირდება.

ამ სტატიის მიზანია გავარკვიოთ, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, მათ შორის - საქართველოს მთავრობა, რა ქმედითი ნაბიჯების გადადგმას აპირებს მიმდინარე რეცესიის დროს. წარსულის გამოცდილების შესაბამისად არსებობს ზოგადი სქემები, რომლებითაც უკვე შეიქმნა ფინანსური კრიზისის დაძლევის გეგმა. როგორც ირკვევა, მთავრობას შეუძლია ან ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება, ან საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდა.

ფისკალური პოლიტიკის რამეთოდების გამოყენება შეუძლიათ პრეზიდენტსა და პარლამენტს მშპ-ს ზრდის სტიმულირებისათვის? მათ შეუძლიათ გადასახადები შეამცირონ და განაგრძონ იმავე თანხების ხარჯვა სამთავრობო პროგრამებზე. მათ აგრეთვე შეუძლიათ გაზარდონ სამთავრობო ხარჯვები, გადასახადები კი თითქმის უცვლელი დატოვონ, ანდა ერთდროულად გაზარდონ სამთავრობო ხარჯვები და შეამცირონ საგადასახადო დაბეგვრა.

გადასახადების შემცირებით ცალკეულ პირებს და საწარმოებს დასახარჯად მეტი შემოსავალი უჩნდებათ. როდესაც საწარმოთა და მომხმარებელთა ხარჯვები (და, მასადასა, მშპ-ც) ზრდას იწყებს, ეკონომიკა აღმავლობის ფაზაში შედის. ანალოგიურად, თუკი პრეზიდენტი და პარლამენტი სამთავრობო ხარჯვებს გაზრდიან, მშპ-ც გაიზრდება. საქართველოს მთავრობამ ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ მექანიზმად და მშპ-ს ზრდის სტიმულირებისთვის გადასახადები შეამცირა. 2009 წლიდან საშემოსავლო გადასახადი 25-დან 20 პროცენტამდე, ხოლო დივიდენდის გადასახადი 10-დან 5 პროცენტამდე შეამცირა. გა-



სულ წელს, აღნიშნული ინიციატივის პრეზენტაციაზე პრემიერ-მინისტრმა გეგმა გააღობლიშვილმა განაცხადა: რა მნიშვნელობა აქვს ამ გადაწყვეტილებას, ეს ყველამ კარგად

ვიცი. ეს ნიშნავს დამატებით 250 მილიონ ლარს ქართულ ეკონომიკაში. ნიშნავს იმას, რომ მთელ ქართულ საზოგადოებას დანაზოგი გაეზრდება. ჩემი აზრით, ეს ყველაზე კარგი

წინაპირობაა იმისათვის, რომ დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნას. ეს ინიციატივა პრაქტიკულად საქართველოში მცხოვრებ ყველა იმ მოქალაქეზე აისახება, რომელიც დასაქმებულია და ხელფასს იღებს. ის ადამიანები, რომლებიც 535 ლარის ოდენობის ხელფასს იღებენ და აქამდე სამუშაოსათვის გადასახადის სახით 134 ლარს იხდიდნენ, ახლა 27 ლარით ნაკლებ გადასახადს გადაიხდიან. იმ მასწავლებლებს, რომლებიც 200 ლარის ოდენობის ხელფასს იღებენ, გადასახადები 12 ლარით შეუმცირდებათ.

ბევრი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ფისკალური პოლიტიკა, მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში, რეცესიასა და ინფლაციასთან ბრძოლის ქმედითი იარაღია. სხვების აზრით კი, ფისკალური პოლიტიკას რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს.

თუ რეცესიასთან საბრძოლველად მთავრობა გადასახადებს შეამცირებს, შემცირდება სახელმწიფო შემოსავლებიც. ხარჯების დასაფარად მთავრობას ფულის სესხება მოუწევს, რაც ბიუჯეტის დეფიციტს შექმნის. ამის შედეგად იზრდება სახელმწიფო ვალი.

გარდა ამისა, მთავრობის მიერ გადასახადების შემცირების კომპენსირების მიზნით ხალხისგან ფულის სესხებამ შესაძლოა არსებული ფულადი სახსრების მოცულობა შეამციროს და ამან კერძო პირთა და საწარმოთა მიერ სესხის აღება გაართულოს. ამდენად, გადასახადების შემცირების კომპენსირების მიზნით სესხის აღებამ რელურად შეიძლება საწარმოებს ინვესტირებისა და ზრდის ხალისი დაუკარგოს, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს რეცესიას.

მთავრობას თავისი ვალის დაფინანსება ფულის ბეჭდვითაც შეუძლია. თუ იგი ასე მოიქცა, ფულის მასა გაიზრდება, გაიზრდება აგრეთვე მომხმარებელთა და საწარმოთა ხარჯვები. სამწუხაროდ, ფულის ამგვარი ზრდა, რაც მწარმოებლობის ყოველგვარ ზრდას აღემატება, ფასების ზრდას იწვევს და ინფლაციას კვებავს. ამის გამო მრავალი ეკონომისტი ამგვარი სტრატეგიის წინააღმდეგია.

Heritage Foundation-მა და The Wall Street Journal-მა მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკის თავისუფლების ინდექსები გამოაქვეყნა

ამერიკულმა კვლევითმა ფონდმა Heritage Foundation-მა The Wall Street Journal-თან ერთად მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკის თავისუფლების ინდექსები გამოაქვეყნა. 2009 წელს სია კიდევ 22 ქვეყნით შეიცვალა. სიაში 183 ქვეყანა შევიდა.

სიის ლიდერი 15 წელია ჰონკონგია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურმა ადმი-

ნისტრაციულმა რაიონმა 100-დან 90 ქულა მიიღო. პირველ ათეულში შევიდნენ: სინგაპური (2), ავსტრალია (3), ირლანდია (4), ახალი ზელანდია (5), აშშ (6), კანადა (7), დანია (8), შვეიცარია (9) და ბრიტანეთი (10).

ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ყველაზე დამოუკიდებელი ეკონომიკური ქვეყნებია: ესტონეთი (13), ლიტვა (30), სომხეთი (31), საქართველო (32) და

ლატვია (45). რუსეთმა წინა წლის მაჩვენებელი 11 საფეხურით გააუარესა და 183 ქვეყანას შორის "საპატიო" 146 ადგილი დაიკავა. რაც შეეხება სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს, უზბეკეთი სიაში 148-ე ადგილზეა, უკრაინა - 152-ზე, ბელარუსი - 167-ზე, ხოლო თურქმენეთი - 169-ზე. ბიზნესისთვის ყველაზე არასასურველი კლიმატი კვლავ ჩრდილოეთ კორეაშია,

რომელმაც 2 ქულა დააგროვა. აღსანიშნავია, რომ რეიტინგს სერიოზული კურიოზიც ახლდა. ტექნიკური შეცდომის გამო, პირველად საქართველო და აშშ-ს შტატი ჯორჯია აერიათ. ვებ-გვერდი, რომელიც საქართველოს აღწერისადმი იყო მიძღვნილი, Google Maps რუკა ჯორჯიას შტატის გამოსახულებით იყო ილუსტრირებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

ბიზნესის თვითღიაბნოვი

რეკავ სახეობრივი

რამდენადც სამწუხარო არ უნდა იყოს, ალბათ, ჯერ კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს იმ ფაქტის კონსტატირება, რომ ომი საქართველოში ჯერაც არ დასრულებულა. ყოველ შემთხვევაში, მისი ძალიან ბევრი შედეგი ქვეყანას ჯერ არ მოუმიკია და, სავარაუდოდ, კიდევ ბევრი მომდევნო წლის განმავლობაში დახვდება წინ.

ომის ყველაზე დიდი და სამწუხარო ეფექტიც სწორედ ეს არის - მისი შედეგები და კვალი გაცილებით მეტხანს და გაცილებით მტკივნეულად აისახება ქვეყნის და საზოგადოების ცხოვრებაზე, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

ამიტომაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამ მოცემულობის ანალიზი, რათა სამომავლოდ პრობლემა ანალიზი და შედეგები გაცილებით უფრო რეალური ფორმით შეფასდეს და დაიგეგმოს და არასწორი რეაგირების და მცდარი ნაბიჯების აღბათობა გამოირიცხოს.

ფაქტია, რომ 2008 წლის აგვისტოში მიმდინარე კონფლიქტმა მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოს ეკონომიკის განვითარება. კონფლიქტმა და მისმა შემდგომმა პერიოდმა, როდესაც ადგილი ჰქონდა მსოფლიო ფინანსურ კრიზისს, შეიძლება ითქვას, ყველა ზომისა და ტიპის ბიზნესს სერიოზული ზარალი მიაყენა.

საქართველოში 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების ბიზნესზე გავლენის შეფასების მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ კვლევა განახორციელა "მენარმეობის მხარდაჭერის საერთაშორისო ცენტრის" და ფინანსებით საქართველოს მასშტაბით (შერჩევის ზომა - 1000 ორგანიზაცია). აღნიშნული

კვლევა განხორციელდა 2008 წლის ოქტომბერში და საკმაოდ დამაფიქრებელი შედეგი გამოავლინა.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, კონფლიქტმა ნეგატიური გავლენა იქონია ბიზნესზე. ამასთან, 24 რესპონდენტის ბიზნესი უშუალოდ კონფლიქტის პერიოდში რუსული ჯარის მაროდობის შედეგად დაზარალდა.

კვლევაში მონაწილეთა 70%-სათვის გაყიდვების პროცესი გართულდა, თუმცა საინტერესოა, რომ კრიზისული მდგომარეობა მსხვილ ბიზნესზე უფრო მეტად აისახა, ვიდრე მცირე ზომის კომპანიებზე. ამასთან გენერალური მენეჯერების, რომლებიც კომპანიები ძირითადად პირველადი საქაროების პროდუქტით ვაჭრობას ეწევიან.

რესპონდენტების 71% მიიჩნევს, რომ გაყიდვების მოცულობა შემცირდა მომხმარებლის მოთხოვნის შემცირების გამო. შესაძლოა, მოკლევადიან პერიოდში მომხმარებლების შემოსავალი მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, თუმცა მომხმარებელი უპირატესობას დანაზოგის გაკეთებას ანიჭებს, ვიდრე ისეთი პროდუქტებისა და მომსახურების ყიდვას, რომელიც პირველად საქაროებას არ წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბანკო განვადებებიც საკმაოდ შეზღუდულად გაიცემა. კონფლიქტამდე კი თითქმის ყველა მომხმარებელს შეეძლო, განვადებით ეყიდა მისთვის სასურველი პროდუქტი, რაც შესაბამისად ზრდიდა მოთხოვნას.

საგულისხმოა, რომ კონფლიქტმა ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმის დარგს მიაყენა. ტურიზმის სფეროს წარმომადგენლების 45%-ს გაყიდვების მოცულობა შემცირდა 80-100%-ით.

კონფლიქტამდე რესპონდენტთა 28% გეგმავდა ბიზნესის გაფართოებას სხვადასხვა გზით, რომელთაგან მხოლოდ 12%-მა განახორციელა დასახული გეგმები. დანარჩენმა რესპონდენტებმა ან ვერ მიიღეს საჭირო დაფინანსება, ან თვითონვე გადაწყვიტეს ბიზნესის გაფართოების გადიდება გაურკვეველი ვადით.

გამოკითხულ ბიზნესმენტთა შეფასებით, ბიზნესი დამოუკიდებლად საშუალოდ 6 თვეში მოახდენს რეაბილიტაციას, ხოლო ფინანსება, ან თვითონვე გადაწყვიტეს ბიზნესის გაფართოების გადიდება გაურკვეველი ვადით.

გამოკითხულ ბიზნესმენტთა შეფასებით, ბიზნესი დამოუკიდებლად საშუალოდ 6 თვეში მოახდენს რეაბილიტაციას, ხოლო ფინანსება, ან თვითონვე გადაწყვიტეს ბიზნესის გაფართოების გადიდება გაურკვეველი ვადით.

კვლევაში მონაწილეთა 66%-ის შეფასებით, ბიზნესის დახმარებისათვის სასურველი იქნება იაფი კრედიტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ბიზნესმენტთა აზრით, ბიზნესის რეაბილიტაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოს და თავად კერძო სექტორს აქვს.

კონფლიქტის შედეგების უკეთეს ასახვის მიზნით, რესპონდენტები საუბრის დასაწყისშივე აფასებდნენ საკუთარი ბიზნესის ზომას. აღნიშნული დეფინიცია არ ეფუძნება რაიმე რაოდენობრივ მაჩვენებელს და მთლიანად დამოკიდებულია რესპონდენტის თვითშეფასებაზე, ვინაიდან არ არსებობს ოფიციალური, საქართველოში აღიარებული განმარტება, რომელიც მოახდენდა საწარმოთა დიფერენციაციას ზომის მიხედვით.

გამოკითხულთა შორის მცირე კომპანიები შეადგენენ 55,3%-ს, საშუალო ზომის კომპანიები - 39,2%-ს, ხოლო ყველაზე ნაკლები რაოდენობა - 5,5%-ით დიდი კომპანიები წარმოდგენილი.

მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეაფასეს რესპონდენტებმა ზოგადად ბიზნესზე კონფლიქტის გავლენის შედეგები. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, კონფლიქტმა ნეგატიური (44%) და ძალიან ნეგატიური (42%) გავლენა იქონია ბიზნესზე, მეტ-ნაკლებად ნეგატიურად შეაფასა ეფექტი 12%-მა და მხოლოდ 2%-მა აღნიშნა, რომ აგვისტოს თვეში განვითარებულ მოვლენებს კერძო სექტორზე გავლენა არ მოუხდენია.

კონფლიქტის გავლენის ზოგადი შეფასების შემდგომ თითოეულმა რესპონდენტმა შეაფასა უშუალოდ მის ბიზნესში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც კონფლიქტის შედეგად იყო გამოწვეული. შედეგების შეფასებისას იგულისხმებოდა კონფლიქტის შემდგომი ორი თვის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები და არა უშუალოდ კონფლიქტის პერიოდში არსებული მოკლევადიანი ეფექტი.

ინტერვიუს პროცესში ბიზნესმენტებმა შეაფასეს, თუ რამდენად გართულდა ბიზნესში მიმდინარე სხვადასხვა პროცესები. გამოკითხულთა შეფასებით, ბაზარზე გაყიდვების პროცესი გართულდა რესპონდენტთა 33%-ისათვის, ძალიან გართულდა 37%-ისთვის, ხოლო კვლევაში მონაწილეთა 17,4%-ისთვის გაყიდვები არ გართულებულა.

აღსანიშნავია, რომ პროცენტული მაჩვენებლები სხვადასხვა თანაფარდობით გადანაწილდა ბიზნესების ზომის მიხედვით. ყველაზე მეტად გაყიდვების პროცესი დიდი ზომის კომპანიებს გართულდა.

გაყიდვების პროცესზე კონფლიქტი ბიზნესის სფეროების მიხედვით განსხვავებულად აისახა. გაყიდვები ძალიან გართულდა ტურიზმის სექტორში (69%), ასევე მშენებლობის (44%) და მომსახურების (40%) სფეროებში ანუ ყველა იმ დარგში, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის სოლიდურ ზრდას განაპირობებდნენ. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკაში დღეს შექმნილი ვითარება სულაც აღარ არის გასაკვირი.

რუსეთთან გაზის კონფლიქტმა უკრაინა ევროკავშირსა და ნატო-სთან მნიშვნელოვნად დაახლოვა

რუსეთთან გაზის კონფლიქტმა უკრაინა ევროკავშირსა და ნატო-სთან მნიშვნელოვნად დაახლოვა, ასეთი აზრი პოლიტოლოგმა ვიქტორ ნებოჟენკომ გაზეთ "დენთან" ინტერვიუში გამოთქვა.

"კრემლსა და "გაზპრომს," უხეშად რომ ვთქვათ, ჩვენთვის ყელზე ხელი ჰქონდა ნაჭერილი, დარწმუნებულნი იყვენენ, რომ კიევი ხმასაც არ ამოიღებდა და ყველა პირობას შეასრულებდა," - განაცხადა მან.

ნობეჟენკოს აზრით, ახლა კონფლიქტი გეოპოლიტიკურ ხასიათს იღებს.

"რუსეთს მთელი ორი დღე დასჭირდა ინტენსიური, დიპლომატიური, საერთაშორისო, კონტრპროპაგანდისტული მოქმედებისთვის, რათა უკრაინის ნატო-სკენ მოძრაობა შეეჩერებინა," - აღნიშნა პოლიტოლოგმა.

მან დაამატა, რომ უკრაინის მიერ MAP-ის მიუღებლობა კრემლმა "კოლოსალურ, მესამე მსოფლიო ომში გამარჯვებად აღიქვა."

პოლიტოლოგმა აღნიშნა, რომ კონფლიქტის შედეგად უკრაინისა და რუსეთის ტერიტორიაზე ევროკავშირის განყოფილება შეიქმნება, რომელსაც სერიოზული უფლება-მოვალეობები ექნება, შეეძლება ნებისმიერი მონიტორინგი და კონტროლი. მისი თქმით, "ეს ძალაუფლების ფორმაა. რუსეთმა, როგორც ნედლეულის იმპერიამ, თავად მიაღწია, რომ ევროკავშირის ხელში თავისი მთავარი იარაღი - ნახშირწყლების კონტროლის შესაძლებლობა მისცა. ეს რუსულ გეგმებზე ძლიერი დარტყმაა."

მან აღნიშნა, რომ უკრაინის ტერიტორიაზე გაზგამანაწილებელ სადგურებზე დამკვირვებლების ჯგუფის არსებობა უკრაინის კომპრომეტირებას კი არ ახდენს, არამედ ევროკავშირსა და უფრო მეტად ნატო-სთან ძალიან დაახლოვა.

"ახლა გაჩნდება გაზის ნაკადის მონიტორინგის დაფინანსების საკითხი, შემდეგ მუდმივმოქმედი მონიტორინგის ორგანიზება გაზის ყველა, შეიძლება ატომურ სადგურებზეც კი, თუ შემდეგი კონფლიქტი რუსეთთან ელექტროენერჯის გამო გვექნება. ეს კი უკრაინის ტერიტორიაზე ნატო-სა და ევროკავშირის უკვე ძალიან სერიოზულ ყოფნას ნიშნავს. ეს არის არა ნაკლები, ვიდრე ნებისმიერი MAP-ი. სხვა სიტყვებით, კრემლმა ნააგო და კიდევ ძალიან ნააგებს," - აღნიშნა მან. **ჯი-ეიჩ-ენი**

Sotheby's აუქციონის სახლი თანამშრომელთა შემცირებას იწყებს

Sotheby's ამერიკული განყოფილება, სადაც ახალ წლამდე 605 ადამიანი მუშაობდა, 60 თანამშრომელს გაათავისუფლებს. გათავისუფლებულთა შორის არის იმპრესიონიზმის ეპოქის და XX საუკუნის დასაწყისის ხელოვნების ექსპერტი, რომელმაც კომპანიაში 35 წელი იმუშავა.

სამსახური თანამედროვე გრაფიკის განყოფილების ხელმძღვანელმაც დაკარგა, რომელიც პერსპექტიულ აუქციონისტად მიიჩნეოდა, იუნყება Bloomberg-ი. აღსანიშნავია, რომ ადრე აუქციონის სახლმა ბიუჯეტის 7 მლნ დოლარით შემცირების შესახებ განაცხადა. Sotheby's მთავარი კონკურენტი Christie's კი მხოლოდ ნიუ-იორკის ოფისში დაახლოებით 80 ადამიანს შეამცირებს. ეს ინფორმაცია სააგენტო Bloomberg-მა კომპანიის წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა. Christie's პერსონალის გათავისუფლების პროცესს უახლოესი თვეების განმავლობაში გააგრძელებს. აუქციონის ორივე სახლი პერსონალს ხარჯების შესამცირებლად ათავისუფლებს. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა არტ-ბაზარს ძლიერი დარტყმა მიაყენა და გაყიდვები ამ სფეროში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა შემცირება 2001-2002 წლების დონეს ჯერ არ მიახლოებია, როცა ფიქსირებული ფასების სკანდალის გამო Sotheby's პერსონალის 14%-ით, ხოლო Christie's 15%-ით შეამცირა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მსოფლიოში ნავთობის ფასი გაიზარდა

როგორც ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიდან გვაცნობს, მსოფლიოს ნამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 44,83 (+1,92) დოლარი შეადგინა, ხოლო Light Sweet Crude Oil ტიპის ნავთობის ფასმა - 37,78 (+0,19) დოლარი. **პირველი**

ვიქტორ იუშჩენკო: უკრაინას ევროკავშირში რუსული გაზის მიწოდების შეფერხებისას არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ევროპისთვის გაზის მიწოდების კუთხით შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით განაცხადება დააკეთა. მისი თქმით, უკრაინა საიმედო ტრანზიტორია და არ გადადგამს არც ერთ ნაბიჯს იმისკენ, რომ შეაფერხოს რუსული გაზის მიწოდება ევროპის ქვეყნებსა და ევროკავშირში.

"მინდა, რომ ეს ოფიციალური პოზიცია მივიდეს ევროკავშირის მოქალაქეებამდე, სახელმწიფოების მეთაურებამდე, მთავრობის ხელმძღვანელებამდე: უკრაინას ევროპაში რუსული გაზის მიწოდების შეფერხებისაკენ არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს. ჩვენთვის ესაა პრინციპული პოზიცია, იმდენად, რამდენადც დღეისათვის საკმაოდ ბევრია ქორი,

არაობიექტური ინფორმაცია, სიცრუე. ცხადია, მათი მიზანია მოახდინოს იმ მხარეების დისკრედიტაცია, რომლებიც მყარად, ღირსეულად ასრულებენ იმ თავის, კერძოდ კი, საერთაშორისო ვალდებულებებს. მეორე პოზიცია, რომელსაც ასევე მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი: 2009 წლის 1 იანვრიდან უკრაინას არასანქცირებულად არ მიუთვსივსება გაზი. რუსული გაზის არც ერთი კუბური მეტრი არ იყო სისტემიდან მთავისებული არასანქცირებულად, რეგლამენტების გარეშე, დაწყებული 2009 წლიდან, ისევე როგორც მთლიანად 2008 წელს. მაგრამ ახლა ჩვენ ვლავარაკობთ იმ შემთხვევებზე, რომლებიც ეხება ინციდენტს მიმდინარე წლის 1 იანვრიდან, - განაცხადა იუშჩენკომ.

მისივე თქმით, უკრაინას 2008 წელს მოხმარებული გაზის არც ერთი რუსული სტრუქტურის ვალი არ აქვს.

"ზაზს ვუსვამ, რომ უკრაინის ნოემბერში გახარჯული გაზის ფინალური გადასახადები გადახდილი იქნა 2008 წლის დეკემბრის ბოლოს, და ასევე გაზის საავანსო გადასახადები, რომელიც გაიხარჯა დეკემბრის თვეში. ასევე მინდა აღვნიშნო, როდესაც წარმოიქმნა გარემოება და როდესაც უკრაინა მოწმე გახდა რუსული გაზის მიწოდების შეწყვეტისა ევროპის ქვეყნებში, ჩვენ ინიცირება გავუკეთეთ საკითხის დასმას ევროკომისიის წინაშე, რომელიც ეხებოდა მისი, როგორც მესამე მხარის ჩართვას იმისათვის, რათა მოგვეხდინა ერთი მხრივ, რუსული გაზის მიწოდების ეფექტური მონიტორინგის უზრუნველყოფა და მისი ტრანზიტი უკრაინის ტერიტორიაზე, რადგან ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით იმაში, რომ ევროკომისიის წარმომადგენლების დასწრებას შეიძლებოდა ბოლოს და ბოლოს წერტილი დაესვა იმ სადისკუსიო საკითხებისათვის, რომლებიც უკვე მრავალი წელია გრძელდება და რომლებიც ეხება გაზის ტრანზიტს, ტრანზიტის პირობებს, ტრანზიტის საიმედოობას, სისტემის საიმედოობას. ჩვენ ვიყავით და ვრჩებით კონსტრუქციულ მხარედ რუსეთთან მოლაპარაკებებში, რომელიც ეხება რუსული გაზის უკრაინაში მიწოდების ხელშეკრულებისა და 2009 წელს რუსული გაზის ევროპის ქვეყნებში ტრანზიტზე კონტრაქტის ხელმოწერას," - განაცხადა იუშჩენკომ. **ჯი-ეიჩ-ენი**

რინგის უზრუნველყოფა და მისი ტრანზიტი უკრაინის ტერიტორიაზე, რადგან ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით იმაში, რომ ევროკომისიის წარმომადგენლების დასწრებას შეიძლებოდა ბოლოს და ბოლოს წერტილი დაესვა იმ სადისკუსიო საკითხებისათვის, რომლებიც უკვე მრავალი წელია გრძელდება და რომლებიც ეხება გაზის ტრანზიტს, ტრანზიტის პირობებს, ტრანზიტის საიმედოობას, სისტემის საიმედოობას. ჩვენ ვიყავით და ვრჩებით კონსტრუქციულ მხარედ რუსეთთან მოლაპარაკებებში, რომელიც ეხება რუსული გაზის უკრაინაში მიწოდების ხელშეკრულებისა და 2009 წელს რუსული გაზის ევროპის ქვეყნებში ტრანზიტზე კონტრაქტის ხელმოწერას," - განაცხადა იუშჩენკომ. **ჯი-ეიჩ-ენი**

ლისაბონში ქალაქის ბიუჯეტის ისტორიული კერძო სახლების გაყიდვით შეავსებენ

პორტუგალიის დედაქალაქის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ქალაქის ბიუჯეტი ისტორიული კერძო სახლების გაყიდვით შეავსოს.

გასაყიდად გამოიტანენ 6 კერძო სახლს, რომელიც XVIII-XIX საუკუნეებშია აშენებული. სახლების ფასი 400 ათასიდან 4 მლნ ევრომდე მერყეობს. ყველაზე ძვირადმეფასებული ობიექტი Palacio Pancas Palha გახდა. შენობების გაყიდვა 2009 წლის თებერვალში დაიწყება. მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ობიექტების მიმართ ინტერესი სასტუმროს რამდენიმე ქსელმა გამოთქვა. ქალაქის მერიის გეგმით, მამულები მაღალი კლასის სასტუმროებად უნდა გადაკეთდეს. თითოეულში 15-დან 40-მდე ნომერი იქნება. ლისაბონის მერმა ანტონიო კოსტამ განაცხადა, რომ ამ შენობებიდან უმრავლესობას რეკონსტრუქცია დაუყოვნებლივ სჭირდება, რისი საშუალება ქალაქს ახლა არ აქვს. მან ასევე აღნიშნა, რომ ქალაქში უმაღლესი კატეგორიის რამდენიმე ათეული სასტუმროს გაჩენა ტურიზმის განვითარებაზე დადებითად იმოქმედებს. **ჯი-იჩი-ენი**

საქართველოში 2009 წელს კერძო სექტორში 1.74 მილიარდი დოლარის შემოდინებაა მოსალოდნელი

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საქართველოში 2009 წელს კერძო სექტორში 1,74 მილიარდი აშშ დოლარის წმინდა შემოდინებაა მოსალოდნელი. შესაბამისად, ამ თანხას კერძო სექტორი მოიზიდავს. ბანკი ასეთ დასკვნამდე სათანადო კვლევის შედეგად მივიდა, რომელიც 2008 წლის დეკემბერში ჩატარდა.

მისი მიზანი იყო ქვეყანაში 2009 წლის განმავლობაში კერძო უცხოური კაპიტალის შემოსვლასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება. კვლევამ 119 ქართული და უცხოური კომპანია მონაწილეობდა. კვლევის თანახმად, წელს საქართველოში მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით დაახლოებით 815 მილიონი, ხოლო პორტფელური ინვესტიციების სახით 33 მილიონი აშშ დოლარის შემოდინებაა მოსალოდნელი. ამასთან, ეროვნულ ბანკში ერთობლივი სესხებისა და სხვა სახსრების სახით, დაახლოებით ერთი მილიარდი აშშ დოლარის მოზიდვას ვარაუდობენ. კვლევის თანახმად, 2009 წელს საქართველოში კაპიტალის შემოდინების მიხედვით არაბეთის გაერთიანებული საემიროები, აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი და აზერბაიჯანი ლიდერობენ. **მედიანიუსი**

შესრულდება თუ არა პრეზიდენტის დაპირება 60 ათასი სამუშაო ადგილის შექმნის თაობაზე?

ეკონომიკის ექსპერტი გიორგი ხუბაშვილი აბსოლუტურად არარეალურს უწოდებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომლის თანახმადაც, 2009 წელს საქართველოში დაახლოებით 50 ან 60 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება. როგორც ექსპერტი ამბობს, ეს განცხადება ძალიან ჰგავს წინასაარჩევნო განცხადებებს, რომლის მსგავსიც არაერთხელ მოგვისმენია. გიორგი ხუბაშვილის თქმით, ქვეყნის ეკონომიკაში არსებული სისტემური პრობლემების გამო, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საფუძვლები არ არსებობს. ამასთან, საქართველოში ჯერ ეკონომიკური ვარდნის პროცესი საბოლოოდ არ შეჩერებულა. ჯერჯერობით კერძო სექტორში სამუშაო ადგილები იკარგება. სახელმწიფო შეკვეთებით კი ამ ადგილების შევსება გრძელვადიან პერსპექტივაში პრაქტიკულად შეუძლებელია. ინფრასტრუქტურის პროექტებზე ტენდერების გამოცხადება მხოლოდ დროებით სამუშაო ადგილებს შექმნის, რადგან თითო პროექტს თავისი შესრულების ვადა აქვს. ამასთან, ინფრასტრუქტურული პროექტები აქამდეც არსებობდა და, ამდენად, ამაში გასაკვირი არაფერია," - აღნიშნა გიორგი ხუბაშვილმა და დასძინა, რომ თუ პრეზიდენტის შეპირება ამჯერად მაინც გამართლდება, ის ამას მიესალმება. გიორგი ხუბაშვილმა ყურადღება არსებული სამუშაო ადგილების დაკარგვასა და ახლის შექმნის ბალანსზეც გაამახვილა. მისი თქმით, როცა 1000 სამუშაო ადგილი იკარგება და 500 ახალი იქმნება, გასაგებია. მაგრამ გაუგებარია, როგორ უნდა შეიქმნას 2000 სამუშაო ადგილი 1000-ის დაკარგვის შემდეგ. ექსპერტის შეფასებით, ქვეყანაში მძიმე სიტუაციის შექმნაში გადამწყვეტი როლი ეკონომიკის სისტემურმა პრობლემებმა შეასრულა, რასაც აგვისტოში რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგები დაემატა. ეს ყველაფერი კი მსოფლიო ფირანსურმა კრიზისმა დაავიკრივინა." **მედიანიუსი**

პირველი გვირგვინი

თუმცა, კრიზისის ფონზე მოსალოდნელია სარეკლამო ბაზრის სტრუქტურის და დამკვეთების ცვლილება. "სარეკლამო ბაზარზე ზეგავლენა ძირითადად რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანმა ომმა მოახდინა. საქართველოში ეკონომიკური კრიზისი ტალღისებურია. ჯერ ეს ქვეყნის ეკონომიკას მძიმედ არ შეხებია. საქართველოში კრიზისის პიკი თებერვალ-მარტშია მოსალოდნელი. მსხვილმა კომპანიებმა და რეკლამის დამკვეთებმა თავი უკვე დაიზღვიეს. ისინი მოლოდინის რეჟიმში არიან და ბიუჯეტები თითქმის 50 პროცენტით შეამცირეს. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს ევროპისა და რუსეთის სარეკლამო ბაზარზე. ამ ქვეყნების მავალითები გვირგვინებს, რომ კომპანიებმა ბიუჯეტები გაანახევრეს," - ამბობს პიარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია "ჯეპრას" უფროსი კონსულტანტი სოსო გალუმაშვილი.

მისი თქმით, მოსალოდნელია, ბაზარზე საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთოს. კერძოდ, შეიცვალოს რეკლამის თემატიკა და ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა, შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე, უფრო მეტი ფული საიმეფო რეკლამებზე დახარჯონ. ეს საინტერესო პროცესია, რადგან ისინი ფაქტობრივად საზოგადოების წინაშე იქნებიან ანგარიშვალდებული და მათი ბიზნესი უფრო გამჭვირვალე გახდება.

"სარკე პიარის" სარეკლამო მენეჯერის მონაცემებით, მედიაში რეკლამის წილის 70-80 პროცენტი ტელევიზიაზე, 5-5 პროცენტი ბეჭდურ მედიასა და რადიოზე, ხოლო 10-20 პროცენტი გარე რეკლამაზე მოდის. 2008 წლის 8 თვეში ბიზნესკომპანიებმა მარტო ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ეთერში შემდეგი რაოდენობის თანხა დახარჯეს:

ბიზნესკომპანიები	თანხა
MAGTI GSM	54,859.13
GEOCELL	29,356.89
TELEMARKET	26,840.51
LUDSAKHARSHI NATAKHTARI	23,917.57
TBC BANK	20,594.21
NATSIONALURI MODZRAOBA	18,483.34
RECKITT BENCKISER	18,469.27
COLGATE PALMOLIVE	16,840.02
8-10 SAQARTVELO TELEKOMI	16,358.82
SAKHALKHO BANKI	15,202.55
GMP	14,542.29
TSENTRALURI SAARCHEVNO KOMISIA	14,287.51
PROCREDIT BANK	13,303.02
SAQARTVELO BANKI	13,023.63
KRAFT	12,326.33
CENTER POINT	11,997.33
KAZBEGI	11,786.12
MOBITEL	11,655.59
AXIS	11,339.39
NESTLE	11,075.92

2007 წლის სატელევიზიო არხების რეკლამის დამკვეთთა ტოპ-ოცდახუთეული ასე გამოიყურება:

სარეკლამო ბაზარის

რეკლამის დამკვეთები	თანხა
PROCTER & GAMBLE	64,951.92
COLGATE PALMOLIVE	52,335.24
MAGTI GSM	51,916.90
COCA COLA	41,939.01
GEOCELL	37,234.98
MARS	29,530.89
NATSIONALURI MODZRAOBA	29,223.88
LUDSAKHARSHI NATAKHTARI	28,514.89
ELIT ELEQTRONIQSI MAGAZIATA QSELI	27,023.62
RECKITT BENCKISER	24,834.19
KAZBEGI	21,025.16
SAKHALKHO BANKI	19,285.06
GGMW	18,965.00
KRAFT	18,910.71
CENTER POINT	18,724.33
SAQARTVELO TAVDATSVIS SAMINISTRO	18,410.98
GMP	18,264.81
HENKEL	17,858.80
TBC BANK	16,537.56
MOBITEL	16,470.64
PROCREDIT BANK	13,995.13
WRIGLEY'S	13,209.89
AXIS	12,759.09
NOVARTIS CONSUMER HEALTH CARE	12,193.16
IBERIA REFRESHMENT	12,110.34

აქედან ჩანს, რომ რეკლამის განთავსების თვალსაზრისით, 2007 წელი უფრო დინამიკური იყო. ექსპერტთა შეფასებით, 2008 წელს საქართველოს სარეკლამო ბაზრის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდება. მიზეზი აგვისტოს ცნობილი მოვლენებია. 5-დღიანი ომის შემდეგ სარეკლამო სააგენტოებს დამკვეთი თითქმის აღარ ჰყავთ. სარეკლამო ბაზრის ლომის წილი ტელევიზიების წილად მოდის. პრესის წილი საკმაოდ მოკრძალებულია. ბიზნესი ბიზნესზე ორიენტირებულ მედიასაშუალებებში რეკლამას ისე დებს, რომ მათ რეიტინგს არ იკვლევს. ბიზნესმედიის რეიტინგული კვლევის მონაცემები საქართველოში არ არსებობს. ამისთვის ფულს არც ბიზნესი იმეტებს და არც მედია.

კომპანიებს რეკლამის განთავსების თვალსაზრისით ყველაზე მეტად ელექტრონული მედია იზიდავს. როგორც კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში აცხადებენ, მკვეთრად გამოხატული ინტერესი შესაბამისად ტელე-რადიოაშუალებების შემოსავლების დინამიკა იზრდება.

ქართულ სარეკლამო ბაზარზე "სარკე" ყველაზე მსხვილ კომპანიად ითვლება და მას 8-წლიანი ისტორია აქვს. 1999 წელს დაფუძნებული სარეკლამო სააგენტო დღეს რამდენიმე კომპანიას აერთიანებს. "სარკე ჯგუფში" შედის: "სარკე კონსალტინგი, "სარკე სტუდია", "სარკე იდეა" და "სარკე კონსალტინგი". "სარკე" სარეკლამო ბაზარზე ჯერჯერობით ერთადერთია, ვინც მომხმარებელს ინტეგრირებულ მარკეტინგულ მომსახურებას სთავაზობს. "სარკე კვლევა", რომელიც მარკეტინგული კვლევითი ორგანიზაციაა, სხვა საკითხებთან ერთად, მედიაში რეკლამის განთავსების დინამიკასაც სწავლობს. როგორც კომპანია "სარკეში" განმარტავენ, კომპანიის ბრუნვის 45%-ს შეადგენს საკონსულტაციო პროდუქტი გადამხდელი თანხა, მედი-

ამომსახურება (განთავსება-დაგეგმარება) 38%-ია, კლიპის წარმოება - დაახლოებით 20%-მდე, სარეკლამო წარმოებით (ბეჭდვა, სარეკლამო ბანერები და ა.შ.) მიღებული შემოსავლები კი - 10%-ია.

კომპანიის მიერ შექმნილი პროდუქტიდან ყველაზე მეტი შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებას მოაქვს, მეორე ადგილზე კი მედიამომსახურებაა. როგორც სააგენტოში განმარტავენ, მედიასაშუალებების იმიჯზე არ მუშაობენ, რადგან ეს საკმაოდ ძვირი ღირს და მსგავსი დაკვეთით არავის მოუმართავს. რაც შეეხება მედიარეკლამას, ეს ბაზარი თანდათან იზრდება, თუმცა ყველაზე მზარდი დინამიკით ტელე-ბაზარი გამოირჩევა. "სარკე პიარი", თორნიკე გურული: "ზოგადად, სარეკლამო ბიზნესი მკვეთრად არის დაკავშირებული ქვეყანაში ბიზნესის განვითარებასთან. თუ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სარეკლამო ბაზარზეც. კომპანიების მიდგომები რეკლამის მიხედვით ძირითადად ორ ნაწილად გაიყო. კომპანიების ნაწილმა შეამცირა მარკეტინგის ხარჯები და ამ მიმართულებით გადაწყვიტა თანხების დაზოგვა, ხოლო მეორე ნაწილმა სხვა სტრატეგია აირჩია - სარეკლამო აქტივობები უფრო გააძლიერა. შესაბამისად, სარეკლამო ბაზარიც ამ კომპანიების კუთხით შედარებით დაბალანსებული დარჩა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეკონომიკური კრიზისი სარეკლამო ბაზარს არ შეეხო. არსებობს სფეროები, რომლებსაც განსაკუთრებული პრობლემები შეექმნათ ეკონომიკური კრიზისის დროს, რაც სარეკლამო კუთხითაც აისახა. სამშენებლო კომპანიებმა, ბანკებმა, ტურისტულმა კომპანიებმა, ავტონდუსტრიამ მნიშვნელოვანი დანაკარგები მიიღეს, რაც, რასაკვირველია, სარეკლამო სფეროზეც აისახა. "2007 წელს ტელე-რადიოაშუალებლობის სფეროში კომპანიების მიერ მიღებულმა საერთო შემოსავალმა 80 მლნ. ლარი შეადგინა, რაც იმავე წელს საკომუნიკაციო ბაზრის მთლიანი შემოსავლების 7.2%-ია. 1999 წელს ქართული კომპანიები კამათობდნენ, იყო თუ არა საჭირო რეკლამა. 5 წელი დასჭირდა ქართულ ბაზარს და კომპანიები, რომ რეკლამის საჭიროება დაენახათ. ამ ეტაპზე უკვე დარწმუნდნენ, რომ თავად კი არ უნდა მართონ მარკეტინგული პროცესები, არამედ სხვამ, და უნდა დაინახონ, რომ ბაზარზე სარეკლამო კომპანიების არსებობა საჭიროა.

2002 წლამდე ელექტრონული კომუნიკაციების ეს სეგმენტი ეკონომიკური მიზიდველობის თვალსაზრისით განსაკუთრებით არ გამოირჩეოდა, რაც ამ პერიოდში სარეკლამო ბაზრის მცირე მოცულობით და განვითარების შედარებით დაბალი დონით იყო განპირობებული. 2003 წლიდან დაიწყო ბაზრის ამ სეგმენტის მკვეთრი გაფართოება,

რაც შემოსავლებზეც აისახა. 2005 წელსთან შედარებით, 2006 წელს ტელე-რადიოაშუალებების შემოსავლები 40 პროცენტით გაიზარდა. ეს იყო ფაქტობრივად სერიოზული ნახტომი. 2007 წელს ადგილი აქვს 10-პროცენტთან კლებას. როგორც ჩანს, რეკლამა მედიის სხვა სექტორებშიც გადანაწილდა. თუმცა არსებული კვლევების თანახმად, რეკლამის განთავსების თვალსაზრისით, ელექტრონული მედია ლიდერობას არ თმობს. დაწინაურდა ინტერნეტრეკლამა. ექსპერტების აზრით, სფეროს პერსპექტიულობიდან გამომდინარე, ამ ბაზარზე უფრო მზარდი დინამიკაა მოსალოდნელი.

ბოლო წლების განმავლობაში დაფიქსირებული მზარდი ტენდენციის ფონზე რეკლამის ბაზარი დაახლოებით 50 მილიონი

ბაზრის დაიწყო

დოლარის ფარგლებში განვითარდა. "ჩვენი მასშტაბის სხვა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 100, 150 მილიონამდეა გაზარდილი. საკმაოდ მკვეთრი ზრდაა სომხეთის ბაზარზე. იმ პერიოდში, როდესაც იქ დაიწყო მუშაობა, საქართველოში 500 ბილბორდი იდგა, სომხეთში კი ერთიც არ იყო. ჩვენს თვალწინ განვითარდა სარეკლამო ბიზნესი. სატელევიზიო რეკლამა იქ შედარებით იაფია და დიდია მოთხოვნა. პოპულარულია გარე რეკლამაც. სომხეთში წარმოება განვითარებულია და ამიტომ რეკლამაზე მოთხოვნა მზარდია. სხვათა შორის, ეკონომიკური მდგომარეობით დიდად არ ჩამოგვრჩებიან. საქართველოში აქტიურობა უცხოური რეკლამის გადმოტანა და ბაზარზე უცხოური რეკლამა დომინირებს," - ამბობს სარეკლამო კომპანია "მაკენ ერისონის" კავკასიის წარმომადგენლობის პრეზიდენტი გია ალხანიშვილი.

სამწუხაროდ, დსთ-ს სივრცეში ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია, რაც ბევრი ფაქტორითაა განპირობებული. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ბიზნესი ასრულებს. ბაზარზე კი მხოლოდ მსხვილი მოთამაშეები არიან, რადგან ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დინამიკა ძალზე დაბალია. თანაც სარეკლამო სექტორში მათთვის არსებული მაღალი ფასების გამო, სარეკლამო კამპანიას მედიაში ვერ აწარმოებენ. თუმცა მის მნიშვნელობაზე არ კამათობენ. მსხვილი მოთამაშეები კი მედიას და სააგენტოების მხრიდან სოლიდური ფასდაკლებით სარგებლობენ. თუმცა, ბოლო მონაცემებით, მედიაში რეკლამის განთავსების ტარიფები დაახლოებით 50 პროცენტით გაიზარდა.

სარეკლამო კომპანია "სარკეს" მონაცემებით, 2008 წლის იანვარში საქართველოს მედიასაშუალებებში სულ 3 მილიონ 499 906 დოლარის ღირებულების სარეკლამო პროდუქტი გაიყიდა. აპრილში ეს მაჩვენებელი დაახლოებით გაორმაგდა, ხოლო პიკს მაისში მიაღწია და 8 მილიონ 495 840 ათასი დოლარი შეადგინა. ექსპერტების შეფასებით, ეს გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ ქვეყანაში მათში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა და მედიაში განთავსებული რეკლამის დიდი ნაწილი პოლიტიკური პარტიების სარეკლამო კამპანიებზე მოდი.

გაზრდილი შემოსავლების შემდეგ, ივნისიდან მედიასაშუალებებში განთავსებული რეკლამის დინამიკა უმნიშვნელო კლებას იწყებს და 7 მილიონ 774 144 დოლარს უტოლდება. მაგრამ მკვეთრი, 65-პროცენტითი ვარდნა ფიქსირდება 2008 წლის აგვისტოში, როცა რეკლამის მოცულობა 7 მილიონ 319 187 დოლარიდან 2 მილიონ 597 131 დოლარამდე დაეცა.

ცნობილი მოვლენებმა აიძულა კომპანიები, პიარბიუჯეტები შეემცირებინათ. როგორც სარეკლამო სააგენტოებში განმარტავენ, ამ შემთხვევაში კლიენტები ორ

ნაწილად გაიყვნენ: ერთნი, რომლებიც აყენებენ პანიკას და ბიუჯეტები შეამცირეს და მეორენი, რომელთაც ფინანსური კრიზისის მოლოდინში კადრების შემცირება საკუთარ კომპანიებში დაიწყეს. ამ ფონზე სარეკლამო ბაზარზე პიარკომპანიების ჩატარების წილი მსხვილ კომპანიებს შეუმცირდა. აგვისტო-სექტემბერში სარეკლამო სააგენტოებს ფაქტობრივად არც ერთი შეკვეთა არ მიუღიათ. თუმცა ცნობილია, რომ პიარკომპანია უფრო ნაკლებ დანახარჯებს მოიცავს, ვიდრე სატელევიზიო რეკლამა, მაგრამ სწორად დაგეგმვის შემთხვევაში ის უფრო ეფექტურია.

ბუნებრივია, სარეკლამო შემოსავლების კლებამ მედიის განვითარებას და შემოსავლების მოცულობას თავისი დადი დაასვა. განსაკუთრებით მძიმედ ეს ფაქტორი ბიზნესმედიაზე აისახა, რადგან ამ პროფილის მედია ძირითადად სარეკლამო შემოსავლებზეა დამოკიდებული. ცნობილია, რომ ბიზნესკომპანიების წარმომადგენლებმა ომის შედეგად მიყენებული ზარალის თვლა დაიწყეს. ამიტომ ბევრი მედიაპროექტის განხორციელება ამ დროისთვის გადაიდო.

ამ ფაქტორმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მედიის და ბიზნესმედიის განვითარება პირდაპირპროპორციულად უკავშირდება სარეკლამო ბაზრის განვითარებას. ამიტომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ბიზნესრისკები ამ სფეროს განვითარების დინამიკაზე თავის კვალს ტოვებს.

ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს უკრაინის მედიაბაზარზე, ოღონდ ამ შემთხვევაში სარეკლამო და მედიაბაზარზე კრიზისის მიზეზი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისია. კრიზისის შედეგად დაზარალებული ბიზნესკომპანიების მარკეტინგის მენეჯერებმა პიარისა და რეკლამისთვის განსაკუთრებული ბიუჯეტები შეამცირეს.

ს "გაერთიანებული მედიის" მენეჯერ ანა დორენკოს განმარტებით, პირველ რიგში არსებული კრიზისისაგან სარეკლამო სააგენტოები, ხოლო შემდეგ მედიამომცემები დაზარალდნენ, რადგან მათ ამ კრიზისის ფონზე ბიუჯეტები შეუმცირდათ და სარეკლამო სააგენტოებში თანამშრომლების შემცირება დაიწყო. ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა მედია, სადაც ჯაჭვური რეაქცია მოხდა და თანამშრომლების ხელფასები შემცირდა.

ანალოგიური პრობლემა დაუდგარუსეთის მედიასაც. თუმცა აქ სარეკლამო ბაზარი უფრო დიდი მასშტაბისაა და, ბუნებრივია, ფასებიც გაცილებით მაღალია. ექსპერტების შეფასებით, ინვესტორები ვერ რისკავენ, თუ რომელ მედიასაშუალებაში განთავსონ რეკლამა, რადგან არ იციან, ამ მხვევ კრიზისის ფონზე რომელი მედიასაშუალება გადარჩება.

საქართველოს მედიაბაზარზე ომისშემდგომი კრიზისი ასე მძაფრად არ აღიქმება, როგორც უცხოეთში. თუმცა აგვისტოს ბოლოს და სექტემბერში რამდენიმე ბექტურ-

მა გამოცემამ გვერდების რაოდენობა შეამცირა.

მთელს მსოფლიოში მედიის ძირითადი შემოსავალი რეკლამას მოაქვს. იმ ქვეყნებში, სადაც თავისუფალ პრესას არსებობის დიდი ტრადიცია აქვს და უფრო განვითარებულია, მედიის შემოსავლების 70-80 პროცენტი რეკლამაზე მოდის. საქართველოს სარეკლამო ბაზარი საკმაოდ მცირეა. 2005 წელს ამ ბაზარზე 15 მილიონი აშშ დოლარის ბრუნვა დაფიქსირდა. სარეკლამო აქტივობის მთავარი სტიმული კონკურენტული გარემოა. რაც უფრო თავისუფალია ბიზნესგარემო, მით უფრო მძაფრია კონკურენცია და მით უფრო ბევრი რეკლამა მიდის მასმედიის საშუალებებში. ჯერჯერობით, საქართველოში თავისუფალი კონკურენტული გარემო არ არსებობს.

კრიზისის ფონზე მოსალოდნელია სარეკლამო ბაზრის სტრუქტურული ცვლილება. "ჯეპრას" უფროსი კონსულტანტი სოსო გალუმაშვილი მიიჩნევს, რომ მსხვილი სარეკლამო კომპანიები შეიერთებენ მცირე კომპანიებს და ბაზარზე გადარჩებიან მხოლოდ ისინი, ვისაც უნივერსალური სავაჭრო შემოთავაზება ექნებათ.

"ჩვენთან სარეკლამო ბაზარი პატარაა და ამ სეგმენტს ძალიან ბევრი კომპანია ემსახურება. კომპანიებს ძირითადად ორი-სამი მსხვილი დამკვეთი ჰყავთ. ამიტომ ბევრი სარეკლამო კომპანია კრიზისს ვერ გაუძლებს," - ამბობს სოსო გალუმაშვილი.

2008 წელს სარეკლამო ბაზარზე ამ ტიპის ცვლილებები ფაქტობრივად უკვე დაიწყო. ბაზარზე გამოჩნდა ახალი მოთამაშე "აუთდორ.ჯი", რომელმაც ბაზარზე მოთამაშე ექვსი მსხვილი კომპანიის გარე რეკლამის კონსტრუქცია უკვე შეიძინა. ეს კომპანიებია: შპს "იმპერიალი", შპს "იმპერია სტარი", შპს "აისი", შპს "ლინკ მედია" და შპს "აშრიალი". "სარეკლამო ბაზარზე მოთხოვნები, ჩემი აზრით, გაიზარდა შედარებით დაბალბიუჯეტის, მაგრამ კრეატიულ და ეფექტურ სარეკლამო აქტივობებზე და მოიმატებს ონლაინ რეკლამის ბაზრის წილი. ნაკლებად იქნება მასშტაბური დიდბიუჯეტის სარეკლამო აქტივობები. შესაბამისად, ის სარეკლამო სააგენტოები იქნებიან წარმატებულნი, რომლებიც ყველასაგან განსხვავებულ კრეატიულ სარეკლამო კამპანიას შესთავაზებენ," - ამბობს "სარკე პიარის" ხელმძღვანელი თორნიკე გურული.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ სარეკლამო ბაზარი 2009 წელს უფრო გამჭვირვალე გახდება, რადგან შექმნილი კრიზისი კომპანიებს აიძულებს, რეალურად აჩვენონ ის სურათი, რაც ბაზარზე ხდება. კომპანიების შემოსავლები უფრო გამჭვირვალე იქნება, ვიდრე ეს იყო 2008 წელს. ზოგადად, ბაზრის შემოსავლების ტენდენცია კი კლებისაკენ წავა. მოსალოდნელია 20-25-პროცენტითი კლება.

ლეიბორისტები საქართველოდან ყაზბრანსგაზის გაძევებას ითხოვენ

ლეიბორისტები ყაზბრანსგაზ თბილისს ბუნებრივი აირის მომხმარებლების მიმართ უკანონო ქმედებების განხორციელებაში ადანაშაულებენ.

მათი მტკიცებით, ყაზბრანსგაზის თანამშრომლები მოსახლეობას 125-ლარიანი მრიცხველების ყიდვას და დამონტაჟებას აიძულებენ.

როგორც პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, მიუხედავად სემეკის მიერ ყაზბრანსგაზ თბილისის დაჯარიმებისა, მისი უკანონო საქმიანობა გრძელდება.

ყაზბრანსგაზ თბილისი კვლავ ატერორირებს მოსახლეობას იმ მოთხოვნით, რომ მომხმარებელმა საკუთარი ხარჯით შეამონშოს მრიცხველი და ამავდროულად გადაიხადოს ის 125 ლარი, რომელიც საჭიროა ახალი მრიცხველების დასაყენებლად. სემეკის გადაწყვეტილებით, ყაზბრანსგაზ თბილისს აკრძალული აქვს ამგვარი ქმედებები. დედაქალაქის მოსახლეობის მხრიდან უამრავი საჩივარია ჩვენთან შემოსული," - აცხადებს ჯიბლაძე.

იგი სემეკს მოუწოდებს, რომ ლეიბორისტული პარტიის მიერ გაგზავნილი განცხადებების საფუძველზე მოინვიოს სხდომა და ყაზბრანსგაზ თბილისს სალიცენზიო საქმიანობა აუკრძალოს.

მოეწოდებ სააკაშვილს, რომ გასცეს განკარგულება, რათა პროკურატურამ მოახდინოს ამ ბანდიტური კომპანიის საქმიანობის შესწავლა და ყაზბრანსგაზ თბილისი გააძევოს ქვეყნიდან. ლეიბორისტული პარტია თვის ბოლოს გეგმავს პიკეტ-აქციების ჩატარებას ქუთაისში, სემეკისა და ყაზბრანსგაზის შენობის წინ, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს დედაქალაქის მოსახლეობის დატერორება," - აცხადებს ჯიბლაძე.

ლეიბორისტები მოსახლეობას მიმართავენ, რომ თუ კიდევ მოხდება მსგავსი შემთხვევა და ყაზბრანსგაზის თანამშრომლები მოითხოვენ ხალხის ხარჯზე მრიცხველის შემონეშვას ან ახალი მრიცხველის ყიდვას, პარტიას აცნობონ, რომელიც შესაბამის რეაგირებას მოახდენს. **მედიანიუსი**

ევროპა რუსეთს "ნაბუკოს" გაზსადენის მშენებლობაში მონაწილეობას რაღაც დოზით მაინც შესთავაზებს

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ ევროპა რუსეთს "ნაბუკოს" გაზსადენის მშენებლობაში მონაწილეობას რაღაც დოზით მაინც აუცილებლად შესთავაზებს.

"ამ პროექტის განხორციელების დიდი ალბათობა არსებობს, თუმცა შევკვიდრები დარწმუნებულები ვიყო, რომ ეს არ იქნება ვინმეს, ამ შემთხვევაში რუსეთის ჯიბრზე განხორციელებული პროექტი," - განაცხადა გიორხელიძემ.

ამასთან, მისი აზრით, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გაზსადენის მშენებლობისთვის თანხები ჯერჯერობით არ არსებობს.

ექსპერტი "ნაბუკოს" პროექტისადმი საქართველოს ტენდენციურ, პოლიტიზირებულ მიდგომაზეც საუბრობს და მიაჩნია, რომ "ქვეყანამ ამ პროექტიდან საკუთარ სარგებელზე უფრო მეტად უნდა იფიქროს, ვიდრე რუსეთისთვის ზიანის მიყენებაზე."

"თუ ჩვენ რუსეთის სახელმწიფოსთან ისევ აგვისტოს მოვლენების რეჟიმში ვიქნებით, არავინ არ გარისკავს, მით უმეტეს - ევროპა, რომ გაზსადენმა საქართველოს ტერიტორიაზე გაიაროს," - დასძინა მან.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ ევროკავშირის ენერგეტიკული საბჭოს ბრიუსელში გამართულ სხდომაზე, რომლის მუშაობაში ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრები მონაწილეობდნენ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ იანვრის ბოლოსთვის ევროკავშირის მიერ ბუდაპეშტში დაგეგმილ ენერგეტიკულ ფორუმზე, რუსეთის გვერდის ავლით "ნაბუკოს" გაზსადენის მშენებლობის დაჩქარების გადაწყვეტილება იქნას მიღებული.

ალსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილებას მხარი გერმანიისა და უნგრეთის სახელმწიფოებმაც დაუჭირეს, რომლებიც ამ დრომდე რუსეთის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორებად რჩებიან. **პირველი**

დახატა სახლი
ერთი ხელის მოხმით

იყიდა სახლი
ერთი ხელის მოხმით

იკოთაქური სანსი
ერთი ხელის მოხმით

- ▶ ახილოდ **14% -17%**
- ▶ სახლის ღირებულების **75%**
- ▶ სანსის ვალა **20 წლამდე**

დასაქმობით: 1777 77
ან იმისთვის: www.hsbc.ge
ან მოზარდების: რუსთაველის ბაზრ. 15

HSBC
თქვენი ბანკი მთელ მსოფლიოში

გამომუშავდა სს. შპს "სი სი სი" პანკო საქართველოს მიერ

უკატრონო

რატომ არ შეიძლება ტყეების გასხვისება

რეზო გუთიაშვილი

სატყეო რეფორმა კიდევ ერთხელ გაჩნდა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალმა მინისტრმა ამ გადაწყვეტილების მოტივად საკითხში საფუძვლიანად გარკვევა დაასახელა, რაც, სავარაუდოდ, პროცესის მიმართ საზოგადოების პროტესტმა განაპირობა.

როგორი იქნება გარკველება და რა ელის საქართველოს ტყეებს - ეს საკითხი დღემდე ღიაა რჩება.

ექსპერტების განცხადებით, ეკონომიკური განვითარების მინისტრის გადაწყვეტილებამ ტყეების აუქციონების გადადების შესახებ მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეების აცილება უზრუნველყო. თუმცა, პრობლემები პრობლემებად დარჩა და რეფორმასაც თავისი სასიცოცხლო მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

გაჩნდილი ტყეები, მოშლილი მენეჯმენტი, კონტროლის შეზღუდული მექანიზმები, პრობლემები ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობაზე, მოტყუებული ან დამფრთხალი ინვესტორები - ასეთია საქართველოს სატყეო სექტორის ზოგადი სურათი რეფორმის შეჩერების შემდეგ.

ტყეების კერძო მართვაში გადაცემის პროცესის განახლებასთან დაკავშირებით მედიასაშუალებებში განსხვავებული ინფორმაციები ვრცელდება. ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აუქციონები თებერვალში განახლდება, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში არ ადასტურებენ. პრობლემებში უკეთ გარკვევის მიზნით მინისტრმა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსაც მიმართა და საგანგებო შეხვედრის ორგანიზება ითხოვა.

სამინისტროს ეს ინიციატივა, ალბათ, ერთადერთი გზაა ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა, იმის შესახებ, რომ აუქციონები საზოგადოებასთან კონსულტაციის გარეშე არ გაიმართება, ვერჯერობით მხოლოდ ზეპირი გარანტიები არსებობს, - აცხადებენ კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელში (CENN) და ასეთი სახის კონსულტაციებს სრულ მხარდაჭერას უცხადებენ.

განაჩენის გამოტანამდე მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების ანალიზი, რამაც რეფორმის შეჩერება გამოიწვია. ტყეების ლიცენზირების მთავარ ნაკლოვანებად ინვენტარიზაციის ჩაშლილი პროგრამა სახელდება.

კრიმინალური გარემო

მსოფლიო ბანკის პროგრამა, რომლის მიხედვითაც ტყეების ინვენტარიზაცია დღეისათვის უკვე დამთავრებულიც უნდა ყოფილიყო, 2007 წლის გაზაფხულზე სკანდალურად შეწყდა. წლების განმავლობაში მიმდინარე პროგრამის გაგრძელებაზე უარის თქმის მოტივი ზედმეტი ხარჯების აცილება იყო. შესაბამისად, საქართველოს ხელი-სუფლებამ არ გაითვალისწინა მსოფლიო ბანკის რეკომენდაცია, განსაზღვრულიყო ტყეების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პოტენციალი, მომზადებულიყო შეძლებისდაგვარად მსხვილი პაკეტი, რაც უზრუნველყოფდა სერიოზული ინვეს-

ტორების შემოყვანას და სახელმწიფო შემოსავლების ზრდას როგორც აუქციონებიდან, ასევე ხე-ტყის ინდუსტრიიდან.

შეუფასებელი რესურსის გამოტანა, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ფინანსურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ რისკებს დაუკავშირდა. დოკუმენტაცია, რითაც სალიცენზიო პაკეტი მომზადდა და საწყისი ფასები დადგინდა, მოძველებული იყო. ალბათობა, რომ გასაყიდად გამოტანილი რესურსი რეალურთან შესაბამისობაში არ მოვიდოდა, დამოუკიდებელი კვლევებით დადასტურდა.

კერძო მართვაში, ერთის მხრივ, დეგრადირებული ფართობები, მეორეს მხრივ კი, ხელშეუხებელი ტყეები გაიკა. გარემოსდაცვითი რისკები ორივე შემთხვევაში მაღალია: ტყეების შეუქცევადი დეგრადაცია, ან სერიოზული დარტყმა რეგიონის ბიომრავალფეროვნებასა და ქვეყნის ტურისტულ პერსპექტივებზე.

რაც მთავარია, შეუძლებელი გახდა ხე-ტყის მოპოვებაზე მონიტორინგის განხორციელება პირველადი მონაცემების გარეშე. სახელმწიფოს ლეგალური დოკუმენტიც კი არ გააჩნია, რითაც ტყეების ექსპლუატაციის პროცესში ამა თუ იმ უკანონობას დააფიქსირებს. კონტროლის მექანიზმების არარსებობა და ლიცენზიების ბრმად ყიდვა-გაყიდვა ინვესტორსაც და მაკონტროლებელი სტრუქტურების წარმომადგენლებსაც დანაშაულისკენ უბიძგებს. მით უფრო, როცა დანაშაულის გამოვლენის შესაძლებლობა ფაქტობრივად არ არსებობს.

სერიოზული პრობლემები შეიძლება უდანაშაულო ინვესტორებსაც შეექმნათ. სალიცენზიო პირობების კანონმდებლობასთან შეუსაბამო გაცემული ლიცენზიების კანონიერების საკითხის დასმის სამართლებრივ საფუძველს იძლევა. ასეთი რისკი მნიშვნელოვნად ამცირებს ლიცენზიების ეფექტურად გაყიდვის შესაძლებლობებს. ინვესტორზე მიყვარდებულმა ფინანსურმა ზარალმა კი შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ზოგად საინვესტიციო კლიმატზე.

რისკების ანალიზი

ამა თუ იმ რესურსის ათვისების მიზანშეწონილობა პროგნოზული შემოსავლებისა და მოსალოდნელი ზიანის შეფარდებით დგინდება.

წლების განმავლობაში ტყეების არარაციონალურმა ექსპლუატაციამ მაღალპროდუქტიული ტყეები დაბალი წარმადობის ამონაყარით შეცვალა, რასაც თან სდევს საშიში ბუნებრივი პროცესების გააქტიურება. უკვე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო პერიოდის სტიქიური მოვლენები სწორედ ამ პროცესს უკავშირდება. როგორც შესაძლო ბუნებრივი კატასტროფების რისკების ანალიზი აჩვენებს, მოსალოდნელმა ზიანმა უახლოეს მომავალში შეიძლება რამდენიმე მილიარდი დოლარი შეადგინოს. ეს კი გაცილებით აღემატება იმ შემოსავლებს, რასაც სახელმწიფო ტყეების სამეურნეო ათვისებით მიიღებს.

ასეთი წინაპირობები თითოეული სალიცენზიო უბნის სამეურნეო ათვისების მიზანშეწონილობის ზუსტად დადგენას მოითხოვს. ბუნებრივი რესურსების მართვის ქართული პოლიტიკა წინასწარ კვლევებზე თანხების დახარჯვას რომ



გაუმართლებლად მიიჩნევს, ეს ცალკე განხილვის თემაა. კიდევ უფრო გაუგებარია, როცა ხელისუფლება უკვე დამდგარი შედეგების ანალიზსაც გაურბის.

საქმე ეხება იმ კონკრეტული მონაცემების ანალიზს, რაც 2007 წლის 1 მაისის აუქციონებიდან დღემდე დაგროვდა. ამის შესახებ გაგზავნილი ოფიციალური მიმართვა, რომელსაც ხელს აწერდნენ ასოციაცია CENN, შესაბამისობის სამეურნეო საბჭო (CSC), საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები - საქართველო, ასოციაცია ფლორა და ფაუნა, საქართველოს ბუნების მოყვარულთა საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისის ბოტანიკური ბაღი და ბოტანიკის ინსტიტუტი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო და სხვა ორგანიზაციები, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საერთოდ უპასუხოდაც.

რაც შეეხება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, აქ გულწრფელად აღიარეს, რომ მსგავსი მონაცემები საერთოდ არ არსებობს. ამ ეტაპზე პასუხები არ გვაქვს, - განაცხადა სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ შესაბამისობის სამეურნეო საბჭოს ინიციატივით გამართულ საჯარო შეხვედრაზე და პირობა დადო, რომ რეფორმის შედეგების ანალიზს მოკლე ხანში (გასული წლის ნოემბრამდე) წარმოადგენდა, მაგრამ პირობა არ შეასრულა.

იმ საქვეუწყებო სტრუქტურებში, რომელთაც ლიცენზიანტების უშუალო კონტროლი ევალებათ, ისიც არ იცოდნენ, საერთოდ დაინყო თუ არა ტყეების ექსპლუატაცია გაცემულ უბნებზე. არადა, ამ პერიოდში საზოგადოებისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ ტყეების ექსპლუატაციაც დაწყებულია, არც სალიცენზიო პირობები სრულდება და ამაზე სახელმწიფო არ რეაგირებს.

ფინანსური და ეკოლოგიური რისკების გარდა, ეს ფაქტორი უარყოფითად აისახა ახალ აუქციონებზეც. სალიცენზიო პირობების ფორმალურმა ხასიათმა მნიშვნე-

ლოვნად შეამცირა ლიცენზიების ეფექტურად გაყიდვის შესაძლებლობა და ოქტომბრის აუქციონებზე საქართველოს ბიუჯეტმა მნიშვნელოვანი შემოსავლები დაკარგა.

უადგილო ადგილობრივები

ტყეების გრძელვადიანი გასხვისება პირველ რიგში უშუალოდ ტერიტორიაზე მცხოვრებლების სოციალურ და ეკონომიკურ ყოფაზე აისახება. როგორც დამოუკიდებელი კვლევებით გამოვლინდა, ადგილობრივი მოსახლეობა ტყეების კერძო მართვაში გადაცემის შესახებ ინფორმირებული არ იყო, რითაც ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის კანონმდებლობა და ასეულობით ადამიანის უფლებები დაარღვია.

ადგილობრივებს მიაჩნიათ, რომ კერძო სექტორისთვის ტყეების გადაცემა კიდევ უფრო დაამძიმებს მათ სოციალურ მდგომარეობას, პრობლემებს შეუქმნით ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობაზე, გამოიწვევს სოფლის მეურნეობის კრიზისს, გაზრდის ბუნებრივი კატასტროფების რისკებს. რესურსებზე შეზღუდვები რომ დაწესდება, ამას ინვესტორებიც ადასტურებენ. ლიცენზიის მფლობელები მათ ტყეებში შესვლას სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ამას არც დაუშვებენ, რადგან ყველა მოჭრილ ხეზე პასუხი თვითონ უნდა აგონ. შესაბამისად, მოსახლეობასა და ინვესტორს შორის კონფლიქტური სიტუაციების ალბათობაც დიდია.

ხელისუფლების განცხადებით, სამეურნეო ტყეები დაცული, დაცვითი, კომუნალური, სამონადირეო, საპატრიარქოს და სხვა დანიშნულების ტყეების გამორიცხვით დადგინდა. თუმცა, ოფიციალურ წერილებზე, მიმდინარეობს თუ არა მუშაობა კომუნალური ტყეების გამოყოფაზე, ხელისუფლების პასუხი უარყოფითია. შესაბამისად, ჩნდება საფრთხე, რომ მოსახლეობა შეშისა და მერქნული რესურსების გარეშე დარჩება. როგორც ადგილზე შესწავლით დგინდება, სარეზერვო სათემო ტყეები (ე.წ. ადგილობრივი

ტყის ფონდი), ფაქტობრივად, აღარ არსებობს და მომავალში შეუძლებელი იქნება ამ რესურსით მოსახლეობის უზრუნველყოფა. ეს კი დამატებით ტვირთად დაანება ტერიტორიულ ერთეულებს, რის გამოც, სავარაუდოდ, სათემო ტყეების პროგრამა მთლიანად ჩაეარდება.

ნაკლებად საფუძვლიანია ხელი-სუფლების არგუმენტები დასაქმების გაზრდის შესახებაც. სანარმოო პროცესი, რასაც საქართველოს სატყეო სექტორში ჩადებული ინვესტიციები უზრუნველყოფს, მხოლოდ რამდენიმე ათეულ ადამიანს დაასაქმებს. მით უფრო, როცა აუქციონებით სერიოზული ინვესტორი არ ინტერესდება და ქართული სატყეო ინდუსტრია ფიცრისა და ფანერის იქით ვერ მიდის.

სექტორის მონოპოლიზაციისა და კორუფციის ნიშნები

უკანასკნელ აუქციონზე ყველა გაყიდული სალიცენზიო პაკეტი ერთი და იგივე კომპანიის საკუთრება გახდა. ეს ფაქტი ცალსახად მიუთითებს აუქციონების არასაკონკურსო გარემოზე, რაც პირდაპირ აისახება საბიუჯეტო შემოსავლებზე. არსებობს კიდევ უფრო დიდი საფრთხეები, რასაც უფრო გრძელ ვადაში სექტორის მონოპოლიზაცია მოიტანს. ცალკე განხილვის საგანია აღნიშნული კომპანიისა და ხელისუფლების ინტერესების გადაკვეთა. ის ფაქტი, რომ კომპანიას ყოფილი სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე და ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ხელმძღვანელობს, რეფორმის კერძო ინტერესების საგნად აქცევს.

რეფორმის კიდევ ერთი ნაკლი ცუდად შერჩეული დროა. საეჭვოა, რომ ნორმალური ინვესტორი საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნის სატყეო ინდუსტრიაში ინვესტირებით დაინტერესდეს. მით უფრო, როცა საქართველოს ხელისუფლება ტყეებს რუსული აგრესიის ერთ-ერთ სამიზნედ აცხადებს და რუსეთს მის განზრახ გადაწვამ ადანაშაულებს.

და ბოლოს, დღემდე არ არის დამტკიცებული საქართველოს სატყეო პოლიტიკა, სტრატეგია და ტყის ახალი კოდექსი, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებდა სატყეო ექსპერტებისა და მთლიანად საზოგადოების აზრს. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს ტყის ფონდის ინვენტარიზაცია და კატეგორიებად დაყოფა, ზუსტად განისაზღვრებოდა ის სატყეო უბნები, სადაც მერქნის მოპოვება ეკონომიკურად მდგავნიანი და ეკოლოგიურად მდგრადია და სალიცენზიო პაკეტებიც შესაბამისად მომზადდებოდა.

შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას საკმაოდ ბევრი აქვს გასაკეთებელი იმ პრობლემების გადასაჭრელად, რის გამოც ტყეების აუქციონები შეჩერდა და ახალ აუქციონებს უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდოთ. მეორეს მხრივ, პროცესის გაჭიანურების შემთხვევაში სატყეო სექტორი, ფაქტობრივად, რეგულირების გარეშე რჩება, რაც, ბუნებრივია, არანაკლებ საფრთხეებს მოიცავს.

გაზის სპექტაკლის დასასრულის მოლოდინში

ლიკა ჭობაძე

როგორც ჩანს, რუსეთ-უკრაინის შორის გაჩაღებულ გაზის სკანდალის მთავარი დამნაშავეს ვინაობა ევროპას უკვე აღარ აინტერესებს. მისთვის მთავარია, თუ როდის დასრულდება ეს ომი. ცივი სამთარი ევროპელების ყოფას გაუსაძლის ხდის. გაზპრომსა და ნეფტოგაზს შორის კონფლიქტი უკვე სპექტაკლს დაემსგავსა, ხოლო ევროკავშირი მაყურებლის როლშია და მის დასრულებას მოუთმენლად ელოდება.

ევროპული პრესა რუსულ-უკრაინულ გაზის სპექტაკლში მონაწილეობას აღარ აპირებს. ევროპა დამნაშავეს ძიებით დაილა, მას უბრალოდ იმ გაზის მიღება სურს, რომლისთვისაც ფულს იხდის.

როგორც ჩანს, რუსეთსა და

უკრაინას შორის დავას ბოლო არ უჩანს. გაზის ქურდები, ბანდიტები - ასეთი ფრაზები ისმის რუსეთში გამართულ პიკეტებზე, თუმცა რეალურად რუსეთსა და უკრაინის ხელისუფლებებს შორის ურთიერთობა განთავსებულია. ამასთან, მნიშვნელოვან არ აქვს, ვინ არის დამნაშავე ახალ პოლიტიკურ ფარსში. გაზის ფასსა და ენერგეტიკულ ანგარიშებზე დავა მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა ეს ჩვენ ნაკლებად უნდა გვაღელვებდეს. მთავარია ის, რომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვახდინოთ ბაზრის ნაციონალიზაცია და რუსულ გაზზე ნაკლებად დამოკიდებულნი უნდა გავხდეთ, - წერს გერმანული გამოცემა K Iner Stadt-Anzeiger-ი.

რუსეთი და უკრაინა მხოლოდ ერთმანეთის დადანაშაულებით არიან დაკავებულნი, ევროპა კი კვლავ ბუნებრივი აირის გარეშეა. ფაქტია, რომ

არავის შეუძლია თქვას, რაშია საქმე - ტექნიკურ პრობლემაში თუ მხარეთა მიერ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობაში. ჩვენ ერთადერთი რამ გვაშფოთებს და ეს არის ჩვენთვის კუთვნილი ბუნებრივი აირი, მაგრამ რუსეთი და უკრაინა საბოლოო შედეგებამდე რატომღაც ვერ მიდიან, - წერს Financial Times Deutschland.

გაზპრომის რეპუტაციას რომ მნიშვნელოვნად შეილახა, ამაზე ბრიტანული The Guardian-იც წერს. გამოცემაში ნათქვამია, რომ ეს ფაქტი ნაცისტების მიერ ლენინგრადის ბლოკადას ჰგავს.

როგორც ჩანს, კარტების გახსნას არც ერთი მხარე არ აპირებს. ეს არც გასაკვირია. რუსეთსა და უკრაინას შორის დავა უკვე რამდენიმე წელია გრძელდება. ჩვენ უბრალოდ ის გვიკვირს, თუ რამდენად ადვილია ამ ორი ქვეყნისთვის საკუთარი რეპუტაციის შელახვა. მსგავსი კრიზისი ცივი ომის დროსაც კი

არ ყოფილა. გასაკვირია ის სიჯიუტე, რომელსაც ევროკავშირი გაზის ომისადმი იჩენს. ევროპას მკვეთრი სტრატეგია სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის რუსეთისა და უკრაინის კარებს შორის მოგორავებურთის ამპლუაში იქნება.

ევროპული საინფორმაციო სააგენტოები ევროკომისარ ჟოზე მანუელ ბაროზუს განცხადებას ეხმაურებიან. ის მხარეებს კონცენტრირებული შეთანხმებისკენ მოუწოდებს, რომელიც ენერგომოპოვებისა და გაერცელების აღტერნატიული გზების ძიებას გაამარტივებდა. გაზის ტრანსპორტირების შეფერხებას ბაროზუმ მიუღებელი და დაუჯერებელი უწოდა. დაუჯერებელია იმით, რომ ევროპა ამ ვითარებაში უკვე არაერთხელ აღმოჩნდა. ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიკვეს. როდემდე უნდა ვიყოთ ჩვენ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მსხვერპლნი? - განაცხადა ბაროზუმ.

ამერიკული ბრენდის ევროპული მომავალი

ლიკა ჭობაძე

კომპანია Renault-ს გაკოტრების ზღვარზე მყოფი Jeep-ის ბრენდის ყიდვა სურს. ფრანგ ავტომწარმოებლებსა და ამერიკულ საავტომობილო კონცერნ Chrysler-ს შორის მოლაპარაკებების პროცესი უკვე დაიწყო. ექსპერტების შეფასებით, გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში ფრანგ ავტომწარმოებლებს დიდი შანსი აქვთ, Chrysler-ის ეს პოპულარული ბრენდი ხელსაყრელ ფასად ჩაიგდონ ხელში.

ამერიკულმა საავტომობილო კონცერნმა Chrysler-მა გასულ წელს უძლიერესი ევროპული პარტნიორი - Daimler-ი დაკარგა. ამას გლობალური ფინანსური კრიზისიც დაერთო და კომპანია გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდა. ასე რომ, Chrysler-ი თავის ყველაზე პოპულარულ და წარმატებულ ბრენდ Jeep-ს იძულებით გამოეთხოვება. გუშინ გაერცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამერიკული კომპანია ფრანგულ-იაპონურ საავტომობილო გაერთიანება Renault-Nissan-თან ანარმოებს მოლაპარაკებებს. საფრანგულ რეალურია, რომ ეს უკანასკნელი მისი ბრენდის ახალი მფლობელი გახდეს, თუმცა სააგენტო Reuters-ი აცხადებს, რომ გარიგებაში ავტოკომპონენტების უმსხვილესი მწარმოებელი, კანადური კომპანია Magna მონაწილეობს.

საბოლოო მარცხის თავიდან აცილების მიზნით, ამერიკული საავტომობილო კომპანია რესტრუქტურისაციის გეგმაზე მუშაობს. Chrysler-მა ამერიკის შიგნით მტკიცების ადმინისტრაცი-



ციისგან დახმარების სახით 4 მილიარდი დოლარი მიიღო.

Nissan-სა და Chrysler-ს შორის თანამშრომლობა პირველი არ არის. მათ ტექნოლოგიების სფეროში რამდენიმე გარიგებაც აქვთ დადებული. უფრო მეტიც, Nissan-ი ამერიკული ავტოკონცერნისთვის კომპაქტებს ამზადებს. კომპანია Magna კი ორივე კომპანიას სხვადასხვა ტექნიკური დეტალებით უზრუნველყოფს.

კომპანია Chrysler-ში გარიგების შესახებ გაერცელებულ ინფორმაციას ოფიციალურად არ ადასტურებენ. Chrysler-ი თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებებს სხვადასხვა დონეზე ანარმოებს. ჯერ არაფერი გადაგვიწვევთ და კომენტარსაც საბოლოო შედეგის მიღწევამდე არ გავაკეთებთ, - აღნიშნა კომპანიის წარმომადგენელმა სააგენტო Reuters-თან საუბრისას.

მიმდინარე ნეგატიური მოვლენების ფონზე, ტოკიოს ბირჟა-

ზე გამართულ ვაჭრობაზე უკანასკნელი დღეების მანძილზე კომპანია Nissan-ის ფასიანი ქაღალდების ფასმა მოიმატა.

Jeep-ი მსოფლიო ავტომობილებზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრენდია. ასე რომ, მის ყიდვას Renault-Nissan-ი საინტერესო სტრატეგიულ ნაბიჯად აფასებს. ავტომობილების ეს სეგმენტი, რომლებიც გაყიდვების დინამიკით განვითარებად ბაზრებზე საკმაოდ წარმატებულია, ვფიქრობ, ჩვენი კომპანიის მომავლისთვის წარმატებული აღმოჩნდება, - აღნიშნავენ კომპანია Nissan-ის წარმომადგენლები.

ამერიკულ საავტომობილო კონცერნ Chrysler-ს კი საქმე ძალიან ცუდად აქვს. კომპანიის გაყიდვების მაჩვენებელი ამერიკის შიგნით მტკიცების საავტომობილო ბაზარზე გასულ წელს 30%-ით დაეცა. ამ მონაცემზე დაყრდნობით, უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე მოთამაშე საავტომობილო კომ-

პანიებს შორის Chrysler-ს ყველაზე ცუდად აქვს საქმე.

იმისათვის, რომ სრულ მარცხს თავი დააღწიოს და მოგებაზე გავიდეს, კომპანია Chrysler-ი გლობალურ ბაზრებზე გასვლის გზებს ეძებს. უნდა ითქვას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა კვლავ რთულია, პრობლემების გადასაჭრელად დრო კი ძალიან ცოტა. გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით, გამოირიცხული არ არის, რომ კომპანია რადიკალური ზომებიც კი მიიღოს. 600-მილიონიანი წაგება, რომელიც კომპანია Chrysler-ს გასულმა წელმა მოუტანა, მას არჩევანის სულ უფრო ნაკლებ ვარიანტს უტოვებს. ამ შემთხვევაში უპირატესობა ფრანგი ავტომწარმოებლების მხარეს არის. ისინი კომპანიის ფინანსურ კრახს სათავისოდ გამოიყენებენ და ცნობილ ბრენდს ძალიან იაფად ჩაიგდებენ ხელში. მართალია, ჯერ გარიგების დეტალები ცნობილი არ არის, მაგრამ წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარიგება მხარეებს შორის ძალიან იაფად - რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარად შედგება, - ფიქრობენ ბაზრის ექსპერტები.

ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ ფრანგულ-ამერიკულ საავტომობილო კომპანიებს შორის გარიგებით პირველ როგში Jeep-ის ბრენდი იხიორებს.

გახდება რა ბევრად უფრო სტაბილური და ძლიერი საავტომობილო ჯგუფის წევრი, ბრენდი Jeep-ი თავს უკეთ იგრძნობს. ახლა მას აღსასრულის დღე უდგას. ახალმა მფლობელმა კი შესაძლოა მისი ბედი რადიკალურად შეცვალოს.

"New-York Times" "ენგურჰისის" მენეჯმენტში რუსული კომპანიის გამოჩენით დაინტერესდა

გავლენიანი გამოცემა New-York Times, "ენგურჰისის" მენეჯმენტში რუსული კომპანიის გამოჩენასთან დაკავშირებით, საქართველოს საპარლამენტო ოპოზიციისა და სოხუმის ხელისუფლების მოსახრებით დაინტერესდა.

"საქართველოს პარლამენტის წევრებმა დამემს ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრის ქმედება რუსეთის სახელმწიფო ენერგოკომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების გამო, რომლის მიხედვით, ეს კომპანია მონაწილეობას მიიღებს ჰიდროელექტროსადგურის ნაწილის გაკონტროლებაში და საქართველოს ენერგომომარაგების დაახლოებით ნახევარს უზრუნველყოფს. ხელშეკრულება, რომლის შესახებაც რუსულმა მხარემ მშვიდად გამოაცხადა, რუსულ კომპანიას საშუალებას აძლევს, 10 წლის განმავლობაში ერთობლივად მართოს "ენგურჰისი" - აღნიშნავს გამოცემა.

სტატიის ავტორს ქართული ოპოზიციის წარმომადგენელთა სიტყვები მოჰყავს იმის შესახებ, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით, საქართველომ ქვეყნის სტრატეგიული ობიექტი საფრთხის ქვეშ დააყენა და საკუთარ ენერგომომარაგებაზე რუსეთი გააბატონა.

ამერიკულ გამოცემაში ასევე ენერგეტიკის მინისტრის რეგულაციები მოყვანილი, რომელთაც ოპოზიციის ერთ-ერთ წარმომადგენელ სალომე ზურაბიშვილის პოზიცია მოსდევს. "ქართული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლება მოლაღობა, რომელიც ერთის მხრივ ამბობს, რომ რუსეთი ოკუპანტია, მეორეს მხრივ კი ამ სახელმწიფოსთან შეთანხმებებს დებს. ეს ხელმძღვანელობა რაც შეიძლება მალე უნდა წავიდეს."

გამოცემა ასევე აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას შეფასებას აქვეყნებს, რომლის მიხედვით, სოხუმი შეთანხმებას დადებითად აფასებს, თუმცა აღნიშნავს, რომ დოკუმენტი აფხაზურ მხარესთანაც უნდა შეთანხმდეს. პირველი

ევროკავშირმა ევროკომისიას "გაზის სკანდალის" შედეგების შეფასება დაავალა

"გაზპრომი" უკრაინის გავლით ევროპისთვის რუსული გაზის მიწოდების შესახებ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს ავრცელებს. კერძოდ, "გაზპრომმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 13 იანვარს 00:58 საათზე ევროპას უკრაინის გავლით რუსული გაზის მიწოდება აღუდგა, 15:30 საათზე კი "გაზპრომმა" ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, ევროპას რუსული გაზი საერთოდ არ მიეწოდება, რადგან უკრაინულმა მხარემ სატრანზიტო მიწები არ გახსნა. მეტიც, "გაზპრომმა" მოასწრო და ევროკავშირს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ "ევროპისთვის უკრაინის გავლით გაზის მიწოდება შეუძლებელია." ამის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრს "გაზპრომის" ხელმძღვანელის მოადგილემ ალექსანდრ მედევემ განუცხადა. "უკრაინულმა მხარემ პირველი საექსპორტო კორიდორიც კი არ გახსნა. უკრაინამ რუსი დამკვირვებლები საკუთარ სადგურშიც არ შეუშვა. რუსეთმა უკვე მიაწვია ევროკომისიას ინფორმაცია უკრაინის ტერიტორიის გავლით ევროპისთვის გაზის ტრანზიტით უზრუნველყოფის შეუძლებლობის შესახებ," - განაცხადა მედევემ.

"გაზპრომის" ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინის ტერიტორიის გავლით ევროპისთვის გაზის საცდელ გადაქაჩვას იწყებს. გაზის კრიზისთან დაკავშირებით, ბრიუსელში ევროკავშირის 27-მა წევრმა ქვეყანამ ერთგვარულ შეხვედრა გამართა. სხდომაზე მათ ევროკომისიას გაზის კრიზისთან დაკავშირებით ევროპისთვის ეკონომიკური და სოციალური შედეგების შეფასება დაავალეს, - იუწყება "რია ნოვოსტი". "საბჭომ ევროკომისიას ევროკავშირის დახარჯულებულ წევრ ქვეყნებთან ერთობლივად კრიზისის ეკონომიკური და სოციალური შედეგების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის, ამ ქვეყნებისთვის დახმარების აღმოჩენის აუცილებელი ნების დასახვა დაავალა," - აღნიშნულია სხდომის დასკვნაში. აღსანიშნავია, რომ ეს სხდომა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ ჩეხეთმა მოიწვია. 6 იანვარს უკრაინის ტერიტორიის გავლით რუსული გაზის მიწოდება ევროპის ქვეყნებში შეწყდა. კერძოდ, ბულგარეთში, თურქეთში, საბერძნეთსა და მაკედონიაში. სანჯავის მიწოდების შეწყვეტის გამო ევროპის ქვეყნებში საგანგებო ზომების მიღება დაიწყო. ქვეყნები იძულებულნი იყვნენ, გაზის ეროვნული საცავები გამოეყენებინათ.



ანაბარი "ჩემი სიფი"


- ▲ თანხის თავისუფლად განჯარგვის შესაძლებლობა
- ▲ მაღალი საპროცენტო სარგებელი

☎ 27 27 27 | 📠 * 27 27 | www.tbcbank.ge

 **თიბისი ბანკი**
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

საპროცესული მართვა და მართვა
და მართვა და მართვა



HIDROMEK
www.hidromek.com

AS TECHNIC LTD. 97.D. AGMASHENBELI, Tbilisi, GEORGIA
Phone:+ 995 32 452312 Fax:+ 995 77451815

შპს „საქართველოს ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის“ გალანსუა რიცხული ავტომობილის რეალზაციის სააუქციონო პირობები

მისამართი: თბილისი, ი. ჯავახიშვილის N51.
 - შპს „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრი“
 - სარეალიზაციო ავტომანქანა „ფოლცვაგენ პასატი.სახ NMSS571, გამოშვების წელი 1997
 - სანყისი სარეალიზებო ცდირებულება 6000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
 - ბე' 50 ლარი.
 - ბიჯი: 50 ლარი
დამატებითი პირობები:
 განაცხადის მიღების ვადა: 02.02 2009წ.
 აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
 ბე“-ს გადახდის ქვითარი. შპს „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრი“-ს სახელზე შემდეგ რეკვიზიტებზე ს.ს. საქართველოს სახალხო ბანკი (ც/ფ).
 1. ბანკის კოდი 220101480, ანგ.N34080004, სადენტ.კოდი 202904811
 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.
 3. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
 4. აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
 დოკუმენტაცია მიიღება: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51, 3-ე სართული, მარჯვენა ფლიგელი, ოთახი N1-2, 11-დან 16 სთ-მდე. ტელ.910358, საკონტაქტო პირი, ქ-ნი დოდო დიდუბაშვილი.
 აუქციონი ჩატარდება 03.02.09 წ. 12 საათზე ზემოაღნიშნულ მისამართზე.

ქირავდება

საოფისე ფართი 79 კვ.მ. მისამართზე: დ. უზნაძის ქ. №78, შენობის მესამე სართულზე. 1 კვ.მ. სანყისი ფასი 7 ლარი.
 დირექცია. 951124.

შპს ლოჭინი ახდენს ლიკვიდაციას 2009 წ. 15 იანვრიდან, დამფუძნებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

სააქციო საზოგადოება „საქრუსენერგო“ განმეორებით ატარებს აუქციონს 50% ფასდაკლებით

აუქციონზე გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:
 1. ა/მანქანა **LEXUS LS400**, რომლის გამოშვების თარიღია 1994 წ. შავი ფერის. სანყისი ფასი შეადგენს 4500 ლარს, ბე 450 ლარს, ხოლო ბიჯი 225 ლარს.
 აუქციონი გაიმართება მ/წლის 16 თებერვალს, დღის 12 საათზე სს საქრუსენერგო -ს ოფისში. მის: მარშალ გელოვანის 2.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ ბე -ს გადახდის ქვითარი (სს საქართველოს ბანკი ა/ა 182365700, კოდი 220101502). ბე განისაზღვრება სანყისი ფასის 10%-ით, ხოლო ბიჯის ოდენობა შეადგენს სანყისი ფასის 5%-ს. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი ბილეთის ფასი შეადგენს 5 ლარს. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება აუქციონის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
 ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 2
 სს გ.ე.ს. საქრუსენერგო
 ტელ: 38-32-75, 899 114-914

სსიპ „სახოგადოებრივი მაცუქებელი“-ს მიერ 50 000 ლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებები

1	მხატვრული ფილმების წვენების უფლების (ლიცენზიის) სახელმწიფო შესყიდვა.	საერთაშორისო სამაცუქებლო კორპორაცია „ვორნერ ბროს“	500 000 ლარი
2	მხატვრული ფილმების, მხატვრული სერიალების და ანიმაციური ფილმების წვენების უფლების (ლიცენზიის) სახელმწიფო შესყიდვა.	კომპანია „მგმ ინტერნაციონალ ტელევიზიონ დისტრიბუციონ“	208 800 ლარი.
	შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“	სსიპ „სახოგადოებრივი მაცუქებლის“ მიერ რადიო და ტელევიზიის პროგრამების მიწოდება და გაფრცხლება	1080000 ლარი

პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ ულტრასონოგრაფიის (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს ექოსკოპიურ ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება ექოსკოპიური გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩანერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
 ტელ.: 91 31 19; 91 32 42;

15.01.2009

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო აცხადებს ტენდერს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს დაფინანსების წყარო – საკუთარი შემოსავლები

ლოტი №1 – სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს დასაყდრებლად საქართველოს სამმართველოს ქ. ფოთის განყოფილების მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოდრომის მშენებლობა.

ლოტი №2 – სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს დასაყდრებლად საქართველოს სამმართველოს ქ. სუგდიდის განყოფილების მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოდრომის მშენებლობა.

ლოტი №3 – სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს დასაყდრებლად საქართველოს სამმართველოს ქ. ახალციხის განყოფილების მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოდრომის მშენებლობა.

დაწერილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს შემდეგ მისამართზე: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ. სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო, ტელ: 41-90-10

სამშენებლო სამუშაოების დასრულების სახურველი ვადა არაუგვიანეს 2009 წლის 31 მაისი.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისაკრებლის გადახედვით.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამატებითი უზრუნველყოფის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 15 იანვრის 10 საათიდან 2009 წლის 4 თებერვლის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ. სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო, სახელმწიფო შესყიდვების ქვეანგარიშობა.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო
ანგ. №700003408004974 სს ბანკი „რესპუბლიკა“, კოდი 220101760, ს/კ 205190513

გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, სამშენებლო სამუშაოები

პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს 2009 წლის 5 თებერვლის 10 საათიდან 2009 წლის 5 თებერვლის 14 საათამდე, სემოაღნიშნულ მისამართზე

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დასურველ კონკურენტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

იურიდიულმა პირებმა:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (სასამართლოდან);
- ფიზიკურმა პირებმა:
- ცნობა, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (სასამართლოდან);

როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირებმა:

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დაქვლიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ;
- ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

№	მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახშირი, მოძველებული)	საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შექნილი იქნება (ვისგან)
1.					
2.					
3.					
.					
.					
.					
.					
.					
.					

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

სემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ხელმოაღნიშნულ მისამართსა და ტელეფონზე.
აღტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

სატენდერო კომისია

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიდის ქ. N2) აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობებში საერთო სარგებლობის დაზიანებული ხის კიბების შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესაკეთებელია 230 ერთეული 15 საფეხურიანი ხის კიბე. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 ლოტად თანაბარი განაწილებით, თვითოეული ლოტი - 115 ერთეული 15 საფეხურიანი ხის კიბე. შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.
3. შესყიდვის ობიექტის მინოდება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, 2009 წლის 31 დეკემბრამდე (ჩათვლით).
4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 04 თებერვლის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიდის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.
5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობების სახურავების შეკეთების სამუშაოების სატენდერო მოსაკრებელი. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
6. პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს 2009 წლის 05 თებერვლის 10 საათიდან 13 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიდის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5.
7. ლოტების შესაბამისად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
8. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - 8.1 იურიდიული პირისათვის:
 - ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
 - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრე-

- ბის ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
 - გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
 - 8.2. ფიზიკური პირისათვის:
 - ა) ცნობა, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
 - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
 - 8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
 - ა) ინფორმაცია ბოლო პერიოდში განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესახებ;
 - ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
 9. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს დედნის სახით ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასაფლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
 10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განაცხადების მერვე პუნქტით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.
 11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მექანიზმი.
 12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.
ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40.
- ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

15.01.2009

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვას და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი – საავტომობილო საწვავი დაფინანსების წყარო – საკუთარი შემოსავლები

Table with 4 columns: №, დასახელება, განზ., რაოდენობა. Row 1: ბუნზინი "პრემიუმი", ლიტრი, 450000. Row 2: დიზელის საწვავი, ლიტრი, 200000.

საწვავი უნდა მიეწოდოს საქართველოს სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს და მის საქვეყნებო ორგანიზაციებს ქ. თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში ყოველდღიურად გასამართი ხადაგურების მეშვეობით, 2009 წლის თებერვლიდან 2009 წლის ბოლომდე.

აქცილებულია საწვავის გაცემის ტალღური სისტემის უზრუნველყოფა დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში სატენდერო მოსაკრებლის გადახდასამდე.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ჩეითრის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 15 იანვრის 10 საათიდან 2009 წლის 5 თებერვლის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ. სსიპ შსს მომსახურების სააგენტო, სახელმწიფო შესყიდვების ქვეპანელი. ტელ: 41-90-10

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო ანგ. №700003408004974 სს ბანკი „რესპუბლიკა“, კოდი 220101760, ს/კ 205190513

გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, საავტომობილო საწვავი

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შეუვადილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 6 თებერვლის 10 საათიდან 2009 წლის 6 თებერვლის 14 საათამდე, შემოადინებულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

იურიდიულმა პირებმა:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
• ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკურტების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (სასამართლოდან);

ფიზიკურმა პირებმა:

- ცნობა, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
• ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკურტების საქმის წარმოება (სასამართლოდან);

როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირებმა:

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
• ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი ავდიტის დასკვნა);
• ცნობა მისზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გაანხია დაელოდებოდა (საგადასახადო ინსპექციიდან);
• ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანიზაციის ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

შემოადინებული საკვალიფიკაციო მითხვენები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

ტენდერში გაბოყნებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1 %-ის ოდენობით და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების დარღუდვების 2%-ის ოდენობით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს შემოადინებულ მისამართსა და ტელეფონზე.

ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

სატენდერო კომისია

„ფონდი - ათასწლეულის გამონვევა საქართველოს“ უფროსი ეკონომისტი მონვევა ინტერისის გამოსახატავად N IC-43

1. შესავალი

„ფონდი - ათასწლეულის გამონვევა საქართველოს“ („ემ-სი-ჯი“), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, დაარსებულს პრეზიდენტის 2004 წლის 3 დეკემბრის N 561 ბრძანებულების საფუძველზე, სჭირდება მოკლევადიანი ინდივიდუალური კონსულტანტის დაქირავება, რომელიც შეასრულებს დამხმარე მომსახურებას მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის საქმიანობისთვის ეკონომიკური უკუგების მაჩვენებლის მოდელის შემუშავებაში რაოდენობრივი ცვლადებით, ასევე ტექნიკური დავალების მომზადებაში მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის საქმიანობის შემოქმედების შეფასებისათვის საკონსულტაციო ფორმის შესარჩევად. პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობათა მონიტორინგსა და შემოქმედების შეფასებაზე პასუხისმგებლობა „ემ-სი-ჯი“-ს მონიტორინგისა და შეფასების გუნდს აკისრია.

2. მოკლე ინფორმაცია

„ათასწლეულის გამონვევის კორპორაციის“ („კორპორაცია“) სახით მოქმედმა ამერიკის შერთებულმა შტატებმა და საქართველოს მთავრობამ 2005 წლის 12 სექტემბერს ხელი მოაწერეს ხელშეკრულება - „ათასწლეულის გამონვევის კომპაქტს“. კომპაქტში ჩამოყალიბებულია ის ზოგადი პირობები, რომელთა საფუძველზე კორპორაცია საქართველოს მთავრობას გამოუყოფს 295 300 000 აშშ დოლარამდე დაფინანსებას. პროგრამა მიზნად ისახავს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის გზით სიღარიბის შემცირებას. ყურადღება გამახვილდება ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელ ძირითად ფაქტორებზე - მოხდება დანგრეული და მოძველებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, გზებისა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვესტირება მცირე და საშუალო სანარმოებსა და აგრობიზნესში. პროგრამა ძირითადად თბილისის ფარგლებს გარეთ მდებარე რეგიონებზეა კონცენტრირებული.

პროგრამა ხუთი წლის განმავლობაში განხორციელდება და იგი შემდეგი პროექტებისგან შედგება: (i) სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია; (ii) მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია; (iii) რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება; (iv) საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი და (v) აგრობიზნესის განვითარება.

3. სამუშაო დავალების მიზანი

ამ სამუშაო დავალების ძირითადი მიზნებია: i) მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის საქმიანობისთვის ეკონომიკური უკუგების მაჩვენებლის განახლებული მოდელის შემუშავება, საქმიანობის განახლებული ex-ante (სავარაუდო) ანალიზის ასახვით, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება უკუგებისა და სარგებლების ex-post (ფაქტობრივი) ანალიზისას საქმიანობის დასრულების შემდგომ; ii) ტექნიკური დავალების მომზადება მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის საქმიანობის შემოქმედების შეფასებისათვის კონსულტანტის შესარჩევად, და iii) „ემ-სი-ჯი“-ს მიერ დაქირავებული კომპანიის - TBSC-ის მიერ შემოთავაზებული რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების საქმიანობის შემოქმედებ-

ბის შეფასების მეთოდოლოგიის ეკონომიკური ანალიზის ჩატარება.

4. აუცილებელი განათლება/გამოცდილება

- ეკონომიკაში დოქტორის ან მონათესავე დისციპლინაში მაგისტრის წოდება და სერიოზული გამოცდილება ანალიტიკურ საქმიანობაში;
- გამოცდილება შიდა უკუგების მაჩვენებლის / ეკონომიკური უკუგების მაჩვენებლის მოდელის შემუშავებაში ინფრასტრუქტურის მშენებლობის / რეაბილიტაციის პროექტებისათვის;
- გამოცდილება ტექნიკურ დავალებათა შემუშავებაში ინფრასტრუქტურის მშენებლობის / რეაბილიტაციის პროექტების შემოქმედების შეფასებისათვის;
- საფუძვლიანი ანალიტიკური უნარ-ჩვევები და სასოფლო ტერიტორიებზე სიღარიბის შემცირებაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობის / რეაბილიტაციის პროექტების შემოქმედების ღრმა ცოდნა;
- ეკონომიკური ანალიზის საფუძვლიანი უნარ-ჩვევები და უნარი, მოახდინოს რთული ფინანსური მონაცემების - ფინანსური კოეფიციენტების და ინდიკატორების, ფინანსური ანგარიშების - ინტერპრეტირება, განახორციელოს შედარებით ანალიზი;
- კომუნიკაციისა და ურთიერთობის კარგი უნარი და სამთავრობო სექტორში სხვადასხვა ადამიანთან თანამშრომლობის გამოცდილება;
- MS Office-ის პროგრამების თავისუფალი გამოყენების უნარი;
- ინგლისურ ენაზე კარგად წერა და ლაპარაკი.
სასურველია რუსული ენის ცოდნა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში მუშაობის გამოცდილება.

5. დამატებითი ინფორმაცია

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მომსახურების შესრულების შესაძლებლობის შესახებ, მათ შორის მსგავსი ამოცანის შესრულების, მსგავს პირობებში მუშაობის გამოცდილების, საჭირო უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის აღწერა და სხვა შესაბამისი ინფორმაცია. კონსულტანტები შეირჩევიან მათი კვალიფიკაციის შედარების საფუძველზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, კონსულტანტის განაცხადში მითითებული იყოს მთელი აუცილებელი ინფორმაცია.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დეტალური ტექნიკური დავალების მიღება შეუძლიათ ქვემოთ მოცემულ მისამართზე სამუშაო დღის განმავლობაში, 9:30-დან 18:30 საათამდე. ინტერესის გამოხატვის წერილები წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 15 თებერვალს, 18:30-საათამდე.

მისამართი:

„ფონდი ათასწლეულის გამონვევა საქართველოს“ / „ემ-სი-ჯი“ საქართველო, თბილისი, სანაპიროს ქ. N4 ტელეფონი : + (995 32) 50 77 70 ფაქსი: + (995 32) 93 91 44 ელექტრონული ფოსტა: I.kalandarishvili@mcc.ge

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) 15 იანვრიდან აცხადებს ტენდერს საწვავის (ბენზინის) ტალონების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახსინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახსინო ერთიანი ანგარიში №200 122 900, სახელმწიფო სახსნა, კოდი 220 101 222, სახსინო კოდი №302 003 174, მიუთითეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სატენდერო მისაჯრებელი და წარმადგინეთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადმოგეცით ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი ფაღიაშვილის №29 მე-3 სართული, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მაკერიალურ-ტექნიკური უსრუბელოფის სამმართველო.
